K77 1.1

წესდებულება

სა სულიერო კონსისტორიათა

К 4444 | 2.

თარგმნილ არს რუსულიდგან ქართულად «მწყემსის» რედაქტორის ბლაღოჩინის მღვდლის დავით ღამბაშიძისაგან.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ.
დაიბეჭდა ეკვთიმე სულაძის სტამბაში
1885.

დაბეჭდილ არს უწმიდესი და უმართებელესი სინოდის გარდაწყვეტილებით, 29 ივნისი 1884 წ.

სარჩევი

სასულიერო კონსისტორიათა წესდებულებისა.

განყოფილება I.

საზოგადო დებულებანი . . . . . მუხ. 1—6

განყოფილება II.

ეპარქიის მართველობა.

თავი I. მართლ-მადიდებელი სარწმუნოების დაცვაზე . . . . . 7—33
თავი II. ღვთის მსახურებაზედ . . . . . 34—38
თავი III. ეკკლესიების კეთილ დაწყობილებაზედ და აღშენებაზედ . . . . . 38—61
განყოფილება 1. ეკკლესიათა კეთილ დაწყობილებმზე 39—44
განყოფილება 2. ეკკლესიათა აღშენებაზე . . . 45—61
თავი IV. სამღვდელოებაზე . . . . . 62—91
თავი V. სამრევლოებზე . . . . . 92—103
თავი VI, მეურნეობაზე ეპარქიის უწყების ადგილებში . . . . . 104—147
განყოფილება 1. არქიერის სახლთა მეურნეობაზე . 104—117
განყოფილება 2. მონასტერთა მეურნეობაზე . . 118—129
განყოფილება 3. ეკკლესიათა მეურნეობაზე . . 130—139
განყოფილება 4. შენობებზე რომელნიც უჭირავსთ სასულიერო უწყების სასამართლოებს . . . . . 140—141
განყოფილება 5. შენობებზე ეპარქიის უწყებაში . . 142—147

განყოფილება III.

ეპარქიის სამსჯავროს. მუხ.

თავი I. ეპარქიის სამსჯავროის უწყებაზე . . . 148—152

თავი II. შეცთომილებაზე და დანაშაულობაზე სასულიერო წოდების პირთა თანამდებობისა და კარგის ყოფა-ქცევის წინააღმდეგ . . . . . 153—196

განყოფილება 1. სამართლის წარმოების რიგზე . 153—175

განყოფილება 2. გარდახდევინებასა და გასწორების ზომაზე 176

განყოფილება 3. გარდახდევინებისა და გასწორების ზომების ხმარებაზედ სხვა-და-სხვა ხარისხის დანაშაულობათა და შეცთომილებათათვის . . 177—195

თავი I. მღვდლებზე და პრიჩეტნიკებზე . . . 177—196

თავი II. ბერ-მონაზონებზე . . . . . 196—197

თავი III. სასულიერო წოდების პირთა სადავო საქმეებზე, რომელნიც წარმოსდგებიან უძრავი და მოძრავი საეკლესიო საკუთრების სარგებლობისა გამო . . . . . 197—199

თავი IV. საჩივრებზე სასულიერო პირთა შეურაცხებათათვის, ვალდებულებათა დარღვევისათვის და თხოვნებზედ შესახებ გარდახდევინებისა უდავო ვალთა. 199—204

თავი V. უკანონო და არა ნამდვილს ქორწინებაზედ . . . . . 205—221

თავი VI. ცოლ-ქმრობათა კავშირის მოსპობაზე და დარღვევაზე . . . . . 222—257

განყოფ. 1. ქორწინებათა გაყრაზედ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთს მეუღლეს მი-

	საჯული აქვს სასჯელის, რომელსაც ერთვის ახდა მდგომარეობის ყველა უფლებათა	მუხ. 225—229
განყოფ. 2.	ქორწინებათა გაყრაზე ერთი მეუღლეთაგანის უამბოთ სხვაგან ყოფნის გამო	230—236
განყოფ. 3.	ქორწინებათა გაყრაზედ მეუღლეთა საჩივრის გამო	237—257
თავი VII.	ქორწინებათა სინამდვილის დარწმუნებაზედ და დაბადებაზე კანონიერი ქორწინებისაგან.	258—275
თავი VIII.	საეკლესიო ეპიტიმიის დადებაზე .	276—277

განყოფილება IV.

კონსისტორიის მოწყობილებაზე.

თავი I.	შედგინებულება კონსისტორიისა .	278—287
თავი II.	გარეგან დაწყობილობაზედ და მსაჯულთა შეკრებილების დროზედ კონსისტორიაში	288—293
თავი III.	კონსისტორიის საქმის წარმოებაზედ .	294—356
განყოფ. 1.	საქმეების შემოსვლაზედ. . . .	297—306
განყოფ. 2.	საქმეების მოხსენებაზედ. . . .	307—312
განყოფ. 3.	საქმეების მოსმენაზედ და გარდაწყვეტილებაზედ	313—332
განყოფ. 4.	საქმეების აღსრულებაზედ . . .	333—342
განყოფ. 5.	ფულების შემოსვლაზედ, დაცვაზედ და მოძრაობაზედ	343—346
განყოფ. 6.	საქმეების შენახვაზედ და დაცვაზედ და არხივზედ	347—356
თავი IV.	მიწერ-მოწერათა წესზე	357—364

დ ა მ ა ტ ე ბ ა.

136 მუხლის დამატება.

გვერ. 137

კანონები უმჯობესი დაცვისათვის მონასტრებში, სობოროებში და შესანიშნავ ძველ ეკლესიებში საეკლესიო და სალარო ნივთთა, ძველ ნაშთთა და წიგნთ საცავთა (библіотекъ).

უმაღლესად დამტკიცებულის 27-ის მარტიდამ 1841 წ. სასულიერო კონსისტორიათა წესდებულების გამოცემის შემდეგ მრავალი სტატიები ამა წესდებულებათა, ძალისაგამო მომხდართა სხვა-და-სხვა დროს ახალთა კანონდებულებათა, ძლიერ შეცვლილ და დამატებულ იქმნენ, რაისაგამო ეს წესდებულება განხილულ იქმნა შესათანხმებლად ეხლანდელ მოქმედ კანონდებულებასთან. შესწორებულ ამ სახით სასულიერო კონსისტორიის წესდებულებაზე განხილვის შემდეგ უწმიდესი სინოდისაგან, აპრილის 9-სა დღესა ამა 1883 წელსა უმაღლესად ნაბრძანებია, იქმნეს მოქმედებაში მოყვანილი, ნაცვლად ამისთანავე წესდებულებისა, უმაღლესად დამტკიცებულისა 27 მარტს 1841 წელსა.

წესდებულება
სასულიერო კონსისტორიათა.

განყოფილება I.

საზოგადო დებულებანი.

მუხ. 1. სასულიერო კონსისტორია არის სასამართლო, რომლის მიერ ეპარქიის მღვდელ-მთავრის პირდაპირს მთავრობას ქვეშე, სწარმოებენ განმგებლობა და სასულიერო მსჯავრი მართლ-მადიდებელის რუსეთის ეკკლესიის ადგილობითს ნაწილში, რომელიც იწოდება ეპარქიად.

წესდ. სას. კონსისტ. 27 მარტს 1841 (II კ. კ. № 14409) მუხ. 1.

2. კონსისტორია ეპარხიის მღვდელ-მთავრითერთ ექვემდებარებიან უწმიდესი სინოდის, ვითარცა უმართებელესის რუსეთის ეკკლესიის კრებისა გამგეობას, მხოლოდ სინოდისაგან იღებს უქაზებს, და, გარეშე სინოდისა და ეპარქიის მღვდელ-მთავრისა, არც ერთს სხვა სასამართლოს ანუ მთავრობას, არ შეუძლია პირდაპირ შეეხოს მის საქმეებს, შეაჩეროს მისი გარდაწყვეტილებანი და განკარგულებანი შესახებ ყოველთა, რაც კი ეკუთვნის სასულიერო უწყების მოქმედებათა წრესა.

იქვე მუხ. 2.

3. რადგანაც წმიდათა მოციქულთა 35 წესდების ძალით ეპისკოპოსის იერარქიულს უფლებას აქვს განმავა-

ლობა მხოლოდ რწმუნებულს მისდამი ეპარქიის სამ-ზღვართ შორის, ამიტომ კონსისტორიის უწყებაც მო-ფარგლულია იმავე საზღვრებით.

იქვე მუხ. 3.

4. კონსისტორია თავის განკარგულებათა აღსრულე-ბაში მოქმედებს იმ ადგილთა და პირთა საშვალებით, რომელნიც არიან მის უწყებაში. ესენი არიან: სასულიერო სამმართველონი, ბლაღოჩინები, წინამძღვარნი დედათ და მამათ მონასტერთა და სხვა განსაკუთრებულ თანამ-დებობათა მექონნი პირნი.

იქვე მუხ. 4.

5. კონსისტორიასთან დამოკიდებულებანი ეპარქიის უწყების ადგილთა და თანამდებობის პირთა, მათი მოვა-ლეობანი და მოქმედებათა წრე ისაზღვრებიან განსა-კუთრებულის დადგინებებით.

იქვე მუხ. 5.

6. საფუძველნი საეპარქიო მმართველობისა და მსჯავრისა არიან:

ა.) საღმრთო სჯული, რომელიც შეიცვება საღმრთო წერილში;

ბ.) კანონები ანუ წესდებანი წმიდათა მოციქულთა, წმიდათა მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა და წმი-დათა მამათა;

გ.) სასულიერო რეგლამენტი და მის შემდეგ გამო-სულნი უმაღლესნი უქაზნი და დადგინებანი უწმიდესის უმართებელესის სინოდისა;

და დ.) მომქმედნი სახელმწიფოში სჯულდებანი.

წესი მმართველობისა და მსჯავრისა, რომელნიც სწარმოებენ კონსისტორიის მიერ, და ამ უკანასკნელის მომართვა გარეგანი თუ შინაგანი განსაზღვრულნი არიან ამ წესდებულების შემდეგს განყოფილებებში.

იქვე მუხ. 6.

განყოფილება II.

ეპარქიის მმართველობა.

თავი I.

მართლ-მადიდებელი სარწმუნოების დაცვაზედ და გავრცელებაზედ.

7. ეპარქიის მთავრობა ვალდებულია ზედამხედველობდეს, რათა მართლ-მადიდებელი ეკლესიის ჭეშმარიტებანი სრულის სიწმინდით აღიარებულ იყვნენ მის მოსამსახურეთა და მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთაგან. მღვდელთ-მთავარნი თვალ-ყურს ადევნიან ამას, როგორც პირის-პირ, აგრეთვე მათ ქვემდებარე ადგილთა და პირთა საშვალებით და, თუ რამე წინააღმდეგი აღმოჩნდება, მოახსენებენ უწმიდესს სინოდს.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 7.

8. ეპარქიის მთავრობა უნდა ზრუნავდეს, რომ სამღვდელოება ქადაგებდეს საღმრთო სიტყვას ეკლესიებში და დარიგებას აძლევდეს ყოველ მარჯვე შემთხვევაში, მართლ-მადიდებელს ხალხს შესახებ სარწმუნოებისა და კეთილ-მსახურებისა, კეთილ-ზნეობისა და მორჩილებისა მთავრობათა წინაშე.

იქვე მუხ. 8.

9. ეკლესიებში ღვთის მსახურების დროს მღვდელ-მსახურნი ვალდებულნი არიან კითხულობდენ წმიდათა მამათა წერილთაგან და ამისათვის დანიშნულ წიგნებისაგან მოძღვრებათა, ხოლო რომელთაც აქვსთ მიღებული ჯეროვანი განათლება ისინი უნდა წარმოსთქვამდენ თავიანთ საკუთარ მოძღვრებათაც, როგორნიც შეეფერებიან ადგილობრივი მსმენელების გაგებასა და მოთხოვნილებათა. თვით მღვდელ-მსახურთაგან შეთხზულნი მოძღვრებანი წინასწარ წარმოთქმისა წარედგინებიან, შეძლებისა-და-გვა-

რად, ბლაგოჩინს, ანუ ცენზორს. წინ-და-წინ რაიმე შემთხვევათა გამო წარდგენილნი მოძღვრებანი, შემდეგ წარმოთქმისა მაინც, უნდა მიუვიდეს ცენზორს განსახილველად და კლიროვის უწყებებში აღსანიშნავად, თუ ვის რამდენი თავისი საკუთარი მოძღვრება წარმოუთქვამს. დაუდევნელებზედ კონსისტორია მოახსენებს ეპარქიის მღვდელმთავარს თავისის დასკვნით.

იქვე მუხ. 9.

10. ეპარქიის და ქალაქების ეკკლესიებში, საკათედრო სობოროში დაწესებული უნდა იყოს მორიგი ქადაგება ქალაქის და ქალაქის ახლო-მახლო ეკკლესიების მღვდელ-მსახურთა კვირა-უქმე და მაღალ-სადღესასწაულო დღეებში განწილვისა მებრ, რომელიც უნდა შეადგინოს კონსისტორიამ ყოველი წლის ნოემბერში და დაამტკიცოს ყოველად სამღვდელომ.

1866 ივლ. 20 (43495).

11. ეპარქიის და სხვა ქალაქების ზოგიერთს ეკკლესიებში, ეკკლესიათა ადგილ-მდებარეობისა და მღვდელთა ნიჭთა შესაფერ, უნდა დაწესდეს კატეხისმური მოძღვრებანი კვირა დღეობით. კონსისტორია ყოველწლობით აგვისტოს თვეში წარუდგენს მღვდელ-მთავარს თავიანთ მოსაზრებას თუ რომელს ეკკლესიაში და ვისთვის უფრო მოსახერხებელია დაენიშნოს ესრეთი სწავლა-მოძღვრება.

წესდებ. სას. კონსისტ. მუხ. 11.

12. ცენზორობა ქადაგებათა და კატეხიზმურ მოძღვრებათა, რომელნიც აღნიშნულნი არიან წინამეხლებში, მიენდობის ბლაგოჩინებს, ანუ განსაკუთრებულს ცენზორებს, რომელნიც მოახსენებენ კონსისტორიას დაუდევნელებზედ, იგულისხმებენ რა ამ სახელსა ქვეშე როგორც

მათ, რომელნიც გვერდს უვლიან ქადაგებათა და მოძღვრებათა თავის რიგზედ წარმოთქმას, აგრეთვე მათაც, რომელნიც არ ახმარებენ მათ შესადგენად ჯეროვანს გულს-მოდგინეობას.

13. უფრო ნამდვილის ხელმძღვანელობისათვის ქადაგებაში, მორიგ-ქადაგებებს, რომელნიც წარმოითქმებიან საეპარქიო ქალაქში, ეპარქიის მღვდელ-მთავარი წინათვე განიხილავს თვითონ რამდენათაც ნებას აძლევენ მას სხვა საქმეები. კატეხისმური მოძღვრებანი წარედგინებიან მას წლის ბოლოს ცენზორებისაგან, და მაშინ ისინი განიხილებიან თვითონ მისგან ანუ მისი მინდობილობით რწმუნებულ პირთაგან.

14. ეპარქიის მთავრობას ვალად სძევს წააქეზოს და მოანდომოს სამრევლო სამღვდელოება, რათა ეკკლესიებთან გახსნან და ხელი უწყონ უბრალო და ხალხის ყოფა ცხოვრების შესაფერ მომართულთ სასწავლებელთ სასწავლებლად სოფლელებთ შვილების წერა-კითხვისა, ლოცვებისა და კატეხისმოს პირველ დაწყებითი ცნობათა. ამ გვარი სასწავლებლები უნდა გაიმართონ, შეძლებისა-და-გვარად,—მამათა მონასტერში—ვაჟთა და დედათ მონასტერში—ქალთათვის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საეკლესიო სამრევლო სკოლებზედ და სასწავლებლებზედ მონასტრებში ყოვლად სამღვდელონი უწმიდესს სინოდს წარუდგენენ ცნობებს, ამასთანავე თან დართულის ფორმისა მებრ.

იქვე მუხ. 14. 1852 დეკ. 31 (უქ. უწ. სინ.) ნაწ. III პარ. 17.

15. ეპარქიის მთავრობა ვალდებულია იზმაროს განსაკუთრებითი მზრუნველობა, რომ ერის კაცნი ყოველწლობით აღსასრულებლად ქრისტიანელის მოვალეობისა იტყოდენ აღსარებასა და ეზიარებოდენ წმიდათა საიდუმლოთა.

16. ყველა სამრევლო ეკკლესიებში უნდა ჰქონდესთ აღსარებითი სიები, მიცემულის ფორმისამებრ, და ერთი ამ სიათაგანი უნდა წარდგინდებოდეს კონსისტორიაში ან სასულიერო სამმართველოში პირველს ოკტომბრისთვის. იმათგან სდგინდება შემოკლებული ტაბელი, მიცემული ფორმისამებრ რომელიც ყოველ წლებთან წარედგინება უწმიდესს სინოდს; ვითარცა დამატება ყოვლად სამღვდელოის ანგარიშისა ეპარქიის მდგომარეობაზედ.

იქვე მუხ. 16, 1865 ნოემბრ. 23. (42701)

17. ვინც წინაადმდეგ მღვდლის შთაგონებისა, აღმოჩნდება აღსარების უთქმელი და უზიარებელი ორი—ან სამი წლის განმავალობაში იმაზედ განსაკუთრებით მოხსენდება ეპარქიის მღვდელთ-მთავარს. ყოვლად სამღვდელო სამრევლო მღვდლისვე ან სხვა რწმუნებულ სასულიერო პირთა საშვალებით, ანუ დასასრულ, გარემოებათა და ადგილობრივის მოხერხებულობის მიხედვით,—თვითან შთაგონებს მას და მოძღვრობის საშვალებით ცდილობს მოაქციოს ის ქრისტიანულის მოვალეობისადმი და გადეწყვეტს მას ეპიტიმიას თავისის შეხედულობით, ძალისა მებრ საეკკლესიო წესდებათა. ამ გვარადვე ეპურობიან იმათაც, რომლებზედაც სასამართლოებში საქმეებიდგან აღმოჩნდება, რომ იმათ არ უთქვამსთ აღსარება და არ მიუღიათ წმ. ზიარება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეპიტიმია უნდა მოხდეს საჯაროთ სამრევლო ეკკლესიაში ანუ მონასტერში. საჯარო განკანონებას ადებენ თანამდებობის პირთა და სოფლელთა შინიდამ განუშორებლად. ვინც არ შეისმენს დარიგებას, არ შევა სინანულში, და არ აღასრულებს ქრისტიანულს მოვალეობას, ამაზე აცნობებენ სამოქალაქო მთავრობას განსახილველად.

იქვე მუხ. კრ. კან. XIV წესდებულ. დანაშ. გაფრთხ. გამოც. 1876 წ. მუხ. 24.

18. ეპარქიის არქიერი ვალდებულია მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი მოარიდოს ყოველს ცრუ მორწმუნებას და ამაოდ მორწმუნოების წესებს. გარდა მუდმივი თვალყურის დევნებისა ადგილობრივ მღვდელთა და ბლაღოჩინთა საშვალებით, ეპარქიის მღვდელ-მთავარნი ცნობებს ჰკრებენ ამაზედ ეპარქიის დახედვის დროს და ახალ გაჩენილ ცრუ მორწმუნებათა სპობენ თავიანთი მოძღვრებით და აღკრძალვით, დამოუკიდებლად საშვალებათაგან, რომელნიც ვალდებულია, ძალისა მებრ სჯულთა კრებისა, მიიღოს ადგილობრივმა სამოქალაქო მთავრობამ.

წესდებულ. სას. კონსისტ. მუხ. 18.

19. ცრუ მორწმუნე მოქმედებათა ან ხმათა გავრცელების დროს, რომელნიც ხალხზედ ახდენენ შესამჩნევს შთაბეჭდილებას, მეტადრე თუ მათ ბოროტი განზრახვით მოგონილი სიცრუვის, ანუ ანგარებითი ანგარიშთა ნიშნები აქვსთ, მაშინ ეპარქიის არქიერი მიჰმართავს შთაგონების და დარიგების საშვალებათა; ხოლო ამასობაში მიწერილობას გზავნის გუბერნატორთან, და, თუ მძიმე საქმეა, მოახსენებს უწმიდესს სინოდს, რომლისაგანაც მოელის შემდეგს გარდაწყვეტილებას.

წესდებულ. სას. კონსისტ. მუხ. 19.

20. რასკოლის (მწვალებლობის) მდგომარეობაზედ, სადაც კია, ადგილობრივი მღვდლები მოახსენებენ ეპარქიის ყოვლად სამღვდელოს, აღწერითურთ თავიანთ მოქმედებათა, როგორც მართლ-მადიდებელთა ჭეშმარიტს სარწმუნოებაში დაცვის, აგრეთვე ცთომილთა შთაგონების შესახებ. ეპარქიის მთავრობა საეკლესიო წესდებათა და განსაკუთრებითი სახელმწიფო დადგინებათა ხელმძღვანელობისა მებრ დარიგებას აძლევს ქვეშევრდომს სამღვდელოებას მისი მსახურების ამა მძიმე საგანზედ, და აღმოუჩენს მას შემწეობას მიწერ-მოწერით სამოქალაქო

მთავრობასთან, რომელიც ვალდებულია, ძალისა მებრ კანონებისა, დაიცვას ეკლესია შეურაცხებათაგან და ააშოროს ცთომილნი მწვალებლობის გარეგან გავლენას და მაცთურს მოქმედებათა.

წესდებულ. სას. კონსისტ. მუხ. 20.

21. მართლ-მადიდებელთ, თუ ვინიცობაა ისინი შევიდენ რასკოლში, ეძლევათ დარიგება, შეხედულობისამებრ სასულიერო მთავრობისა ჭეშმარიტს სარწმუნოებაზედ და შთაგონება ადგილობრივის მღვდლების, მქადაგებლების, ან სხვა პირთა საშვალებით, რომელთაც ნიშნავს ეპარქიის მთავრობა. მაგრამ ესრეთი მოძღვრებანი და შთაგონებანი ეძლევათ განდგომილებს განუშორებლად მათ საცხოვრებლიდგან და ჩვეულებრივს მათ შრომათა და საქმეთაგან. უკეთუ შენიშნული განდგომილება გავრცელებულია დიდ ძალ ხალხზედ, ანუ მას მოსდევენ სხვა ახალნი განდგომილებანი, ანუ კიდევ ჩნდება ახალი რასკოლი ანუ სექტა, მაშინ ესე მოხსენდების უწმიდესს სინოდს.

1863 ნოემბ. 4 ს. (40215); ტ. XIV წესდება შეცთ. წინ გაფრთხ. გამოც. 1876 სტ. 60 სას. კონს. წესდ. სტ. 21 მუხ. 4. 1865 ნოემბ. 5. (უქ. უწ. სინოდ.)

22. ჭეშმარიტი სარწმუნოებისადმი მოქცეულს და რასკოლიდამ მართლ-მადიდებლობასთან შეერთების მსურველს მრევლის მღვდელი შეაერთებს საეკლესიო წესისა მებრ, ჩამოართმევს მას ხელწერილს მართლ-მადიდებლობაში დადგრომაზე და ჩასწერს ამ შეერთებას მეტრიკის წიგნში. საეჭვო შემთხვევებში შეერთებამდის მღვდელი გამოითხოვს ნებართვას მღვდელთ-მთავრიდგან.

წესდებულ. სას. კონსისტ. მუხ. 22; 1881 ივლ. 29 (42345.)

23. ეპარქიის მღვდელთ-მთავარი ვალდებულია თვალყური ადევნოს, რათა მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი

არ გადავიდენ სხვა სარწმუნოებაში, რადგან ერთად-ერთს მთავრობას მართლ-მადიდებელს კათოლიკე აღმოსავლეთის ეკკლესიას აქვს უფლება სახელმწიფოის სამზღვართ შორის შთააგონოს სხვა მორჯულენი მისის სწავლის მიღება.

წესდ. სას. კონსისტ. მუხ. 23.

24. თუ რომ აღმოჩნდნენ განდგომილებანი და განდგომილნი, მაშინ ეპარქიის მთავრობა, ძალისა მებრ მისდამი მიწერილთ წესდებათა, მოქმედებს შთაგონების საშვალებაებით, მართავს მიწერ-მოწერას სამოქალაქო მთავრობასთან და მოახსენებს უწმიდესს სინოდს.

იქვე მუხ. 24.

25. სხვა მერჯულეთ, რომელთაც სურსთ შეერთდენ მართლ-მადიდებელს ეკკლესიას, მღვდელი პირველად ყოვლისა არიგებს და ამტკიცებს სწავლაში მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისა; თვითონ შეერთებას აღასრულებს შემდეგ ჩამორთმევისა შეერთების მსურველთაგან წერილობითი ჩვენებისა შემდეგის ფორმით: «ქვემორე სელისა მომწერი» (მამაკაცი ან დედა-კაცი—წოდება, სასელი, გვარი, სარწმუნოება) ამით განვაცხადებ გადაწყვეტილ განზრასვას შეუერთდე მართლ-მადიდებელს, კათოლიკე აღმოსავლეთის ეკკლესიას და აღვსთქვამ გიყო მის მორჩილებაში უცვლელად მარადის.» ამის შემდეგ შეერთება შეიტანება სამეტრიკო წიგნში, თუ მღვდელი შეეურება ეჭვს, მაშინ სანამ შეუდგებოდეს სხვა მერჯულის შეერთებას, ვალდებულია მოახსენოს ყოვლად სამღვდელოს განმარტებით ეჭვის მიზეზებისა; რომელთა განხილვის შემდეგ ყოვლად სამღვდელო გადაწყვეტს საქმეს ან თითონ, ან, თუ საჭირო აღმოჩნდა ფორმალური წარმოებით, მისწერს კონსისტორიას.

იქვე მუხ. 25; 1865 ივლ. 29 (42345).

26. **დაქორწინება** მართლ-მადიდებელი პირისა სხვა მერჯულესთან არ ითვლება ნამდვილად, ვიდრე არ შესრულდება მართლ-მადიდებელს ეკკლესიაში მართლ-მადიდებელი მღვდლისაგან.

წესდ. სას. კონსისტ. მუხ. 25.

27. **ქორწინების** აღსრულების წინ მართლ-მადიდებელი პირისა სხვა მერჯულესთან, მღვდელი, შემდეგ დაწესებული სიფრთხილის ზომების ხმარებისა, სხვა მერჯულეს ართმევს ჩვენებას შემდეგის ფორმით: «ქვემორე სელის მომწერი (კაცი ან ქალი — წოდება, სასელი, გვარი, სარწმუნოება) ამით ვამოწმებ, რომ ვიწერ რა ჯვარს (წოდება, სასელი, გვარი) მართლ-მადიდებელი სარწმუნოების წესით ორივე სქესის შვილების აღზრდა ში მოვიქცევი თანასმად რუსეთის სასულმწიფოის კანონებისა, ესე იგი, მოვნათლავ და აღვზრდი მათ მართლ-მადიდებელს სარწმუნოებაში», **საეჭვო** შემთხვევაში **უნდა** მ**ოიქცენ, როგორც** ნათქვამია 25 მუხლში **შეერთებაზედ.**

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 27 მუხლში განმარტებული წესდება არ შეეხება იმ ადგილებს, სადაც ამ გვარი ხელწერილების ჩამორთმევა ძალისა მებრ განსაკუთრებულთ დადგინებათა, არ არის დაწესებული.

იქვე სტ. 27; 1865 ივლ. 29 (42345).

28. მღვდლებს **შეუძლიათ მონათლონ ორივე** სქესის **შვილები** სხვა **მერჯულეთა,** მაგრამ ხელწერილის ჩამორთმევით მშობლებისაგან, **რომ** ეს **შვილები** აღზრდილ იქმნებიან **მართლ-მადიდებელს** სარწმუნოებაში.

წესდებულ. სას. კონსისტ. მუხ. 29; 1865 ივლ. 29 (42345.)

29. **წლის** განმავალობაში **ყველა** მ**ართლ-მადიდებელს** სარწმენ**ოებაში** დაბრუნებულს **რასკოლნიკებზედ** და **სექტანტებზედ** (მუხ. 22) **და** აგრეთვე **მართლ-მადიდებელს**

სარწმუნოებასთან შემოერთებულს სხვა მერჯულეებზედ და მართლ-მადიდებელი მღვდლებისაგან მონათლული სხვა მერჯულეთა მშობლების შვილებზედ (მუხ. 28.) ეკკლესიის კრებულნი წარუდგენენ ეპარქიის მღვდელ-მთავარს წელიწადში ერთხელ,—მომავალის წლის იანვრის დასაწყისს ხელმოწერილს უწყებას მრთელი კრებულისგან, რომელმაც შეასრულა შემოერთება ან ნათვლა, და მაშინვე წარუდგენენ ყოვლად სამღვდელოს 25 და 28 მუხლებში დადგენილს წერილობითი ჩვენებებს სხვა მერჯულეთა მათ ნება-ყოფლობით შეერთებაზედ მართლ-მადიდებლობასთან და სხვა რჯულის მშობლების ხელმოწერილებს მართლ-მადიდებელი მღვდლებისაგან მონათლულის შვილების მართლ-მადიდებელს სარწმუნოებაში აღზრდაზედ, და აგრეთვე ჩამორთმეულთ სხვა მერჯულეთ მათის დაქორწინების დროს მართლ-მადიდებლებთან შეკრულობის ხელწერილთ მართლ-მადიდებელს სარწმუნოებაში მონათვლაზედ და აღზრდაზედ ორივე სქესის შვილებისა, რომლებიც ამ გვარის ქორწინებისაგან დაიბადებიან (მუხ. 27). მაგრამ ამ მუხლში გარდმოცემული წესდება არ შეეხება მართლ-მადიდებელს სარწმუნოებისადმი მოქცევა შესანიშნავ შემთხვევებს, როგორც აგრეთვე არ შეეხება მართლ-მადიდებელს სარწმუნოებასთან ერთბაშათ დიდ-ძალი ხალხის შემოერთებას; ორსავე შემთხვევებში ეკკლესიის კრებულთა დაუყოვნებლივ უნდა მოახსენონ ყოვლად სამღვდელოს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ხელწერილები მართლ-მადიდებელს სარწმუნოებასთან შემოერთებულების და აგრეთვე სხვა რჯულის მშობლების და მეუღლეების შვილების აღზრდაზედ მართლ-მადიდებელს სარწმუნოებაში დაცული არიან კონსისტორიის არხივში ერთად მეტრიკის წიგნებთან.

1865 ივლ. 29 (42845). წესდ. სას. კონსისტ. სტ. 22, 25, 27 და 29.

30. სასულიერო პირნი რომის სარწმუნოებისა უნდა შემოუერთონ მართლ-მადიდებელს ეკკლესიას შემდეგის წესით:

ა). შეერთების მაძიებელს შეაქვს ამაზედ თხოვნა ყოვლად სამღვდელოსთან, ანუ კონსისტორიაში, ანუ ადგილობრივს ბლაგოჩინთან. ყოვლად სამღვდელო თვითან, ანუ სასულიერო რწმუნებულ პირთა საშვალებით, სცდის მას, თუ რა აზრების და რამდენად წმიდა განზრახვათა მექონია, და ამასობაში აუწყებინებს იმაზედ ადგილობრივს სამოქალაქო მთავრობას, რომელიც ამ დროიდამ იღებს მთხოვნელს თავის მხედველობასა და მფარველობას ქვეშ.

ბ). თუ აღმოჩნდა, რომ რამე საქმე ეხება მთხოვნელს, მაშინ ეს საქმე განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქმნეს უწყებაში იმ სამოქალაქო მთავრობისა, რომლის მხედველობას ქვეშაც ის (მთხოვნელი) შესულია—საჭირო თუ იქნება მართლ-მადიდებელი მთავრობის შემწეობით;

გ). თუ ამ საქმის გარემოებანი ეჭვს სდებენ მთხოვნელის ზნეობას და აგრეთვე მის განზრახვათა სიწმიდესაც, მაშინ ეპარხიის მთავრობა აჩერებს მისი შემოერთების საქმეს, სანამ საქმის მხედველობიდამ ანუ სასულიერო გამოცდიდამ არ აღმოჩნდება მისი უბრალოების ანუ გულწრფელი მონანების საკმაო ნიშნები. თავისთავად იგულისხმების, რომ ამ გვარი გამოცდა შემოკლებული უნდა იყოს და შემოერთება დაჩქარებული სასიკვდინე შემთხვევაში, რომელიც ითხოვს სარწმუნოების ღონის ძიებათა დაუყოვნებლივს მიღებას, ანუ სხვა განსაკუთრებულს საპატიო გარემოებებში, ეპარქიის მთავრობის შეხედულებისა მებრ, თუ მთხოვნელის შესახებ აღმოჩენილი საქმე არ არის სისხლის საქმე და თუ მის შემოერთების შემდეგ არ სურს დარჩეს სასულიერო წოდებაში.

დ.) თუ იმას სურს შემოერთების შემდეგაც სასულიერო წოდებაში დარჩენა: მაშინ ეპარხიის მღვდელ-მთავარი

მის შემორიცხვაზედ და მისთვის თანამდებობის და სამსახურის ადგილის დანიშვნაზედ წარუდგენს უწმიდესს სინოდს ცნობას თავისი შეხედულებით და საბუთებითურთ შესახებ წოდებისა და შემოერთებულის საეკლესიო ხარისხისა,

3.) თუ მას არ სურს დარჩეს სასულიერო წოდებაში, მაშინ ეპარხიის მთავრობა ჩამოართმევს მას ხელწერილს, რომ ის არ იხმარს უფლებებს, არც აღასრულებს უწინდელი თავის წოდების მოქმედებათა და კვლავ არ დაიწყებს თხოვნას დაუბრუნონ მას საეკლესიო ხარისხი, თუ ჰქონებია მას ის; და ამ შემთხვევაში იგი შემოუერთდება ეკლესიას ერისკაცთა წესისა მებრ, მოუხსენებლად მისგან დატევებულის სხვა სარწმუნოებაში წოდებაზედ.

წესწდ. სას. კონსისტ. მუხ. 30.

31. ეპარხიის მთავრობა ზრუნავს წარმართთა და სხვა არა-ქრისტიანეთა განათლებაზედ სარწმუნოების ჭეშმარიტებებითა. სხვა მერჯულეთა არა-ქრისტიანთა მომზადების შესახებ მისაღებლად მართლ-მადიდებელის სარწმუნოებისა და, წმიდა ნათლის-ღების საიდუმლოს წესისა მებრ, მათზედ შესრულებაზედ უნდა დაცული იქმნენ შემდეგნი წესდებანი.

1. მცირე წლოვან ებრაელებზედ, მაჰმადიანებზედ და წარმართებზედ, რომელთაც არ შესრულებიათ ჯერ თოთხმეტი წელიწადი, წმიდა ნათლის ღების საიდუმლო სრელდება წესისა მებრ მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისა მხოლოდ მათის მშობლების ან აპეკუნების ქალალდზედ დაწერილის თანხმობით. ამ წესდებისაგან გადახვევა შეიძლება მხოლოდ საპატიო მიზეზების გამო უწმიდესის სინოდის ნებართვით.

2. სხვა მერჯულეებზედ, რომელნიც გამხდარან თოთხმეტის წლის, წმიდა ნათლის-ღების საიდუმლო შეიძლება შესრულდეს მშობლების ან აპეკუნების დაუკითხა-

ვადაც, თუ მბოლად სარწმუნოდ ცნობილია, რომ მათ, ვინც მოქცევას აპირებენ, თვითონ სურთ და თხოულობენ შეერთებას მართლ-მადიდებელს ეკლესიასთან და ამასთანავე აქვსთ—მის ღოღმატებზედ და სწავლაზედ საკმაო ცნობანი.

3. სხვა მერჯულენი, რომელნიც არ გამხდარან სრულ წლოვანნი, ესე იგი ოცდა ერთის წლისა და რომელნიც ემზადებიან წმიდა ნათლის-ღებისათვის, წესისა მებრ მართლ-მადიდებელის ეკლესიისა, იღებენ სწავლა-დარიგებას სარწმუნოების ყველა უმთავრესი საფუძვლების შესახებ ექვსი თვის განმავალობაში; ხოლო სრულ-წლოვანთა სხვა მერჯულეთა დარიგებისათვის რჩება თავის ძალაში ძველი ორმოცი დღის ვადა, თუმცა, როგორც წინეთ, ეხლაც შეიძლება დაინიშნოს უფრო მოკლე ვადაც დასარიგებელი (მოსამზადებელი) პირის საჭიროებისა და წარმატების მიხედვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ მუხლში დადგენილი ექვსი თვის ვადა მცირე წლოვან სხვა მერჯულეთათვის არ უნდა იყოს მიღებული უცვალებელ ვადათ, ამასთან უნდა მიღებულ იყოს მხედველობაში, როგორც აზრები, აგრეთვე რწმენის ხარისხი მოსაქცევი პირისა.

4. საშიშრად ავადმყოფნი სხვა მერჯულენი რა ხნისაც უნდა იყვნენ, შეიძლება მათი სურვილისა მებრ, მოინათლონ დაუყოვნებლივ, ეკლესიისაგან დადგენილთ წესდებათა დაცვით და შემდეგის პირობებით: პირველად, ამ გვარ პირთა მონათვლა არ უნდა დაწყებულ იქმნეს მანამდის, სანამ ჯეროვნად, მთლად საიმედოდ არ შემოწმდება, რომ ისინი არ არიან ცნობა მიხდილნი და შეუძლიათ შეგნებით და გულის ხმიერებით გამოსთქვან თავიანთი ნება; მეორედ, ამ გვარის ნათლის ღების საჭიროების გამო შესრულებაზედ დაუყოვნებლივ უნდა მოხსენდეს ეპარქიის მთავრობას; და მესამედ, ახლად მონათლული ამ გვარს გარემოებებში, თუ ვინიცობაა მორჩეს,

ეპარქიის მთავრობამ უნდა მიანდოს კეთილ-საიმედო სასულიერო პირს დასარიგებლად და განსამტკიცებელად ქრისტიანობაში.

5. საიდუმლო წმიდა ნათლის-ღების წესი სხვა მერჯულეებზედ უნდა სრულდებოდეს ეკკლესიაში (გარდა იმ შემთხვევათა, როცა სხვა მერჯულენი ავათ არიან) და ყოველთვის კეთილ-საიმედო მოწმეთა ანუ უმახლობელესი ადგილობრივი მთავრობის თან დასწრებით. ამ წმიდა საღმრთო წესის დაწყების წინ როგორც მღვდელ მსახურნი, რომელთაც უნდა შეასრულონ ის, აგრეთვე ადგილობრივი მთავრობა, რომელიც ვალდებულია დაესწროს ამას, ბეჯითად უნდა დარწმუნდენ, რომ სხვა მერჯულე იღებს წმიდა ნათლის-ღებას ნებაყოფლობით და ჯეროვანი გულის ხმიერებით, და გარეშე ესრეთის დარწმუნებისა არავითარს შემთხვევაში არ სრულდება და არ შეიძლება მოხდეს ნათლის-ღება. ამ საეკკლესიო წესის შესრულების შემდეგ, ამაზედ დამსწრე უმახლობელესი ადგილობრივი მთავრობა ვალდებულია დაამოწმოს საკუთარის ხელით სამეტრიკო წიგნში ნათლის-ღების წესის შესრულება.

იქვე მუხ. 31; 1862 დეკ. 4. (37709).

ᲛᲣᲮ. 1—5.

32. მღვდლები ცდილობენ განამტკიცონ ახლად მონათლულები სარწმუნოების სწავლაში და მოარიდონ ისინი წინანდელს წესებს. განსაკუთრებით საჭირო შემთხვევებში ეპარქიის მთავრობა მართავს მიწერ-მოწერას სამოქალაქო მთავრობასთან.

წესდებულ. სას. კონსისტ. მუხ. 32.

33. რასკოლისგან და სხვა სექტებისაგან შემოერთებულთ რიცხვზე, და აგრეთვე შემოერთებულთ მართლმადიდებელს ეკკლესიასთან სხვა ქრისტიანულს სარწმუნოებათაგან და წმიდა ნათლის-ღებით განათლებულთ არა

ქრისტიანთ რაოდენობაზედ, ყოვლად სამღვდელონი წარუდგენენ უწმიდესს სინოდს უწყებებს, თანდართულ ფორმებისა დაგვარ, ერთხელ წელიწადში, ეპარქიის მდგომარეობაზედ მოხსენების დროს გარდა განსაკუთრებითი შემთხვევებისა, ან გარდა, შემთხვევათა მრავალ პირთა შემოერთებისა, რომლებზედაც დაუყოვნებლივ მოხსენდების უწმიდესს სინოდს.

1865 წ. ნოემბ. 23 (42701) შეო. წესდებულ. სას. კონსისტ. შენიშნ. სტ. 22 და 25 და 31 სტატ.

თ ა ვ ი II.

ღვთის მსახურებაზედ.

34. ეპარხიის მთავრობა თვალყურს ადევნებს, რათა იმ საკათედრო მონასტრისა და ქალაქის ეკკლესიებში, რომელთაც კრებულში ერთს მღვდელზედ მეტი ჰყავთ, ღვთის მსახურება ყოველთვის სრულდებოდეს და რომელთაც ერთი მღვდელი ჰყავთ და სოფლის ეკკლესიებში, კვირა-უქმ დღეებს გარდა ღვთის მსახურება სრულდებოდეს, რამდენათაც შესაძლოა ხშირ-ხშირად, შეძლებისა მებრ.

წესდებულ. სას. კონსისტ. სტატ. 34; 1869 წ. აპრ. 16 (46974.)

35. ღვთის მსახურება სრულდება საეკკლესიო ტიბიკონისა მებრ, დადგენილს დროს, კრძალულებით და მუდრობებით, გარკვეული კითხვითა და გალობით, აუჩქარებლად და აურეველად; და გარეშე თავის მნებელობითთა ცვლილებათა და ახლად შემოღებათა.

36. ამ გვარივე ყურადღებით და სისწორითა, როგორც ნათქვამია წინამავალ მუხლში მღვდელნი უნდა ასრულებდენ ლოცვათა მრევლთა სახლებში, ასრულებდენ ჯვარით სიარულსა და გარდაასვენებდენ წმ. ხატთა.

წესდებულ. სას. კონსისტ. სტატ. 35.

37. განსაკუთრებითს ყურადღებას ითხოვენ ის შემთხვევანი, თუ ვინმემ დაარღვია საღმრთო ტაძარში კეთილ-წესიერება და მოახდინა სიტყვით ანუ მოქმედებით საცთურება, არეულობა, შეყენება ღვთის მსახურებისა ანუ სრულიად გაწყვეტა მისი. ამ შემთხვევებში უნდა მოიქცენ ამ სახით:

ა.) პირველ ცნობისათანავე ამ გვარს მეტადრე მძიმე და სახელდობ იმისთანა შემთხვევაზედ, როდესაც უმართებულო სიტყვებთან ანუ მოქმედებასთან მოახდინეს საცთურება, ანუ შეაჩერეს ღვთის მსახურება, უნდა მოხსენდეს ეს უწმიდესს სინოდს და მოხსენებასთან უნდა თან მისწერონ, თუ რა განკარგულება ქმნეს ამ საქმეზედ.

ბ.) თუ ბრალდებული სასულიერო წოდებას ეკუთვნის, მაშინ საქმე დაუყოვნებლივ უნდა გამოიძიოს სასულიერო უწყებაში და დამნაშავე უნდა მიეცეს სამართალს კონსისტორიაში.

ᲐᲠᲥᲘᲕᲘ

გ.) თუ ბრალდებული სასულიერო წოდებას არ ეკუთვნის, მაშინ უნდა აცნობონ სახორციელო მთავრობას და თან მოსთხოვონ მას შეტყობინება შედეგზე.

და დ.) გამოსულს საქმის გარდაწყვეტილებაზედ როგორც სახორციელო, აგრეთვე სასულიერო სამსჯავროში, ხელ-ახლა მოხსენდების უწმიდესს სინოდს.

იქვე მუხ. 36; 1864 ნოემბ. 20 (41476).

38. თანახმად წინამავალი მუხლისა უნდა მოიქცენ იმ შემთხვევებშიაც, როცა ჯვარით სიარულის დროს დარღვეული იქმნება კეთილ წესიერება.

წესდებულ. სას. კონსისტ. მუხ. 37.

თ ა ვ ი III.

ეკკლესიების კეთილ დაწყობილობაზედ და აღშენებაზედ.

ნ ა წ ი ლ ი I.

ეკკლესიათა კეთილ-დაწყობილებაზედ.

39. საღმრთო ტაძარნი ყოველი ნივთებით, რომელ-

ნიც ეკუთვნიან საღმრთო მსახურებას, ჯურჯლებით, ხატებით და შესამოსლებითერთ უნდა დაცულნი იყვნენ წმინდად დ წესიერად შესაფერ მათი საღმრთო დანიშნულებისა.

შენიშვნა: საჯურჯლეს და სასამოსლოს მდგომარეობას შეამოწმებს ხოლმე ბლაღოჩინი ყოველს ეკკლესიების დახედვის დროს, და რაც აკლია, თუ მრევლნი არ შეავსებენ მას, უნდა შეძენილ იქმნეს ეკკლესიის შემოსავალთა ხარჯით კრებულისა და მრევლთა საზოგადო თანხმობით და ბლაღოჩინის შეტყობინებით და თუ ერთ-დროული ხარჯის ჯამი ნაკლის შესაძენათ საცხოვრო ქალაქების ეკკლესიებში, საზოგადოდ ყველა საკათედრო ეკკლესიებში და ყველა ირკუტსკის ეპარქიის ეკკლესიებში აღემატება სამას მანათს, სხვა ქალაქის ეკკლესიებში ას ორმოცდა ათ მანათს, სოფლის ეკკლესიებში კი ორმოცდა ათ მანათს,—მაშინ მღვდელ-მთავრისგან ნებართვა გამოითხოვონ. კონსისტორიას უნდა ჰქოდეს ცნობა სასამოსლის მდგომარეობაზედ ეპარქიის ყველა ეკკლესიებში ბლაღოჩინთა კლიროვის უწყებებიდგან; ეს იმოწმების უწმიდესის სინოდის წინაშეც ყოველად სამღვდელოს წლიურს მოხსენებებში ეპარქიის მდგომარეობაზედ. ყველა საკათედრო ეკკლესიათა და მონასტერთა სასამოსლე მიმოიხილვის ყოველ ორის წლის შემდეგ ყოველად სამღვდელოს განკარგულებით განსაკუთრებით დანიშნულთ რწმუნებულთ სასულიერო პირთაგან.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 38; 1865 წ. ნოემბ. 23 (42698;) 1878 წ. აგვ. 25 (58814).

40. თვალ-ყური უნდა ადევნონ რათა ეკკლესიებში გამოულეველად იყვნენ ნაგულვები ზიარების ნაწილნი და წმიდა მირონი და რათა ისინი დაცული იყვნენ უსათეოდ წმიდა საკურთხეველში პატივით და სიფრთხილით, როგორც შეჰფერის სიწმიდეს. ეპარქიის მთავრობა განკარგულებას იქმს წმიდა მირონის თავის დროზედ მიღებისათვის საიდამაც ჯერ არს და ეკკლესიებზედ დარიგებისათვის.

წესდებულ. სასულ. კონს. მუხ. 39.

41. ყოველს ეკკლესიაში უნდა იქონიონ სრული რიცხვი საღმრთო-საეკკლესიო წიგნებისა და წმიდა სინოდისაგან დანიშნული სამოძღვრო წიგნები. ისინი გამოი-

წერებიან ადგილობრივ კრებულთაგან, ან კონსისტორიისაგან უწმიდესი სინოდის სტამბებიდგან.

იქვე მუხ. 40.

42. არა მხოლოდ თვით ეკკლესიები, არამედ ყველა ადგილებიც, რომელნიც მათ ეკუთვნიან, მაგალითებრ: სამრეკლოები, საყდრის და სამარის ძეგლები და თვით ადგილები გალავნებში და მათ გარეშემო, უნდა დაცულ იყვნენ აგრეთვე კეთილ-წესიერად და წმიდად.

იქვე მუხ. 41.

43. ყველა საგნებს, რომლებიც განმარტებულნი არიან წინამავალ მუხლებში, ბლაღოჩინები მიაქცევენ ფხიზელ ყურადღებას მონასტრების და სამრევლოთა მიმოხილვის დროს და თვითოეულს მათგანზე ჰმოწმობენ თავიანთ წლიურ მოხსენებაში და კლიროვის უწყებებში, და თუ რამე სასაშიშრო აღმოჩნდა სადმე შენობებში, ამაზედ მოახსენებენ ყოვლად სამღვდელოს განსაკუთრებით, ყოველს დროს, საქმის შესაფერ განკარგულებათა მოსახდენად.

იქვე მუხ. 42.

44. ეპარქიის მღვდელთ-მთავრები ყოველ წლიურს მოხსენებებში უწმინდესის სინოდისადმი ეპარქიების მდგომარეობაზედ თან დასძინებენ ცნობათა ეკკლესიების მდგომარეობაზედ შესახებ მათის კეთილ დაწყობილობისა.

იქვე მუხ. 43.

განყოფილება 2.

ეკკლესიების აღშენებაზედ.

45. უმთავრესი და საზოგადო მოვალეობანი ეპარქიის მთავრობისა ეკკლესიათა აღშენების შესახებ მდგომარეობენ შემდეგს მეცადინეობაში და მოქმედებებში:

ა.) რათა საღმრთო ტაძარნი შენდებოდენ იმ ადგილებში, სადაც მართლ-მადიდებელთ ქრისტიანეთ საჭიროება აქვსთ სიშორის გამო სხვა ეკკლესიათა, ცუდი გზების გამო, ანუ როდესაც სამრევლო ეკკლესია ანუ ეკკლესიები, რომელნიც არიან არ ჴუოფნისთ ყველა მრევლთ დასატევნელად; ბ.) რათა ეკკლესიანი არ შენდებოდენ, თუ ნამდვილი მოთხოვნილება არ არის, რომ შემდეგში არ დარჩენ ცარიელად და უპატიურად, რაც არ შეჴფერის ტაძრის სიწმიდეს; გ.) რათა ეკკლესიათათვის აღირჩეოდნენ მოხერხებულნი ადგილნი მაიდნებზედ, და არა საშვალ მოსახლეთა შენობებისა; და დ.) რათა ასაშენებლად ნება დართულნი ეკკლესიები ქვისაა—თუ ხის დაუყოვნებლივ შენდებოდნენ მაგარი მასალისგან.

იქვე მუხ. 44.

46. შესახებ თხოვნებისა ქალაქის ან სოფლის ეკკლესიების ახალ აღშენებაზედ ამასთანავე ახალ მრევლთა შედგენაზედ და კრებულთა დაწესებაზედ, ეპარქიის მთავრობა უნდა მოიქცეს შემდეგის წესით: 1.) უნდა შეკრიბოს ცნობები სარწმუნო სასულიერო პირთა საშვალებით, პოლიციის მოხელის თანა დასწრებით: ა.) შესაფერი და მოხერხებულია თუ არა ადგილი, რომელზედაც აპირებენ ეკკლესიის აღგებას; ბ.) რომელი ეკკლესიებიდგან შემოვლენ მასში მრევლნი, ყველა მსურველია ამისი თუ არა, რა მიზეზთა გამო სურთ მათ ეს, ესე იგი, მათი სამრევლო ეკკლესიის ვიწროობისა გამო შედარებით მრევლთა რიცხვთან მოსახლეთა, სიშორისა გამო მასზედ, თუ გზების უვარგისობისა გამო, და მართალნი არიან მათი ჩვენებანი, თუ არა. გ.) საკმაო იქმნება თუ არა ამ მრევლთა რიცხვი სრული მრევლის შესადგენად. დ.) რამდენი მრევლი დარჩება შემდეგ ამისა იმ ეკკლესიაზედ, რომლისაგანაც ზოგიერთნი მიწერილ იქმნებიან ახალზედ; და ე.) უზრუნველ ყოფილ იქმნება თუ არა ახალის ეკკლესიის

შენახვა და რით სახელდობ და 2.) უნდა მიიწერონ სამოქალაქო მთავრობასთან, ხომ არაფერი დაბრკოლებაა ეკკლესიის აშენებაში მთხოვნელთაგან აღრჩეულს ადგილზედ.

შენიშვნა: თუ ვინიცობაა ეპარქიის მთავრობათა შემოუვათ თხოვნები და შუამდგომლობანი სოფლებში ახალი სამრევლოების შედგენაზედ და მათში ეკკლესიების აღშენებაზედ განწესებითურთ კრებულთა გარდა დასავლეთის გუბერნიებისა და ამერის პირა მხარისა, ეპარქიის მთავრობანი,—როცა მთხოვნელები დანიშვნენ, არსებულის დებულებისამებრ, ეკკლესიების აღსაშენებელთ და კრებულის შესანახავთ წყაროთა,—წინადადებას აძლევენ მათ ააშენონ ამასთანავე კრებულის საცხოვრებლად სახლები და, თუ ამაზედ არ დასთანხმდენ მთხოვნელები, ან მათი შუამდგომელნი მთავრობანი მათ თხოვნათა და შუამდგომლობათა სამრევლოების დაწესებაზედ სტოვებენ უყურადღებოდ, სანამ ესრეთს თანხმობას არ განაცხადებენ და მხოლოდ იმ შემთხვევებში შეიძლება ამ წესდების გვერდის შევლა, როცა ეპარქიის მღვდელთ-მთავრების შეხედულობით, აღმოჩნდება განსაკუთრებული საჭიროება რომელიმე ადგილებში ახალი სამრევლოების და ეკკლესიების აღშენებისა და მათთვის კრებულთა დაწესებისა რასკოლის მოქმედებათა მოსასპობლად, მაჰმადიანებში და წარმართებში ქრისტიანობის გასავრცელებლად და სხ... ესრეთს განსაკუთრებულს შემთხვევებზედ ყოვლად სამღვდელონი მოახსენებენ უწმიდესს სინოდს და ითხოვენ მისგან ცალკე ნებართვას. ეს წესდება რამდენათაც მოსახერხებელი და შესაძლო იქმნება იხმარების ქალაქებში ახალი სამრევლოების დადგინების დროს. ახლად დასაწესებელ სამრევლოთა კრებულებისთვის სახლების სივრცე, აგრეთვე მათი შინაგანი მოწყობილობა და საშენი მასალები, ნება აქვსთ განსაზღვრონ მთხოვნელთ ანუ შუამდგომელთ მთავრობათა ურთიერთის თანხმობით ეპარქიის მთავრობასთან.

იქვე მუხ. 45; 1863 ივნ. 21 (39768); 1865 ივლ. 29 (42348).

47. აღშენების, გადაკეთების და გადიდების საკათედრო, სამრევლო და სასაფლაოის ეკკლესიებისა, როგორც სოფლებში, ისე ქალაქებშიც,—და აგრეთვე მონასტრებში საეკკლესიო შენობების ნებას რთავს ეპარქიის მღვდელმთავარი. ამაში არ შედიან: 1.) სატახტო ქალაქების ეკკლესიები, 2.) ძველი ეკკლესიები, ე. ი. რომელნიც აშენებულან საზოგადოდ არა უგვიანეს მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისისა ანუ თუმცა არა ძველნი, მაგრამ შესანიშნავნი

ქანდაკებით ანუ ისტორიულის თავგადასავალებით. როდესაც ეკლესიის ასაშენებლად ან გასასწორებლად, ადგილობრივი საშვალების უმექონებლობისა გამო, განზრახვა აქვსთ გამოითხოვონ ფული უწმ. სინოდისაგან. აღნიშნულს მუხლებში 1, 2 და 3 შემთხვევებში ეკლესიების აშენების ან გასწორების შესახებ განზრახვათა სისრულეში მოყვანის ნება რთვა გამოითხოვების უწმიდესი სინოდისაგან, ხოლო ქვემდებარე შემთხვევებში ითხოვება უმაღლესი ნებართვა.

1858 ივლ. 5. (33253); 1865 ივლ. 29 (42348).

48. პროექტები ეკლესიების შენობის და გადაკეთების პროექტები, რომელთა ნებართვა ეკუთვნის ეპარქიის მღვდელთ-მთავრებს, გარდაიცემიან სასულიერო კონსისტორიებისაგან ადგილობრივს სანაშენობო განყოფილებებში გუბერნიის სამმართველოებთან, იმ პირობით, რომ უკანასკნელნი იმ შემთხვევებში, რომელნიც აღემატებიან მათდამი მინიჭებულს უფლებას შესახებ პროექტების დამტკიცებისა, თვით წარუდგენდენ მათ უმაღლესს მთავრობას, და შემდეგ მის მიერ დამტკიცებისა, დააბრუნებდენ კონსისტორიაში აღსასრულებლად; ხოლო შესახებ შენობათა და გადაკეთებათა იმ ეკლესიებისა, რომელთა წარმოებისათვის აუცილებელია უწ. სინოდის ანუ უმაღლესი ნებართვა, ეპარქიის მღვდელთ მთავრებს შეაქვსთ უწმიდესს სინოდში განხილული ადგილობრივს საშენობო განყოფილებებში პლანები და ფასადები.

1865 ივლ. 29 (42348.).

49. ეკლესიების აღშენების ნება სახლებში პირთათვის, რომელთაც მოუპოვიათ უფლება განსაკუთრებითი პატივისა და არ შეუძლიან მოხუცებულობისა და სნეულობისა გამო სიარული სამრევლო ტაძრებში ნება ირ-

თვება ეპარქიის მდვდელ-მთავართაგან და საეპარხიო ქალაქებში უწმ. სინოდისაგან.

შენიშვნა: სასახლის ეკკლესია შეიძლები არსებობდეს მხოლოდ იმ პირის სიკვდილამდის, ვისთვისაც ნება დართულია მისი დაწესება; მის სიკვდილის შემდეგ კი, თუ არ გამოვა ნებართვა ამ ეკკლესიის არსებობის გაგრძობისა, მრთელი საკუთრება ეკკლესიისა, ეპარქიის მთავრობის განკარგულებით, უნდა შეირიცხოს სამრევლო ეკკლესიის საკუთრებად.

წესდებ. სას. კონს. მუხ. 49. 1865 ივლ. 29 (42347) კრებ. სჯულდ. და გავრც. მართლ. მად. 1881 წ. № 82 მუხ. 552 ბ. 6.

50. ეპარქიის მთავრობანი ეკკლესიების აშენების, გასწორების და გადიდების დროს, ყურს უგდებენ: ა) რათა საზოგადოდ დაცული იყოს ღირსება და მართებულობა არხიტექტურისა მებრ, უაღრესად ძველის ბიზანტიის აღნაქვსის დაცვით ბ) რათა ძველებური ეკკლესიების განახლების დროს ძველი სახე ეკკლესიისა, გარეგანი თუ შინაგანი, დაცულ იყოს ბეჯითად და არა ვითარი მნებელობითი შესწორებანი და ცვლილებანი არ მოხდეს უმაღლესი სასულიერო მთავრობის შეუტყობინებლად; გ) რათა არსად, არა ვითარი მიზეზისა გამო, ძველს ეკკლესიებში არ ეძლეოდეს ნება მცირედისაც არი შესწორებისა ცვლილებისა მხატვრობის ანუ ძველი დროის სხვა საგნებისა და ყოველთვის გამოითხოვებოდეს ამის ნებართვა უწმიდესი სინოდისაგან შემდეგ წინასწარის მიწერ-მოწერისა არხეოლოგიურ ანუ ისტორიულ საზოგადოებასთან; და დ) რათა ბლანები და ფასადები განიხილებოდენ საშენობო მთავრობისაგან.

წესდებ. სას. კონს. მუხ. 50; 1843 აპრ. 20 (16770)

51. ახალი ეკკლესიის აღშენებისა გათავების ანუ უწინდელის ეკკლესიის საფუძვლიანად გასწორების შემდეგ, როდესაც საჭიროა ხელახლად კურთხევა, ეპარქიის მთავ-

რობა მიანდობს ბლაღოჩინს, ანუ სხვა კეთილ საიმედო სასულიერო პირს, ეკკლესიის შემოწმებას, და, თუ აღმოჩნდება, რომ ყოველივე საჭირო მზათაა და მოწყობილია ჯეროვანის მართებულობით,—ნებას რთავს მისს კურთხევას.—

წესდ. სას. კონს. მუხ. 51.

52. შეკეთებანი ეკკლესიებში და სამრეკლოებში, სახელდობრ: განახლება კანკელთა, ფიცრით შემოკვრა შენობებისა, გასწორება იატაკებისა, სახურავისა და სხვ... ნება ერთვებიან ეპარქიის მთავრობისაგან მოუთხოვნელად არხიტექტორულის პლანებისა, გარდა იმ შემთხვევათა, როცა ისინი საჭირო იქნებიან სამუშაოს თვისებისა გამო.

იქვე მუხ. 52.

53. თუ ვინიცობაა საუბედურად ეკკლესია დაიწვა ეპარხიის მთავრობა, კრებულის მოხსენების გამო, აუკრძალავს სამოქალაქო მთავრობას გამოსაძიებლად შემთხვევისა, განკარგულებას იქმს მაშინვე დაცვაზედ საეკკლესიო ქონებისა, რომელიც ცეცხლს გადურჩა, აგრეთვე ადგილზედ ღვთის მსახურებისთვის, თუ იმ სამრევლოში არ არის სხვა ეკკლესია; და ყველა ამ გვარს განკარგულებებზედ მოახსენებს უწმიდესს სინოდს.

იქვე მუხ. 53.

54. ეპარქიის მთავრობა, როცა დაინახავს საღმე ეკკლესიის აშენების საჭიროებას იმ მიზეზთა და გარემოებათა გამო, რომელნიც მოხსენებულნი არიან წინამავალ მუხლებში, მართავს მიწერ-მოწერას მრევლთან ანუ მთავრობებთან, და თუ მიწერ-მოწერათა წარმატება არ ექმნა, მოახსენებს უწმიდესს სინოდს, ვრცელი აღწერილობითურთ ეკკლესიის აშენების აუცილებლობის მიზეზთა.

იქვე მუხ. 54.

55. ეპარქიის მთავრობას შეუძლია მისცეს შემწეობა ეკკლესიების აშენებისათვის, როცა დაინახავს ამაში ჯეროვანს საჭიროებას, სახელდობ: 1) შეუძლია მისწეროს ადგილობრივს სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უსასყიდლოდ ხე-ტყის მიცემაზედ სახელმწიფო ადგილ-მამულებისაგან, განმარტებით ამ გვარს შემწეობაში ნამდვილის საჭიროებისა, ანგარიშის აღრიცხვის თან დამატებითურთ, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ეპარქიის მთავრობის შეამდგომლობა რაიმე მიზეზისა გამო არ იყო მიღებული პატივდებაში სახელმწიფო ქონებათა მთავრობისაგან, შეუძლია გაგზავნოს უწმიდესს სინოდში წარდგინება ამ საგნის შესახებ დახმარებაზედ; და 2) შეუძლია მისცეს ერთს მრევლთაგანს, აღრჩეულს და უფლება მიცემულს მათგან წიგნი მოსაგროვებლად შესაწირავთა ქრისტეს მოყვარე შემწირველთაგან.

შენიშვნა: წიგნი უნდა მიეცეს ერთის წლის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ის უნდა წარმოადგინონ კონსისტორიაში საანგარიშოდ და შესამოწმებლად მასში შეტანილის ფულებისა.

იქვე მუხ. 55; 1865 ნოებ. 4 (42639.)

56. იმ ეპარქიებში, სადაც სამრევლოებს უჭირავთ ვრცელი ადგილები და მრევლთ ყველას არ შეუძლიათ გაუჭირვებლად იარონ ყოველთვის სამრევლო ეკკლესიაში, ეპარქიის მთავრობას შეუძლია ნება დართოს შორს მდებარე სამრევლო სოფლებში სამლოცველო სახლების აშენებისა განსაზღვრულის ანუ განუსაზღვრელის ვადით. ამ საფუძვლით უნდა ნება დართულ იქმნეს სალოცავი სახლების აშენება, თუ ეკკლესია დაწვეს ახლის აშენებამდის და თუ ეკკლესია, რომელზედაც მიეწერება მრევლი, შორს იმყოფება.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 56.

57. ეპარქიის მთავრობა სალოცავი სახლების აშენების ნებას იძლევა აგრეთვე სოფლის სასაფლაოებზეც გარდაცვალებულების გვამთა დასასვენებლად და ჩვეულებრივის მათზედ ლოცვების გადასახდელად.

იქვე მუხ. 57.

58. ძველიდანვე აშენებული მართლ-მადიდებელ ღვთის მოშიშ წინაპართა მეცადინეობით სამლოცველოები სადიდებლად ზოგიერთ წმიდა ხატთა, ანუ კეთილ მოსახსენებლად საეკლესიო და სამშობლო თავგადასავალთა,—უნდა დაცულ იყვნენ, და ამიტომ შეიძლება განახლებულ იყვნენ ეპარქიის მთავრობის ნებართვით, პლანებისა და ფასადებისა მებრ, განხილულნი სადაც ჯერ არს. ამ გვარის სამლოცველოების აშენება ახლად შეიძლება ნება დართულ იქმნეს მხოლოდ ფრიად საპატიო მიზეზთა გამო, ნება რთვით აგრეთვე ეპარქიის მთავრობისა, საკახტო ქალაქებში კი—უმაღლესის ნება რთვით.

იქვე მუხ. 58; 1865 ივლ. 29 (42349.)

59. ყველა სამლოცველონი და სამლოცველო სახლები იმყოფებიან სასულიერო მთავრობის გამგეობაში და ამიტომ უნდა მიწერილი იყვნენ მონასტრისა ანუ სამრევლო ეკლესიებისადმი და უნდა მინდობილი იყვნენ ზედამხედველობას წინამძღვართა ანუ მღვდელთა ეკლესიის მნათეებითურთ.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 59.

60. ამშენებელნი ანუ გადამკეთებელნი სამლოცველოისა ანუ სამლოცველო სახლისა სასულიერო მთავრობისგან ნება დაურთველად პასუხის გებაში ეძლევიან, თვით შენობა კი ისპობის, თუ აღმოჩნდება აშენებული ზემო აღნიშნულ წესდებათა წინააღმდეგ. ამ გვარს შემთხვე-

ვაში ეპარქიის მთავრობა ადგენს დაბოლოებითს გადაწყვეტილებას მოსპობაზე ანუ დატოვებაზედ იმ სამლოცველოთა ან სალოცავ სახლთა, რომელნიც აღმოჩნდებიან აღშენებულნი ან გადაკეთებულნი სასულიერო მთავრობის ნებადაურთველად, და აგრეთვე გადაცემაზედ თვით მნებლობითი აშენების თუ გადაკეთების გარემოებათა კანონთა მებრ განსასჯელად, ანუ დატოვებაზედ უჩივლელად.

იქვე მუხ. 60; 1865 ივლ. 29 (42349.)

61. თუ ვინიცობაა რომელიმე ეკკლესია სიძველისაგამო გაუქმდება,—ავეჯოულობა გადაიტანება სამრევლო ეკკლესიაში, და შენობაზედ ხდება განკარგულება, რათა მისი მასალები არ იქმნენ შეუსაფერად ხმარებულნი.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 64.

თ ა ვ ი IV.

სამღვდელოებაზედ.

62. მღვდელნი, ეკკლესიის მედავითნენი და მღვდელმონაზონნი ეკკლესიის მსახურებაში და თავიანთ ცხოვრებაში უნდა იქცეოდნენ საეკკლესიო წესდებათა და სახელმწიფო კანონთა მებრ, რომლებითაც ისაზღვრებიან ეპარქიის მთავრობის მოვალეობანი მისი ქვეშევრდომის სამღვდელოების მართვაში.

იქვე მუხ. 66.

63. აღრჩევა და განწესება რწმენებულთ პირთა ადგილებზედ და თანამდებობებზედ, რომელთა საშვალებით სწარმოებს მართვა ანუ ზედამხედველობა ეპარქიის უწყებაში, დამოკიდებულია შეხედულობაზედ ეპარქიის მღვდელთმთავრისა, რომელსაც კონსისტორია წარუდგენს გახ-

სნილს ადგილზედ კანდიდატებს მათზედ დაწვრილებითი ცნობებითურთ.

იქვე მუხ. 67.

64. მონასტრების ბლაღოჩინს მიენდობის იმდენი მონასტერნი, რამდენსაც ის შეიძლებს გაუჭირველად იქონიოს თავის ზედამხედველობაში.

იქვე მუხ. 68.

65. ბლაღოჩინის მხედველობას მიენდობის ათიდამ ოც-და-ათამდის ახლო-მახლო ეკკლესიები მათის კრებულებითურთ. თუ ბლაღოჩინს პარდება თუთხმეტს ეკკლესიაზედ მეტი, რომელთაც დიდი ადგილი უჭირავთ, მაშინ შეიძლება მიეცეს მას თანაშემწე.

იქვე მუხ. 69.

66. თვითოევულს საბლაღოჩინო ოლქში მღვდელნი და ეკკლესიის მედავითნენი აღირჩევენ საზოგადო მოძღვართ-მოძღვარს, რომელიც წარჩინებულია სასულიერო მსჯელობით, განათლებით და პატიოსანის ცხოვრებით და აღრჩეული წარედგინების კონსისტორიის საშვალებით ეპარქიის მთავარს დასამტკიცებლად.

იქვე მუხ. 70.

67. ეპარქიებში, სადაც საბლაღოჩინო ოლქებს დიდი ადგილები უჭირავთ ეპარქიის მღვდელ მთავარნი ნიშნავენ თითოეულს ოლქში ორს ანუ მეტს მოძღვართ-მოძღვარს.

იქვე მუხ. 71.

68. საზოგადო მოძღვარი მღვდლებზედ, რომელნიც მას აღსარებას ეუბნებიან, ადგენს ხოლმე განსაკუთ-

რებულს აღსარებითს სიას, ფორმისა მებრ, და წლის ბოლოს არა უგვიანეს იანვრისა წარუდგენს ეპარქიის მღვდელთ მთავარს, რომელიც განიხილავს მას, ანუ გადასცემს განსახილველად კონსისტორიაში.

იქვე მუხ. 72.

69. ეკლესიის მედავითნეთა შეუძლიათ აღსარება უთხრან თავიანთ სამრევლო ანუ მეზობელს მღვდელს, იმ პირობით, რომ მათ წარმოუდგინონ თავის კერძო მოძღვართაგან მოწმობანი, წლის გასვლისას საზოგადო მოძღვარს.

იქვე მუხ. 73.

70. მღვდლად ხელდასხმა არის ისეთი საქმე რომელიც ეკუთვნის პირდაპირს ეპარქიის მღვდელმთავრის განხილვას და გადაწყვეტილებას, რომელიც რწმუნდება კურთხევის მაძიებელის ღირსებაში, და, ხელდასხმის შემდეგ, აძლევს მას თავის ხელმოწერილს სიგელს; გარნა საქმეები სამღვდელო და სამედავითნო ადგილებზედ განწესებისა და კურთხევაზედ შედიან კონსისტორიაში, როგორც გამოკვლევათა შესადგენად და ცნობათა შესაგროებლად ადგილზედ და პირზედ, რომელიც თხოულობს მას, აგრეთვე სხვა გვარის ამ საქმეთა არსებითი და გარემოებითი წარმოებისათვის.

იქვე მუხ. 74.

71. არავინ არ უნდა იქმნეს განწესებული და ნაკურთხი ეკლესიებზედ გარეშე შტატისა მებრ სამრევლოის კრებულის დაწესებულის რიცხვისა. ყოველს ცვლილებაზედ კრებულთა შტატის რიცხვში, რომელიც განსაზღრულია სამრევლოების გაწერილობით, ეპარქიის მთავრობა გამოითხოვს უწმიდესი სინოდის ნებართვას და თე ვინიცობაა მოინდომებს კრებულში ახალის ადგილის მომა,

ტებას, წარდგინებაში ის განმარტებს მუოფი კრებულის და მრევლის აზრს იმაზედ, სთვლიან თუ არა საჭიროდ ამგვარს შემატებას.

შენიშვნა: აღკრძალვა კრებულთა რიცხვში შტატს გარეშე განწესებისა არ გავრცელდება შტატგარეთ დიაკვნებზედ, რომელთაც შეუძლიათ განწესებულნი იყვნენ მრევლთა თხოვნისა მებრ, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ იმათ მიეცეს მრევლთაგან სარჩო გარდა კრებულის შტატის წევრთა სარჩოისა.

იქვე მუხ. 75. უმაღ. მარიამ. 1871 მარტ. 20 სტ. VI, 1873 აპრილ. 7 სტ. IV მუხ. 4, 1875 წ. დეკ. 27 სტ. VII, 1876 იან. 17 სტ. III მუხ. 4. 1877 აპრ. 2 მუხ. 5.

72. ეკკლესიებში, რომლებშიდაც კრებულის შტატი არ არის განსაზღვრული განსაკუთრებითი დადგენილობით საფუძვლად იღება წინანდელი დროიდგან არსებული შტატი, რომელიც აღნიშნულია კლიროვის უწყებაებში.

იქვე მუხ. 76 1842 აპრ. 4 (15470); 1869 აპრ. 16 (46974.)

73. ღვთის მსახურება სასაფლაოის ეკკლესიებში უნდა აღასრულონ სამრევლო კრებულთა. თუ საჭიროება მოითხოვს ადგილობრივის გარემოების გამო, და თუ ეგულვებათ საშვალებანი კრებულის უზრუნველ საყოფელად, ეპარქიის მთავრობა მის განსაწესებლად გამოითხოვს უწმინდესი სინოდის ნებართვას.

წესდებ. სას. კონს. მუხ. 46.

74. კონსისტორიას ყოველთვის აქვს ეკკლესიებზედ ვაკანციების სია, რომელიც უნდა გამოცხადებული იყოს კანდიდატებისათვის.

75. როდესაც სამღვდელო და სამედავითნო ადგილებზედ საკმაო კანდიდატები არ არიან, ეპარქიის მთავრობას შეუძლია მოიწვიოს ღირსნი სხვა ეპარქიებიდამ სადაც სამღვდელოება უფრო მრავალრიცხოვანია. ამ შემთხვევაში ეპარქიის მთავრობათა უნდა აღმოუჩინონ ერთმა

მეორეს ყოველ გვარი შემწეობა და მსურველნი არ უნდა დაიგვიანონ თავისთან თუ მათში იმათ არ აქვსთ ნამდვილი საგვირეობა.

შენიშვნა: მღვდელთა, მედავითნეთა არ შეუძლიათ შევიდენ ერთის ეპარქიიდან მეორეში წინასწარის მიწერ-მოწერის მოუხდენლად, ეპარქიის მთავრობათა შორის, არც შეუძლიათ მიიღონ ბაშპორტები საკუთრად ადგილის მოძებნისათვის სხვა ეპარქიებში.

იქვე მუხ. 79.

76. ეპარქიის მთავრობას შეუძლია მიიღოს სასულიერო წოდებაში სხვა წოდებათა პირნიც, მაგრამ ჯერ ის უსათუოდ უნდა დარწმუნდეს, რომ ყოფა ქცევა და განათლება ამ წოდებაში შემოსვლის მსურველთა შეეფერებიან სასულიერო ხარისხს.

იქვე მუხ. 80 კრებ. კანონ. ტ. IX კან. წოდ. გამოც. 1876 წ. მუხ. 365 და 366.

77. შესახებ მღვდელ-მონაზვნად შედგომის საქმეებისა კონსისტორია ჰკრებს ცნობებს და განიხილავს შეუძლია თუ არა მონაზონად აღსაკვეცად წარსადგენს პირს გახდეს ამისი ღირსი წლოვანებით შობიდამ, მონასტერში გამოსაცდელად განვლილი დროით, მოწმობებით მის ყოფა ქცევაზედ და დაბრკოლებათა უმექონლობით სამოქალაქო უწყებაში. ამის შემდეგ წარსადგენი პირის მონაზონად აღკვეცაზედ ეპარქიის მთავრობა ადგენს განჩინებას და მოჰყავს ის სისრულეში, მონაზონად აღკვეცილთა რიცხვზედ წლის განმავალობაში მღვდელთმთავარნი ყოველ წლობით წარადგენენ უწმიდესს სინოდში დამატებით სახით დაწვლილებით უწყებათა ფორმისა მებრ ეპარქიის მდგომარეობაზე შედგენილ ანგარიშთან.

შენიშვნა: მღვდელ მონაზვნად აღკვეცა საშტატო მონასტრებში და მღვდელთ-მთავართა შეიძლება თანახმად მათში ქონებულთ ვაკანსიათა, ხოლო არა საშტატო მონასტრებში შეიძლება მიღება იმდენ ძმათა, რამდენის რჩე-

ნაც უდაბნოს შეუძლია. რადგან (ძალისა მებრ 343 მუხ. კან. მდგომ. ტ. IX გამოც. 1876 წ.) მღვდელ მონაზონად აღკვეცის მსურველთა თვითან უნდა წარმოადგინონ დაწესებული საბუთები, ამისათვის ეპარქიის მთავრობათა ნება აქვს,—წინასწარ სამოქალაქო უწყებებთან მიწერ მოწერის გაუმართავად ესრეთ პირთა მღვდელ მონაზონად აღკვეცის დაბრკოლებათა უმექონებლობაზედ დაუნიშნოს მათ მორჩილების გამოცდა, თუ თავის მხრითაც არ ექმნებათ მიზეზები უარის ყოფისა.—ხოლო იმავე დროს მონასტერში მათს მიღებაზედ უნდა შეატყობინონ კონსისტორიიდგან იმ ადგილს საიდანაც მიცემულნი არიან წარმოდგენილნი მათგან საბუთნი.

წესდებ. სას. კონს. მუხ. 81. 1865 სეკდ. 29 (42505).

78. მღვდელნი და ეკკლესიის მედავითნენი გარდა შემთხვევათა შტატიდამ გამორიცხვისა ეპარქიის სამსჯავროის განჩინებათა მებრ, (ამ წესდებულ. მუხ. 176 პარ. 7. შტატიდამ ითხოვებიან: ა) მათის საკუთრის თხოვნებისა მებრ ამაზედ. და ბ) ეპარქიის მთავრობის განკარგულებისა მებრ, როდესაც სარწმუნოდ შეიტყობა მათი უნიჭოება სამსახურის განგრძობისა მოხუცებულობის ანუ სნეულებათა გამო. თუ რომელიმე შემთხვევისა გამო ეპარქიის მღვდელ-მთავარმა შეიტყო მღვდელთა ანუ მედავითნეთა ვინმეს სრულს უნიჭობაზედ მათის წოდების მოვალეობათა აღსრულებისა განუკურნავის ავადმყოფობისაგამო,—თხოვნა კი სნეულისაგან შტატიდამ მის დათხოვნაზე არ იქმნება,—მაშინ მღვდელ-მთავარს შეუძლია დაიბაროს ამგვარი პირი შესამოწმებლად კონსისტორიაში ანუ გამოსაცდელად არქიერის სახლში. გუბერნიის სამკურნალო მთავრობის მოწმობანი მღვდელთა და ეკკლესიის მედავითნეთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზედ ითხოვებიან მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში, მაგალითებრ: როდესაც ეპარქიის მთავრობამდის მისულთ ცნობათამებრ, ვინმე—სნეულების განსაკუთრებითი თვისებათა გამო (მაგალითებრ: დავლის დაცემისა, ძარღვების დასუსტებისა, ბნედისა გამო და სხვ...) სრულიად არ შეიძლება დატოვულ იქმნეს სამსახურში, თემცა თვითონ

ავათმყოფს კი, რომელიც თავის მდგომარეობას არ სთვლის სასაშიშროდ, სურს სამსახურში დარჩეს, ანუ როდესაც შტატიდამ დათხოვილი პირი, აღნიშნული გვარის ავათმყოფობისაგამო, ხელახლა დაიწყებს მეცადინეობას სამსახურში განწესებაზედ მიზეზისაგამო სნეულებისაგან მთლად განთავისუფლებისა.

წესდებულ. სას. კონსისტ. მუხ. 82. 1865 სექდ. 29 (42506) 1869 აპრ. 16 (46974)

79. შტატს გარეთნი მღვდელნი და მედავითნენი რჩებიან ეპარქიის მთავრობის უწყებაში და თავის ყოფაქცევაში ექვემდებარებიან ზედამხედველობის საზოგადო წესს. იმათ მათის აღრჩევისა და შეძლებისა მებრ ენიშნებათ სამყოფი ადგილი რომლისა მებრ ისინი მიეწერებიან სამრევლო ეკლესიას და მას შემდგომ იჩვენებიან ყველა საბლალოჩინო უწყებებში, როგორც ხელად მყოფთ შტატს გარედ მღვდელთ შეუძლიათ დრო-და-დრო აასრულონ ღვთის მსახურება სამრევლო ეკლესიაში ადგილობრივის მღვდლის თანხმობით, გარნა ამათგან გამოირიცხებიან ისინი, რომელთაც აღკრძალული აქვსთ სახელდოფ მღვდელ-მოქმედება.

წესდებულ. სას. კონსისტ. მუხ. 83.

80. ყურადღება და მზრუნველობა ეპარქიის მთავრობისა განვრცელდება სასულიერო წოდების პირთა სახლობათა, როგორც დარჩენილთა უზრუნველად თავიანთის უფროსი წევრებისა გარდაცვალების გამო, რომლებზედაც დამოკიდებული იყო მათი რჩენა, აგრეთვე დაღარიბებულთა ზედა უბედურ შემთხვევათა გამო. გარდა შემწეობათა სამზრუნველოთაგან ღარიბთათვის სასულიერო წოდებისა,—ეპარქიის მთავრობა სხვა-და-სხვაობისა მებრ მდგომარეობათა, რომლებშიაც ამ გვართ ოჯახებს შეუძლიათ იყვნენ,—ვალდებულია: 1.) შვილები,—რომელ-

თაც შესრულებელი აქვსთ საჭირო მათის მიღებისათვის სასულიერო სასწავლებელში წლოვანება, — უნდა შეიუკანონ იმათში და ამასთანავე დაუნიშნონ მათ სახელმწიფო ხარჯი, თუ იმათ საკუთარი მამული არა აქვსთ. 2.) მცირე წლოვან—ობოლთა და მათს მამულს უნდა დაუნიშნონ კეთილ-საიმედო მზრუნველნი და მეურნენი. 3.) საქმეები შესახებ სასულიერო წოდების ობლებისა, რომელნიც შთამოებით აზნაურნი არ არიან, ეკუთვნიან სასულიერო წოდების ღარიბების მზრუნველობათა გამგეობას. შვილთათვის სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც ეკუთვნიან შთამოებითს აზნაურიშვილობას აპეკანი წესდებიან სამოქალაქო სჯულთა 236 მუხლისა მებრ. 4.) სასულიერო წოდების პირთა ობლების აპეკუნნი იმყოფებიან უმახლობელეს ზედამხედველობასა ქვეშე ადგილობრივთა ბლაღოჩინთა, რომელთაც ისინი ვალდებულნი არიან წარუდგინონ აღნიშნულნი ანგარიშნი 286 (წესდ. 2) მუხლში სამოქ. სჯულ. შესამოწმებელად და წარსადგენად სასულიერო წოდების ღარიბთათვის მზრუნველობაში გასაშინჯათ. 5.) გაყიდვის ნება სასულიერო წოდების მცირე წლოვანთა საკუთარ მოძრავთა ქონებათა შენობათა, რომელნიც აშენებულნი არიან არა საკუთარს მიწაზედ, — ეძლევის ეპარქიის მთავრობისაგან, ხოლო მიწათა და სხვათა ზემოხსენებულთ გარდა უძრავთა ქონებათა გაყიდვის ნება (გარდ. აღნიშნულთ შემთხვევათა 277 მუხ. წესდ. 3. შენიშვნ. სამოქ. სჯულ. გასყიდ. 1876 წ.) გამოითხოვების უწმიდესის სინოდისაგან. 6.) ობოლთა, რომელთაც არა ჰყავთ მშობელნი ანუ ახლო ნათესავნი, მათი მზრუნველი ანუ აპეკუნი მოუძებნის ხოლმე ბინას კეთილსა და ქველმოქმედს სასულიერო ანუ საერო წოდების გარეშე ოჯახში, ანუ საქველ მოქმედო დაწესებულებაში, ანუ დასასრულ მონასტერში აღზრდისა და სწავლებისათვის,

რასაც შეძლებისამებრ ეპარქიის მთავრობაც ხელს უწყობს.

იქვე მუხ. 84 ტ. X ნაწ. 1. სამოქ. სჯულ. მუხ. 252 გაგგრძ. 1876 წ.

81. სასულიერო წოდების პირთა, რომელთაც ცეცხლისაგან, თავიანთს მდგომარეობაში ხშირად შემთხვევიათ უბედურობა, ეპარქიის მთავრობას შემდეგ ამაზედ საქმეთა შეტყობისა შეუძლია ძალისა მებრ იმისათვის განსაზღვრულთა წესდებათა, შემწეობა აღმოუჩინოს ფულით ეპარქიის სასულიერო წოდების ღარიბთა, სამზრუნველოისაგან ხოლო თუ სამზრუნველოს არა აქვს საკმაო საშუალება, მაშინ მას შეუძლია გამოითხოვოს შემწეობა უწმიდესის სინოდისაგან.

წესდებულ. სასულ. კონსის. მუხ. 85 1867 წ. იანვრ. 17. (44130).

82. ეპარქიის მთავრობას შეუძლია მღვდელთა, ეკკლესიის მედავითნეთა და მღვდელ მონაზონთა მისცეს ნება დროებით წასვლისა სხვა ეპარქიებში ფრიად აუცილებელთ საჭირთებათა გამო და, საჭიროებისა-და-გვარად, ძლიერ ზომიერის ვადებით, და ეგრეთვე შეუძლია დაითხოვოს პირნი საერო და სამონაზონო სამღვდელოებისა სამზღვარს გარედ, ათონის მთაზედ და იერუსალიმში წმიდა ადგილთა თაყვანის საცემლად და ევროპის სახელმწიფოებში საექიმოდ, გარდა სასულიერო პირთა, რომელთაც ეპარქიის უწყებაში ისეთი ადგილები უჭირავთ, რომლებზედაც განწესება დამოკიდებულია უწმიდეს სინოდზედ; ესრეთ სამსახურის პირთა ეძლევათ უცხო ქვეყნის ბაშპორტები მხოლოდ უწმიდესი სინოდის ნებართვით.

შენიშვნა: სატახტო ქალაქებში წასასვლელად უნდა დაითხოვონ მხოლოდ უფროს ეოფაქცეგის კაცები.

წესდებულ. სას. კონს მუხ. 86; 1865 ოქტ. 14 (42560).

83. დათხოვნილთ სხვა ეპარქიებში ეძლევათ ბაშპორტები კონსისტორიათაგან გადახდით მათის ღერბის ფულისა.

წესდებულ სას. კონს. მუხ. 87; წესდებულ. ღერბ. ფულ. 17 აპრ. 1874 მუხ. 13. წერტ. 5, (დამატ. მუხ. 2. ტ. X. წესდებულ. ბაჟ. გასყიდ. 1876 და 1879 წ.)

84. გარდა სასულიერო სამსახურის უმაღლეს ხარისხთა მექონ პირთა, ბაშპორტები,—რომელნიც იძლევიან უწმიდესი სინოდისაგან განსაკუთრებითი მოწერილობათა ძალით,—უნდა განცხადებულ იქმნენ უწმიდეს სინოდში,—სხვა დათხოვნილთა პეტერბურღში მიცემულთ ბაშპორტებში უნდა ჩაეწეროსთ, რომ იმათ, დაუყონებლივ, საცხოვრო ქალაქში მოსვლის შემდეგ,—უნდა წარადგინონ ისინი პეტერბურღის კონსისტორიაში, და მერმე უნდა გამოეცხადონ ამისათვისვე უწმიდესი სინოდის ობერპროკურორს. მოსკოვში დათხოვნილთ უნდა ჩაეწერონ ბაშპორტებში, რომ იმათ განაცხადონ ისინი იქაურს კონსისტორიაში.

იქვე მუხ. 88.

85. შტატს გარეთ მღვდელთ და მედავითნეთა თუ ვინიცობაა დასჭირდებათ მეორე ეპარქიაში წასვლა, უნდა მიეცესთ ბაშპორტები. ესრეთი ბაშპორტები შეიძლება მიეცესთ აგრეთვე მღვდელთა და მედავითნეთა ქვრივებსაც და ჭასაკოვანს ქალებსაც. თუ შტატს გარეთნი უბიწო ყოფაქცევის მღვდელნი და მედავითნენი ისურვებენ ერთის ეპარქიიდგან მეორეში გადასახლებას ნათესავთან შემწეობისათვის თავის სარჩენად,—მანინ ისინი უნდა დაითხოვონ დაუბრკოლებლივ მიწერ-მოწერათა მებრ ეპარქიის მთავრობათან. ის მთავრობა,— რომლის ეპარქიაშიაც გადავლენ მღვდელნი და მედავითნენი, იღებს მათ თავის უწყებაში 79 მუხლში გარდ-

მოცემულს საფუძველსა ზედა. იმათ არა აქვსთ უფლება იმ ეპარქიის სამწრეველოსაგან შემწეობის მიღებისა, რომელშიაც არ უმსახურიათ.

იქვე მუხ. 89. 1869 მაის. 26 (47138); 1871 მარტ. 15 (49361).

86. ახდა სამღვდელო ხარისხისა და გადადგომა მონაზონობისაგან თხოვნათა მებრ სწარმოებენ მხოლოდ შემდეგ შთაგონებისა, უწმიდესი სინოდის ნებართვით, ძალისა მებრ ამისათვის განსაკუთრებით დადგენილობათა. მედავითნეთა სასულიერო წოდებისაგან დათხოვნის ნება ირთვების კონსისტორიის განჩინებაებით და ეპარქიის არქიერის დამტკიცებით

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 91 და 93.

87. კრებულთა ბლაგოჩინები ეკკლესიათა და კრებულთა დახედვის დროს, წლის გასვლის თანავე იღებენ ამ უკანასკნელთაგან კლიროვის უწყებებს ეკკლესიებზედ, კრებულზედ და სამრევლოზედ, მიცემული ფორმისამებრ, და, შეავსებენ რა მათ თავისი მოწმობებით ბეჭითობაზედ და ყოფაქცევაზედ კრებულის თითეულის წევრისა, შტატგარეთ მღვდელთა და მედავითნეთა,—თუ ისინი იმყოფებიან ეკკლესიებზედ,—წარუდგენენ ეპარქიის არქიერს.

იქვე მუხ. 94.

88. უწყებანი მონაზონებზედ და მორჩილებზედ მოწმობებითურთ მათს ყოფაქცევაზედ, წარედგინებიან ეპარქიის მღვდელმთავარს მონასტრების წინამძღვართაგან.

იქვე მუხ. 95.

89. მონასტრის და კლიროვის უწყებათაგან კონსისტორიაში სდგებიან მოკლე უწყებანი მონასტრებზედ და მონაზონებზედ და აგრეთვე ეკკლესიებზედ და კრებულებ-

ზედ და საზოგადოდ საერო სამღვდელოებაზედ მთელს ეპარქიაში და წარედგინებიან უწმიდესს სინოდს, ამა მუხლზედ თან დართულთა ფორმათა მებრ, ყოვლად სამღვდელოის ანგარიშთან ეპარქიის მდგომარეობაზედ.

იქვე მუხ. 96; 1865 ნოემბ. 23 (42701).

90. მონასტრის წინამძღვრებზედ წარედგინების უწმიდესს სინოდს უწყება, ამა მუხლზედ თან დართულის ფორმისა მებრ. კონსისტორიის წევრებზედ წარედგინებიან მხოლოდ მოკლე სახელობითი უწყებანი წლიურის მოხსენების დროს უწმიდესის სინოდისადმი ეპარქიის მდგომარეობაზედ, ხოლო ცნობანი სასულიერო სამმართველოებზედ და მათს წევრებზედ, აგრეთვე რიცხვზედ საბლალოჩინოთა იწერებიან თვით ყოვლად სამღვდელოს მოხსენებაში ეპარქიის მდგომარეობაზედ.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 97; 1865 ნოებრ. 23. (42701).

91. ეპარქიის უწყების სასულიერო პირებზედ, რომელნიც თავის სამსახურს ბეჯითად ასრულებენ და რომელთაც თავი გამოიჩინეს ეკკლესიის სასარგებლო მოღვაწეობით, ეპარქიის მთავრობას შეუძლია უწმიდესს სინოდში წარდგინება გაგზავნოს და იშუამდგომლოს მათი სამსახურის განსხვაება სასულიერო პირთათვის დადგენილი ჯილდოებით. ამის წარდგინებაებს უნდა დართონ მოკლე საჯილდოვო სიები, ამა მუხლზედ თან დართულის ფორმისა მებრ.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 98; 1864 წ. აგვისტ. 28 (41239).

თ ა ვ ი V.

სამრევლოებზედ.

92. დასაწესებლად ახალის დაუმოკიდებელის სამრევლოებისა და გასაუქმებლად არსებულთა, აგრეთვე დამოუ-

კიდებელთა სამრევლოთა, — ეპარქიის მთავრობა გამოითხოვს უწმიდესი სინოდისაგან ნებართვას, წარუდგენს რა ამასთანავე უწმიდესს სინოდს დასამტკიცებელად, — თუ ვინიცობაა ახალი დამოუკიდებელი სამრევლო დაწესდა, — თავისს დასკვნას შტატის კრებულის შედგენილებაზედ რომელიც იმაში უნდა იქმნეს (მუხ. 72.) ეს წესდება არ შეეხება შემდეგთა შემთხვევათა: 1.) როდესაც საჭიროდ დაითვლება გადაყვანა რაოდენთამე კომლთა შტატის ეკლესიიდგან ახლად ანუ უწინ აშენებულ ზედ-მიწერილ ეკლესიაზედ სიმარჯვისათვის ღვთის მსახურებისა და სამრევლოში მღვდელ-მოქმედებისა და გადასახლება იქავე ერთ-ერთის შტატში მყოფის მღვდლისა და ბრიჩეტნიკისა სამმართველოდ იმ ეკლესიის და მაზედ მითვლილთა მრევლთა. 2.) როდესაც დამოუკიდებელ სამრევლოში, რომელსაც აქვს ორი ანუ სამი ეკლესია საკუთარი მღვდლებითურთ, ადგილობრივ გარემოებათა გამო აღმოჩნდება საჭიროება, რათა სოფელი ერთი ეკლესიიდგან მეორეს მიეწეროს და 3.) როდესაც აღმოჩნდება საჭიროება, რათა სოფელი მიეწეროს ერთის დამოუკიდებელი სამრევლოდგან მეორე დამოუკიდებელს სამრევლოს; ყველა ამ შემთხვევაში ეპარქიის მთავრობა იქმს განკარგულებას უწმიდესი სინოდისგან ნებართვის აუღებლად. მაგრამ არსებელის ანუ ახლად აშენებელის ეკლესიის სამართავად (მუხ. 1) თუ საჭიროდ აღმოჩნდება დაუმოკიდებელი სამრევლოის კრებულის შტატის შედგენილობის გადიდება ახალთა ვაკანსიათა გახსნით, მაშინ კრებულის ამგვარს გადიდებაზედ ეპარქიის მთავრობის დასკვნა, თანახმად 71 მუხლისა ამა წესდებულებისა, წარედგინების დასამტკიცებელად უწმიდესს სინოდს.

უმაღ. ბრძან. 1871 მარტ. 20, VI; უმაღ. ბრძან. 1873 წ. აპრ. 7, III, 1 და 2.

93. ზოგიერთ მრევლთა მღვდელზედ უკმაყოფილებისა გამო სამრევლოის სამზღვრები არ უნდა იქმნენ, შეცვლილი, რასაც შეუძლია სამრევლოები მოშალოს და ეკკლესიის საბუთები არიოს, მაგრამ უნდა განიხილონ უკმაყოფილების მიზეზნი და მიანიჭონ მართლ - მსაჯულება.

წესდებულ სას. კონს. მუხ. 102.

94. ყოველს საკუთარ ცალკე სამრევლოს საზღვრებში მდებარე ეკკლესიისათვის, რომელსაც განსაკუთრებული მღვდელი ჰყავს, მრევლნი ირჩევენ თვის შორის კეთილ მსახურს კაცს ეკკლესიის მნათედ ქონებაზედ და მთელის ეკკლესიის მეურნეობაზედ საზრუნველად. ეკკლესიის მნათენი, ეპარქიის მთავრობის შეხედულობისა მებრ, შეიძლება აღმორჩეულ იქმნენ იმ ეკკლესიებზედაც, რომლებიც იმყოფებიან სამრევლოებში და რომელთაც არ ჰყავსთ განსაკუთრებულნი მღვდელნი.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 99; 1869 აპრ. 16 (46974), 1, 1; უმაღ. ბრძან. 1871 მარტ. 20, II, 4.

95. მნათე ირჩევა სამის წლით, კრებულის თანხმობით და დამტკიცდება ეპარქიის მღვდელთ-მთავრისაგან. თუ ვინიცობაა ეჭვი ჩამოვარდა აღრჩევის კანონიერებაზედ საქმე განიხილების კონსისტორიაში.

შენიშვნა: ეკკლესიის მნათენი უმრევლო ქალაქის ეკკლესიებისათვის ირჩევიან ქალაქის სამსჯავროებში, თვით იმ საფუძვლით, როგორც ეს ხდება აღრჩევების დროს ქალაქის თანამდებობავებზედ და ამისათვის ბლაღოჩინები ქალაქის აღრჩევების ვადის დაწყების წინ გზავნიან იმ პირთა სიას, რომლებისაგანაც უმრევლო ეკკლესიების სამღვდელოებას სურს ყავდეს ეკკლესიის მნათე. ქალაქის სამსჯავროები ამ საგანზედ მათგან დადგენილთა განჩინებათა ხსენებულის სიების უკანვე დაბრუნებით უგზავნიან ბლაღოჩინებს, რათა მათ ისინი წარუდგინონ ეპარქიის მღვდელთ-მთავარს განსახილველად და დასამტკიცებლად.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 100; 1858 დეკემბრ. 13 (33888).

96. ეკლესიის მნათენი თავის მოვალეობის აღსრულების დროს მოქმედებენ დარიგებისა მებრ რომელიც ეძლევათ მათ სამსახურში შესვლის დროს. აღრჩევა სამის წლის ვადით შეიძლება გამეორებული იქმნეს ერთსა და იმავე სამრევლოთაგანზედ, თუ კრებული, ბლაღოჩინი და მრევლნი სთვლიან ამას სასარგებლოდ, და აგრეთვე ასარჩევი პირი თვითონ განაცხადებს ამაზედ თავის თანხმობას.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 101.

97. ყველა მღვდელ მოქმედებანი მრევლთა უსრულდებათ მათ სამრევლო მღვდელთა და მედავითნეთაგან. მაგრამ თუ ვინიცობაა წარმოდგა აუცილებელი საჭიროება ავათმყოფის დაუყონებლივ ზიარებისა, ანუ სიკვდილზედ მიწევნილის ურმის გადაუდებლად მონათვლისა, ხოლო ადგილობრივმა მღვდელმა რაიმე მიზეზისა გამო ვერ შესძლო მოსვლა საჭირო სიჩქარით, ამ გვარს შემთხვევაში არც ერთს მღვდელს არა აქვს ნება უარი სთქვას მღვდელ-მოქმედებათა აღსრულებაზედ.

იქვე მუხ. 103.

98. მაგრამ ყოველს შემთხვევაში მღვდელი, რომელმაც შეასრულა სხვა სამრევლოის ბავშვის ნათვლა, ვალდებულია მისცეს ამაზედ წერილობითი მოწმობა, აღნიშნვით თუ სახელდობ რომელ თვის რიცხვსა და რომელის ნომრით ჩაწერილია მღვდელ-მოქმედება ეკლესიის წიგნებში, ესე საბუთი მიაქვსთ მრევლთა სამრევლო კრებულთან ეკლესიის საბუთებთან შესანახავად.

იქვე მუხ. 104.

99. დაბადებულნი, ჯვარდაწერილნი და გარდაცვალებულნი სამრევლოებში იწერებიან მეტრიკის წიგნებშიდ მიცემულის ფორმისა მებრ. ეს წიგნები იწერებიან

ორ ცალად, რომელთაგან ერთი წარიდგინება კონსისტორიაში და მეორე ინახება ეკლესიაში.

იქვე მუხ. 105.

100. ყოველს მრევლს, რომელზედაც პირად ანუ მისი ჯალაბის მწევრზედ, ჩაწერილია რამე ამბავი სამეტრიკო წიგნში, აქვს უფლება, ღვთის მსახურების გათავების შემდეგ, სთხოვოს მდივანს აჩვენოს მას, თუ სახელდობ როგორაა ჩაწერილი ის მოქმედება, და, თუ შეცდომა აღმოჩნდა, სთხოვოს გასწორება და ჩვენების სინამდვილე შეამოწმოს წერილით განსაკუთრებულს ხაზში. მდივანნი და მედავითნენი შეცდომათა თავიდამ ასაშორებლად, აღასრულებენ რა რომელიმე მდივანმოქმედებას და ჩასწერენ რა მას მეტრიკაში, მაშინვე მოიწვევენ მონაწილეთა და დამსწრეთა ნაჩვენების სინამდვილის განსახილველად და დასამოწმებლად ამისა თვით მეტრიკებზედ.

იქვე მუხ. 106.

101. მრევლთა შეუძლიათ სამრევლოის კრებულისაგან მიიღონ მეტრიკის წიგნებიდგან მოწმობანი, მათ ანუ მათის ოჯახის წევრთა, შესახებ შობისა, ქორწინებისა ანუ დასაფლავებისა ესე მოწმობანი უნდა იყვნენ მხოლოდ სიტყვა-სიტყვად ამოწერილობა მეტრიკის წიგნის რომელიმე მუხლისა, სრულიად შეუცვლელად და გამოუტოვებლად. ისინი ხელ მოიწერებიან პირად დამსწრე კრებულის წევრთაგან, მტკიცდებიან ეკლესიის ბეჭდის დასმითა და ექვემდებარებიან ღერბის ბაჟსა.—

იქვე მუხ. 107; ტ. IX გამოც. 1876 მუხ. 1052.

102. კონსისტორიას ვალად ედების სამრევლო ეკლესიებზე დაარიგოს წიგნები ჩასაწერად საქორწინე გა-

მოძიებათა (ობისკთა), და, ახლების მიცემის დროს,— უწინდელთა რიგიანობის შემოწმება და განხილვა იმათში აღმოჩენილთ ურიგოებათა.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 108.

103. დაბადებულებზედ, ქორწინებით შეუღლებულებზედ და გარდაცვალებულებზედ თვითოეულის წლის განმავალობაში უწმიდესს სინოდს, ყოვლად სამღვდელოის წლიერს მოხსენებასთან ეპარქიის მდგომარეობაზედ წარედგინების უწყება ამ მუხლზედ თან დართულის ფორმისა მებრ.—

იქვე მუხ. 109; 1865 ნოემბ. 23 (42701).

თ ა ვ ი VI.

მეურნეობაზედ ეპარქიის უწყების ადგილებში.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ებ ა I.

არქიერის სახლთა მეურნეობაზედ.

104. მღვდელთ-მთავრის სახლის მეურნეობას მართავს იკონომოსი, განწესება და დათხოვნა რომლისაც დამოკიდებულია მღვდელთ-მთავარზედ. იკონომოსი ჭკვრებს და სწერს შემოსავალთა, თვალყურს ადევნებს მის რიგზედ შემოსვლას და წარუდგენს ეპარქიის მღვდელთ-მთავარს ანგარიშს თავის მოქმედებაზედ და განკარგულებებზედ.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 110.

105. კონსისტორია წარუდგენს არქიერს პატივდებაშიდ მისადებად, მისის მინდობილობით ანუ საკუთარის მოსაზრებით, თავის დასკვნათა შესახებ ყოვლისა, რაც

მღვდელთ-მთავრის სახლის სარგებლობასა და შესამატ-
თა შეეხება ძალისა მებრ უფლებათა და უპირატესობათა,
რომლითაც უმაღლესად მინიჭებულნი აქვსთ მღვდელთ-
მთავრის სახლებს.

იქვე მუხ. 111.

106. კონსისტორიის მონაწილეობა მღვდელთ-მთავ-
რის სახლის საქმეებში აუცილებელია შემდეგს შემთხვე-
ვებში:

ა.) საბეგროდ ანუ საიჯაროდ გაცემის დროს უძრავ
მამულთა და საზოგადოდ საბეგრო მამულთა ამა შემთხვე-
ვაში კონსისტორია ვრცლად მოსაზრავს განზრახულს
იჯარით გაცემას განიხილავს კანტრახტის პირობათა სარ-
გებლობასა და კანონიერებას და წარუდგენს თავის დასკვნას
ყოვლად სამღვდელოს.

ბ.) დანიშვნის დროს მოსაჭრელად, გასასყიდვლად
ტყის ნაწილისა მამულებიდგან, რომელნიც ეკუთვნიან
ყოვლად სამღვდელოის სახლს, კონსისტორია იღებს სა-
ხეში საზოგადო წესდებათა სახელმწიფო ტყეთა მოვლა-
ზედ და სარგებლობათა სახლისთვის და შეაქვს ყოვლად
სამღვდელოსთან თვისი აზრი განსახილველად და წარსა-
დგენად უწმიდესის სინოდისადმი.

გ.) სყიდვის, ანდერძის ანუ ვინმესგან საჩუქრად მიცე-
მის დროს უძრავ მამულთა. ამის გამო კონსისტორია მარ-
თავს მსჯელობას და მიწერ-მოწერას ვისთანაც ჯერ-არს
იმაზედ: აქვსთ თუ არა მოანდერძეთ ანუ შემწირველთა
თვითონ უფლებანი ესრეთის განკარგულებისა ამ მამულებ-
ზედ და დაცულნი არიან თუ არა ყველა ფორმები, რო-
მელნიც დადგენილნი არიან ამ გვართა შემთხვევათათვის.
თავის მოსაზრებათა და მიწერ-მოწერათა შედეგზედ კონ-
სისტორია, თავის აზრითურთ, წარუდგენს ყოვლად სამღვ-
დელოს, და თუ არა ვითარი დაბრკოლება არ არის ნაან-
დერძევის ანუ შემოწირულის მიღებისა, მაშინ ყოვლად

სამღვდელო მოახსენებს უწმიდესს სინოდს გამოსათხოვნად უმაღლესის ნებართვისა იმ მამულის დასამტკიცებლად მღვდელთ-მთავრის სახლის საკუთრებათ.

იქვე მუხ. 112.

107. ფულების შესახებ, რომელნიც ხაზინიდგან იძლევიან არქიერის სახლთათვის, კონსისტორია თვალყურს ადევნებს თავთავის დროზედ ანგარიშთა წარდგენას სადაცა ჯერ-არს.

იქვე მუხ. 113.

108. კონსისტორია სინჯავს მღვდელთ-მთავრის სახლის საეკონომოსო წიგნებს და ყოველ წლობით ამოწმებს მისი საკუთრების ხელუხლებლობას ვინმეს საშვალებით რწმენებულთა სასულიერო პირთაგან, მისის (კონსისტ.) აღრჩევით და ყოვლად სამღვდელოის დამტკიცებით.

109. უნამდვილესის შემოწმებისათვის კონსისტორიაში იმექონების ვრცელი ზონარგაყრილი და დაბეჭდილი აღწერა არქიერის სახლის ყოველივე ქონებისა. მეორე ამ გვარი აღწერა იმყოფება იკონომოსის ხელში. იმაში შედის ყველა შემოსული ნივთნი გარდა მცირე და ადვილად წასახდენ ნივთთა, რომელთა განსაკუთრებითთს სიას ინახავს იკონომოსი.

იქვე მუხ. 115.

110. იკონომოსების დათხოვნის დროს კონსისტორია, ყოვლად სამღვდელოის წინადადებით, ერთის ანუ ორის მწევრის საშვალებით, სეკრეტრის დასწრებით, შეამოწმებს ფულებს და არქიერის სახლის ყოველს ქონებას წიგნებისა და საბუთებისა მებრ, და ამ გვარის შემოწმების

შემდეგ სიით აბარებს სახლის ახალს იკონომოსს აღნუსხვით.

იქვე მუხ. 116.

111. თუ წინანდელი იკონომოსი შენიშნულია რაიმე დაუდევნელობაში და უყურადღებობაში, რომელთაც მოჰყვა სახაზინო ქონების დაფანტვა,—მაშინ ამაზედ, ყოვლად სამღვდელოის გადაწყვეტილებისა მებრ, ხდება კონსისტორიაში განსაკუთრებითი განხილვა და რაც აკლია ანუ დახარჯულია, ხდება დამნაშავეს.

იქვე მუხ. 117.

112. ყოვლად სამღვდელოის მეორე ეპარქიის კათედრაზე გადაყვანის დროს, კონსისტორია ამოწმებს სახლის ყოველს ქონებასა და ფულებს, თუ რამეში აღმოჩნდება ნაკლულევანება, წარმომდგარი თვითონ ყოვლად სამღვდელოს პირდაპირის განკარგულებისაგან, მაშინ კონსისტორია წარუდგენს მას ამაზედ, და მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლულევანება შეივსება, ანუ ყოვლად სამღვდელოსგან მოხდენილი განკარგულება აიხსნება კანონიერი მიზეზებით,—აძლევს მიმავალს ყოვლად სამღვდელოს კვიტანციას და მოახსენებს ამაზედ როგორც უწმიდესს სინოდს, აგრეთვე ახლად განწესებულს ყოვლად სამღვდელოს შემდეგ იმის მობრძანებისა და თან წარუდგენს მას სახლის ყოველ ქონებათა და ფულთა ნუსხას და თვით საქმეს მის მიღებაზედ.

იქვე მუხ. 118.

113. ხაზინიდამ არქიერისადმი მის შესანახავად მიცემული ფულების შესახებ, თუ ის გარდაყვანილ იქმნა, კონსისტორია შვრება ანგარიშს, თუ რამდენი ფული ერ-

გება მას უმაღლესის უქაზის გამოსვლის დღემდის მის გადაყვანაზედ.

იქვე მუხ. 119.

114. არქიერის გადაყვანის დროს მეორე კათედრაზე, ანუ მის გარდაცვალების დროს, ახლის მობრძანებამდის, კონსისტორია იღებს თავის გამგეობაში შემოსავალ-გასავალ წიგნთა მებრ ყველა საჯამაგირო და ჯამაგირს გარეშე და დანიშნულს ფულებს და არქიერის სახლის იკონომოსის საშვალებით მოახდენს ხარჯს, მხოლოდ განსაზღრულს და აუცილებელს საჭიროებათათვის მოსამსახურე პირთა ჯამაგირისა და შენახვისათვის.

იქვე მუხ. 120.

115. თუ ვინიცობაა ყოვლად სამღვდელო გარდაიცვალა, გარდა არქიერის სახლის შემოწმებისა, თანახმად წინამავალი მუხლებისა, პოლიციის მოხელის და ნათესავების დასწრებით, თუ ისინი თვალად არიან, სდგება სია შესატყობლად მრთელის ქონებისა, რომელიც პირად ეკუთვნოდა გარდაცვალებულს ყოვლად სამღვდელოს. ამასთანავე ხდებიან შემდეგნი განკარგულებანი ყოვლად სამღვდელოის საკუთრებაზედ.

ა.) სამოსელთ საცავთა ნივთები გადადიან საკუთრებაში საკათედრო ეკლესიისა ანუ საკათედრო მონასტრისა, თუ რომ ყოვლად სამღვდელოს არ დაენიშნავს ისინი სხვა რომელიმე ეკლესიისათვის.

ბ.) სხვა ქონებაზედ ცნობა ეძლევა სამოქალაქო მთავრობას, გამოსაწვევად მემკვიდრეთა და შესამოწმებლად ამ მემკვიდრეთა პიროვნობისა და უფლებებისა.

გ.) თუ აღმოჩნდება, რომ ყოვლად სამღვდელოს ანდერძი გაუკეთებია, მაშინ ის გადაეცემის ჯეროვანს სასამართლო ადგილში დასამოწმებელად. თუ ანდერძი დამოწმდება და მისი შესრულება უნდა შეეხოს სასულიერო

უწყების ადგილთა და პირთა, მაშინ კონსისტორია თვითან შეუდგება აღსრულებას. თუ პირნი, რომელთაც ერგებათ რამე უოვლად სამღვდელოის ქონებიდგან, ეკუთვნიან სამოქალაქო უწყებას, მაშინ აღსრულება მიენდობა ადგილობრივს სამოქალაქო მთავრობას, რომელსაც ქონებაც თან გარდაეცემის.

დ.) თუ უოვლად სამღვდელოის ნათესავები, დაბარებისა მებრ. არ გამოამცხადდებიან დანიშნულს ვადაზედ, მაშინ მისი ქონება გადადის არქიერის სახლის სასარგებლოდ.

ე.) ამასობაში იგი დაცულია ხელუხლებლად კონსისტორიის ერთს მწევრთაგანის და არქიერის სახლის იკონომოსისაგან ბლიტე დადებული და კონსისტორიის ბეჭედ დასმული, და თუ ფულები დარჩება, მაშინ ისინი იგზავნებიან ერთს რომელიმე სანდო წესდებულებაში და მათი ბილეთი ინახების კონსისტორიაში.

და ვ.) აღმოჩენილს ქონებაზედ და ანდერძზედ და მოხდენილს განკარგულებაზედ მოხსენდების უწმიდესს სინოდს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იმ ადგილებში, სადაც შემოღებულნი არიან სამსჯავრო წესდებანი 20 ნოემბრის 1864 წ., აღწერა უოვლად სამღვდელოს შემდეგ დანარჩენი ქონებისა ხდება წესდებათა მებრ, რომელნიც ნაჩვენებნი არიან სამოქალაქო სასამართლოს წარმოების წესდებულებაში.

იქვე მუხ. 121 ტ. X. ნაწ, 2, წესდებულ. სამოქ. სასამართლ. წარმ. გამოც. 1876 წ. მუხ. 1401—1460.

116. თუ აღმოჩნდება რაიმე დანაკლისი სახაზინო ქონებაში, ანუ ფულების ნაკლებობა, და უოველი ესე გარდაცვალებულის უოვლად სამღვდელოის პირადის მოქმედების შესახები იქმნება, მაშინ შევსება დანაკლისისა შეიძლება დაინიშნოს მისგან დაშთენილის ქონებისაგან მხოლოდ შემდეგ კანონიერის მოსაზრებისა და წარდგინებისა ამაზედ უწმიდესის სინოდის განსახილველად და ნება

დასართველად. აღმოჩენილს დანაკლისზედ უნდა წინდაწინ შეატყობინონ სამოქალაქო მთავრობასა, თუ იქვე გარდაიცემის საქმე გარდაცვალებულის მღვდელთ-მთავრის ქონებაზედ, და საჩივრის დასაკმაყოფილებლად საჭირო ნაწილი ქონებისა უნდა დაკავებულ იქმნეს კონსისტორიის უწყებაში.

წესდებულ. სას. კონს მუხ. 122.

117. შესახებ ხაზინიდამ დანიშნულის ფულებისა არქიერის სარჩოდ, თუ ვინიცობაა ის გარდაიცვალა, უნდა მოიქცენ 113. მეხლისა მებრ, და ფული, რომელიც მას უნდა რგებოდა გარდაცვალების დღემდის, მიეთვლება მის შემდეგ დანარჩენს ქონებას.

იქვე მუხ. 123.

განყოფილება 2.

მონასტერთა მეურნეობაზე.

118. მონასტრებში, რომელნიც იმყოფებიან ეპარქიის უწყებაში, პირდაპირი მართვა იკონომიისა მიენდობათ წინამძღოლთა უფროს ძმათა და დათა რჩევითურთ. ხოლო ზედამხედველობა ესრეთს მართვაზედ ეკუთვნის ეპარქიის მთავრობას და ამიტომ სწარმოებს კონსისტორიაში.

იქვე მუხ. 124.

119. უმახლობელესი ზედამხედველობა ეპარქიის მთავრობისა მონასტრების იკონომოსობაზედ სწარმოებს ბლაღოჩინების საშვალებით, რომელნიც ამიტომ ვალდებელნი არიან შეამოწმონ შემოსავალ-კასავლის საიკონომიო წიგნები, შევიდნენ მეურნეობის მდგომარეობაში და წარედგინონ ეპარქიის მთავრობას თავიანთ დაგვარვება-

თა შედეგებზედ, ესე ბლაღოჩინების მოხსენებანი განიხილ-
ვებიან და მოისაზრებიან კონსისტორიაში. შემდეგ მიღე-
ბისა ცნობათა რაიმე უწესოებებზე ანუ შემდეგ ამაების და-
ნახვისა ანგარიშთა და საქმეთაგან, ინიშნებიან განსაკუთრე-
ბულნი პირნი მონასტრის მეურნეობის განსახილვე-
ლად.

იქვე მუხ. 125.

120. კონსისტორიაში იმექონების ვრცელი აღწერა
მონასტერთა მრთელის მამულისა, ესრეთი აღწერა იმექო-
ნების აგრეთვე თვით მონასტრებშიც, რომელშიაც შთაი-
წერებიან ხოლმე ყოველი შემოსული ნივთები, გარდა-
მცირე და ადვილად წასახდენ ნივთთა, რომლებზედაც
სდგება მონასტრებში განსაკუთრებული სია.

იქვე მუხ. 126.

121. ამა ნუსხათა და სიათა, რომელნიც მაშინვე უნ-
და შემოწმებულ იყვნენ წიგნებთან და საბუთებთან იმ
დროის განმავალობაში, რომელიც გასულა უკანასკნელის
განხილვის აქეთ, დათხოვნილი წინამძღვარი აბარებს მო-
ნასტრის ახალს, ანუ, თუ იგი ჯერ კიდევ არ მოსულა,
დანიშნულს ეპარქიის მთავრობისაგან სასულიერო პირს,
მონასტერთა ბლაღოჩინის, ანუ სხვა რწმუნებულის პირის
საშვალებით. ყოველს ამაზედ, შემდეგ აღსრულებისა,
ვრცლად მოხსენდების კონსისტორიას შეამავალისა, ჩამ-
ბარებლისა და მიმღების საზოგადო ხელის მოწე-
რით.

იქვე მუხ. 127.

122. თუ ვინიცობაა მოკვდა წინამძღვარი მონასტ-
რის ანუ მონასტრის საკუთრების მართვას იღებს თავზედ
ნაცვალი ანუ ხაზინადარი, და თუ არც იგი არის, მაშინ

უფროსი ნამდვილად მოსამსახურე მღვდელ-ბონაზონთა-განი სხვა უფროსის ძმობის დასმარებით, ეპარქიის მთავ-რობის განსაკუთრებითს განკარგულებამდის.

იქვე მუხ. 128.

123. ამა საზოგადო საცხოვრებლის მონასტრის გარ-დაცვალებულის წინამძღვრის საკუთრებას უნდა მოექცნენ როგორც ნათქვამია 115 მუხლში არქიერის საკუთრება-ზედ; ხოლო ყოველი ქონება, დაშთენილი სიკვდილის შემდეგ საზოგადო საცხოვრებლის მონასტრის წინამძღვ-რისა, თუნდაც ეს კიდევაც არ იყოს აღნიშნული მონას-ტრის საბუთებში, — ითვლება მონასტრის საკუთრებად.

იქვე მუხ. 129. 1862 სეკტ. 17 (38687).

124. აღწერის დროს გარდაცვალებულის წინამძღვ-რის ქონებათა, ეპარქიის მთავრობისგან ამისათვის გამოგ-ზავნილ პირთ, ანუ უფროსმა ძმობამ, უნდა მოიწვიონ ამაზედ დასასწრებლად პოლიციის წევრნი.

წესდებულ. სას. კოსს. მუხ. 130.

125. წინამძღოლთა მოხსენებანი მონასტერთა საჭი-როებაზედ განიხილვებიან და მოისაზრებიან ვრცლად კონსისტორიაში. ამასთანავე 1) თუ გამოითხოვების მომი-ჯვნა სახნავთა ანუ ტუიანთა ადგილთა: მაშინ მიექცევის ყურადღება ესრეთ ადგილთა რაოდენობას მონასტრებთან, რომელთათვის იმათ თხოულობენ, და აგრეთვე იმაზედაც, ნამდვილად სჩანს ამაში საჭიროება თუ არა, და სახელ-დობ ხაზინის უწყების რომელი მამულებიდგან. თხოულო-ბენ იმ ადგილებს; და 2) თუ გამოითხოვების ტუის მიცე-მა რომელიმე შენობათათვის: სახელდობ რამდენისა, რა ზომისა და რა საჭიროებისათვის, — რაზედაც უნდა იყოს თანდართული თვით სმეტაც. ამ გვარის განხილვის შემ.

დეგ კონსისტორია თავის დასკვნაზედ მოახსენებს ეპარ-ქიის არქიერს მიწერ-მოწერისათვის სახელმწიფო ქონებათა ადგილობრივს სამმართველოსთან, მაშინ, როდესაც განსაკუთრებულ გარემოებათაგამო რომელიმე სავანისა ეპარქიის მთავრობა აუცილებლად დაინახავს იშუამდგომ-ლოს მისცენ მათ აგარაკნი დადგენილ წესდებათა მიუხე-დავათ გარდა სამიჯნავო კანონთაგან განსაზღვრელის წი-ლისა, ანუ როდესაც ეპარქიის მთავრობის შუამდგომლო-ბა უსასყიდლოდ ტყის მოცემაზედ სახაზინო მამულებიდ-გან შესაკეთებლად და ასაშენებლად მონასტერთა შენობე-ბისა ადგილობრივის მთავრობისგან სახელმწიფო ქონება-თა რაიმე მიზეზისა გამო არ იყო პატივდებაში მიღებუ-ლი, ყოვლად სამღვდელო ამაზედ მოახსენებს უწმიდესს სინოდს.

იქვე მუხ. 131; 1865 ნოემბ. 4. (42637); 1865 ნოემბ. 4 (42639).

126. მონასტრების უძრავ ქონებათა ღალით ანუ იჯა-რით და სხვ. გაცემის დროს და უძრავ მამულთა ანდერ-ძისა, გასყიდვის ანუ დათმობის დროს მონასტრებისადმი, კონსისტორია იქცევა 106 მუხლისა მებრ არქიერის სახ-ლებზედ.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 132.

127. ზემო აღხსნილ განკარგულებათა მებრ, კონ-სისტორიას უნდა ჰქონდეს თვითან ნამდვილი ცნობანი მონასტერთა შემოსავალზე,—საფუძველსა ზედა ანგარი-შის წესდებათა. ამ გვარ ცნობათა გამო დადებულის ხარ-ჯებიდამ მორჩენილი ფულები მიეთვლებიან მონასტერთა თავნ ფულებს, და ეპარქიის მთავრობა ზრუნავს, რომ ისინი თავის დროზედ იგზავნებოდნენ სანდო დაწესებუ-ლებებში, მატულობდნენ სარგებლით და იმექონებოდნენ სახეში.

იქვე მუხ. 133.

128. შესაფერ მონასტერთა თავნის ფულების მდგომარეობისა ეპარქიის მთავრობა ადგენს მოსაზრებას რიგორც მონასტრის გარეგანის მოწყობილობისა, აგრეთვე მისის სამეურნეოო გამგეობის გაუმჯობესობაზედ და აღსრულებაზედ სხვა ფიქრთა და განზრახვათა წმიდა ეკლესიის სასარგებლოდ.

იქვე მუხ. 134.

129. ეპარქიის უწყების მონასტრებისა, წინამძღვართა უფროსი ძმობის რჩევითურთ, ნება ეძლევის მონასტრის ეკლესიებში წვრილმანის გაახლების მოსახდენად შესაძენად მონასტრისთვის საჭირო ღვთის მსახურებით და მოძღვრებით წიგნთა, მოსაპოებლად და გასასწორებლად ავეჯოულობისა, სამოსელთ საცავისა, და აგრეთვე გადასასწორებლად და შესაკეთებლად მონასტრის შენობებში იხმარონ სახარჯოდ მონასტრის ეკონომიურის ფულებიდგან ერთ დროულად ხუთას მანეთამდე, ეპარქიის მთავრობის ნებართვის გამოუთხოვნელად, მაგრამ ბლაღოჩინის შეტყობინებით, გარდა გაახლებათა ტაძარში მის უმთავრეს ნაწილთა დარღვევით, რაზედაც უნდა გამოითხოვონ კურთხევა ეპარქიის არქიერისა. თუ ვინიცობაა მონასტრის მთავრობამ განიზრახა ეკონომიურის ფულებიდამ თავისთვის საჭირო და სასარგებლო, რაიმესათვის ხუთას მანეთზე მეტის ხმარება, იგი არ ჰკიდებს ამას ხელს თავის თავად, არამედ გამოითხოვს ეპარქიის მთავრობისა, ნებართვას რომელიც, განსჯის რა საჭიროებას და განზრახულის განკარგულების. სარგებლობას იძლევა მისი აღსრულების ნებას, ამისათვის ქონებულთ საშვალებათა მიხედვით.

იქვე მუხ. 135; 1865 ნოემბ. 23 (42698).

განყოფილება 3.

ეკკლესიათა მეურნეობაზე.

130. ეკკლესიების შესახებ ეპარქიის მთავრობა ვალდებულია თვალყური ადევნოს რათა მათი საოჯახო საშვალებანი ხმარებულ იყვნენ ეკკლესიების სასარგებლოდ ჯეროვანის წინდახედულებით, კრებული ყოვლად სამღვდელოის ნებართვის გამოთხოვის თანავე ეკკლესიისთვის რაიმეს შესაძენად ეკკლესიის ფულებით, განმარტებს ვრცლად ყველა მის საჭიროებათა და საშვალებათა, ხოლო ეპარქიის მთავრობა იძლევა განზრახულის შეძენის ნებას მაშინ, როდესაც ეკკლესიას აქვს უსაჭიროესი საგნები, რომელნიც ღვთის მსახურებას ეკუთვნიან, როდესაც არ იგულვებიან სხვა უმთავრესნი საჭიროებანი, და როდესაც განზრახული ხარჯი თან შეზომილია ეკკლესიის საშვალებაებთან.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 138.

131. თუ საეკკლესიო ფულები მოგროვდნენ ბლომად და ეკკლესიისთვის არავითარი საჭიროებანი არ იქმნებიან სახეში, მაშინ ეკკლესიის კრებული ეკკლესიის სახელზედ მნათეს ხელით ჭვზავნის ნამეტნავს ფულებს სახელმწიფო სანდო დაწესებულებებში გასადიდებლად სარგებლით; ამასთანავე კრებულთა და მნათეთა უსათუო მოვალეობა ედებათ დაუჭირვალად არ დასტოვონ ეკკლესიასთან ას მანეთზედ მეტი. სანდო დაწესებულებებში შეტანილ ფულთა ბილეთები დაცულ არიან ეკკლესიებში და მიღებულნი სარგებელნი იქცევიან ეკკლესიის ფულად.

იქვე მუხ. 139; 1865 ოკტომ. 14 (42562) 1878 აგვ. 25 (58814).

132. შესახებ ეკკლესიის კრებულის შენახვისა ეპარ-ქიის მთავრობა თვალყურს ადევნებს, რათა მღვდელთა და მედავითნეთა ჰქონდესთ ყოველი საშვალებანი შენახვისა რომელნიც მათთვის განსაზღვრულნი არიან კანონებით, და სარგებლობდნენ მით ისე, როგორც დაწესებულია.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 140.

133. მრთელი ქონება ეკკლესიათა, უძრავი მამული იქნება საზოგადოდ, თუ ფული, უნდა ვრცლად იცოდეს ეპარქიის მთავრობამ, რომელიც ზედა მხედველობს მას, ბლაღოჩინთა და სხვა რწმუნებულ პირთა საშვალებით.

იქვე მუხ. 141.

134. ეკკლესიის სასარგებლოდ და კრებულის სარ-ჩენად ყოველს შეწირულებაზედ, რომელიც შეადგენს არა ნაკლებს ასი მანეთისა ნივთით ანუ საფასით კრებული ეკ-კლესიისა მნათითურთ მოახსენებს ეპარქიის მთავრობას, რომელიც ყოველს ერთის წლის განმავალობაში შემო-სულს შემოსაწირავებზედ ეკკლესიებში, მონასტრებში და სხვა დაწესებულებებში, რომელნიც იმყოფებიან ეპარქიის უწყებაში, მოახსენებს უწმიდესს სინოდს, როგორც დამა-ტებას ყოველად სამღვდელოის წლიურის ანგარიშისა ეპარ-ქიის მდგომარეობაზედ.

იქვე მუხ. 142; 1852 იან. 28 (25944); 1852 დეკემ. 31 უქ. უწმ. სინ. განყოფ. III ბ. 14

135. საეკლესიო მიწები, საფალო აგარაკები და თავ-ნი ფულები, დადებული ვისმესგან მუდამ საბრუნებლად ბანკის წესდებულებებში სასარგებლოდ ეკკლესიათა ანუ კრებულთა, უნდა ნაჩვენები იყვნენ კლიროვის უწყებებში.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 143.

136. პირი ამაზედ თანდართულ შედგენილთ წესდებათაებრ აღწერილობათა ქონებით უდიდესის ეკლესიებისა წარიდგინების კონსისტორიაში: აღწერილობაში უნდა მთაწერილ იყვნენ ეკლესიის შენობათა პლანებიც, პლანები მიწებისა, სამიჯნავო წიგნები და სხვ. როდესაც სიები შემოსავალ ნივთთა საკმაოდ გადიდდებიან, მაშინ კრებული გამოითხოვს კონსისტორიიდგან ახალს ზონარგაურილს წიგნს.

იქვე მუხ. 144.

137. შესახებ საეკლესიო მამულთა დალით გაცემისა და შესახებ შემთხვევით ანდერძისა გასყიდვისა, ანუ დათმობისა ეკლესიის სასარგებლოდ ესრეთის მამულებისა,—კონსისტორია მოქმედებს საფუძველსა ზედა 106 და 126 მუხლებზედ არქიერის სახლთა და მონასტერთა.

იქვე მუხ. 145.

138. შესახებ ფულებისა, რობელნიც ეკლესიაში შემოდიან, სხვა-და-სხვაობისა გამო მათი შემოსვლის წყაროთა, ხდებიან სხვა-და-სხვა განკარგულებები, სახელდობ:

1.) შესახებ ფულებისა, რომელთაც იძლევიან ხაზინიდამ, კონსისტორია თვალყურს ადევნებს უეჭველს აღსრულებას წესდებათა დანიშვნაზედ მისაცემ ფულთა უწმიდესი სინოდის უწყებაში;

2.) ხოლო სხვა ფულების შესახებ კონსისტორია თვალყურობს, რათა ისინი იწერებოდენ შემოსავალ-გასავალ წიგნებში რათა ყოველთვიურ შემოწმებული იყვნენ ეკლესიის კრებულისაგან მნათითურთ და ფრიად საპატიო მრევლთაგან, და რათა იმათგან არა ვითარი მნებელობითი ხარჯები არ იყოს მოხდენილი,

იქვე მუხ. 146; 1870 დეკემბ. 21. (49045).

139. ეკლესიებისგან მიცემულს გვირგვინაკების შე-

სახებ, რომელთაც ადგმენ მიცვალებულებს და შესახებ შესანდობელის ლოცვებისა კონსისტორია თვალყურს ადევნებს, რათა ისინი ყოველთვის საკმაოდ იყვნენ ეკლესიებში და რათა იმათში აღებული ფულები იგზავნებოდნენ სადაცა ჯერ არს. კონსისტორია ზრუნავს მათს თავის დროზედ მოთხოვნაზედ სინოდის სტამბათაგან და ჰგზავნის მათ ეკლესიებში, რამდენიც საჭიროა თვითოეულის ეკლესიისათვის.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 148; 1871 ივლ. 10. (ბრძ. უწ. სინ.)

კ ა ნ ო ნ ი 4.

შენობებზე, რომელნიც უჭირავსთ სასულიერო უწყების სასამართლოებს.

140. კონსისტორიაში იმექონების აღწერილობა ყველა შენობათა, რომელნიც უჭირავსთ სასულიერო უწყების სასამართლოებს და სწარმოებენ საქმეები მათს საღათ შენახვაზედ, შეკეთებაზედ და გადასწორებაზედ.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 150.

141. უმახლობელესი ზედამხედველობა ამა შენობებზედ, ყოვლად სამღვდელოის შეხედველობისა მებრ, მიენდობის რწმუნებულთ მისგან პირთა, რომელთაც მათს ზედამხედველობას მინდობილის შენობების მდგომარეობაზედ ყოველწლობით იანვარში უნდა მოახსენონ ყოვლად სამღვდელოს.

იქვე მუხ. 151.

განყოფილება 5.

შენობებზედ ეპარქიის უფლებაში.

142. აგება სასულიერო უწყებაში საეკლესიო და სხვა დიდთა შენობათა, რომელთაც აშენებენ საკუთარის საეკლესიო ხარჯით ანუ ხაზინიდამ მოცემულის ფულით.—სწარმოებს საფუძველსა ზედა საშენებო წესდებათა და მიენდობის ყოვლად სამღვდელოის განკარგულებისა მებრ, განსაკუთრებულს კომისიებს სასულიერო პირთაგან, ხან-დის-ხან ერისკაცთაც მონაწილეობით და არხიტექტორის დასწრებით. ესრეთ კომისიათა ეძლევის დარიგება, რომელნიც უნდა სდგებოდნენ საზოგადოდ შესაფერ წესდებათა საშენებო ნაწილისა.

იქვე მუხ. 152.

143. შემოწმება ხაზინის ხარჯით აგებულთ შენობათა არა უმეტეს 1,500 მან. და არა ხაზინის ხარჯით არა უმეტეს 5000 მან., სწარმოებს საფუძველსა ზედა წესდებათა საშენობო ნაწილისა.

იქვე მუხ. 153; 1865 ნოემბ. 23 (42700).

144. წვრილმანი შენობანი და შეკეთება ხაზინის ხარჯით არა უმეტეს 1,500 მან., და არა ხაზინის ხარჯით არა უმეტეს 5000 მან., უნდა სწარმოებდნენ: ა.) არქიერის სახლებში და მათდამი კუთვნილს შენობებში ზედამხედველობას ქვეშე იმ პირთა, რომელთაც ეს ექმნება მინდობილი შეხედულობისა მებრ ყოვლად სამღვდელო არქიერთა; და ბ.) მონასტრებში, სობოროებში და ეკლესიებში, ბლაღოჩინთა ზედამხედველობით, იმ პირობით, რომ ეს პირნი, რაც შეიძლება, ხშირად ათვალიერებდნენ შენობათა და შეკეთებას, როგორც თვით მუშაობის დროს, აგრეთვე იმისი გათავების შემდეგ და ადევნიდნენ თვალს

სისაღეს და სიმაგრეს შენობათა, და მუშაობის ფასების ზომიერებას, და ყოველს შენიშნულზედ ამ გვარის დახედვის დროს, მოახსენებდნენ წესისამებრ, კანონიერის საფუძვლით, სადაცა ჯერ არს.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 154; 1865 ნოემბ. 23 (42700.)

145. ანგარიშნი საკეთრად საეკკლესიო ფულების შესახებ, რომელნიც დახარჯულნი არიან ამ გვარს შენობებზე, შემოწმდებიან კონსისტორიებში, ხოლო ხარჯვა ხაზინიდამ გამოცემულთ ფულთა, ექვემდებარების შემოწმებას საზოგადო (შემმოწმებელ) დაწესებულებათა.

წესდებულ. სას. კონსისტორიათა; მუხ. 155; 1864 სეკტ. 22 (41289.)

146. დანაშთენი ხაზინიდგან შენობისთვის მოცემულის ფულებისა უნდა მიქცეულ იქმნეს აგრეთვე ხაზინაში და ხმარება მისი სმეტით არა დანიშნულს საგნებზედ ფიცხლად აღეკრძალების. თუ ვინიცობაა განსაკუთრებული საჭიროება აღმოჩნდება ამისა, ნება დაირთვის წარდგინებით შესვლისა ამაზედ უწმიდესს სინოდში.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 156.

147. შემოსავალ-გასავალზე საზოგადოდ საშენებო ფულთა, თუ ისინი გადაცემულნი არიან კონსისტორიის განკარგულებაში, ზონარგაურილნი წიგნები და კერძო ანგარიშები წარიდგინებიან დანიშნულს ფულებზედ.

იქვე მუხ. 157.

ნაწილი III.

ეპარქიის სამსჯავრო.

თავი I.

ეპარქიის სამსჯავროს უწყებაზედ.

148. ეპარქიის სამსჯავროს ექვემდებარებიან:

1.) ეპარქიის უწყების სასულიერო წოდების პირნი:

ა.) შესახებ შეცდომილებათა და დანაშაულებათა წინაადმდეგ კეთილ წესიერებისა და კარგის ყოფაქცევისა.

ბ.) შესახებ ურთიერთ შორის დავათა, რომელნიც შესაძლებელია ასტუდენ საეკლესიო მოძრავის თუ უძრავის საკუთრებითა,

გ.) შესახებ საჩივართა სასულიერო და საერო პირთა სასულიერო პირებზედ შეურაცხებათა მიყენებისა და ვალდებულებათა დარღვევის თაობაზე და შესახებ თხოვნათა უდავო ვალების გადახდევინებაზედ.

2.) საერო წოდების კაცნი:

ა.) შესახებ საქმეებისა უკანონოდ შესრულებულ ქორწინებაებზედ;

ბ.) შესახებ საქმეებისა ქორწინებათა მოსპობაზედ და დარღვევაზედ:

გ.) შესახებ შემთხვევათა როდესაც საჭიროა მოწმობა ქორწინებათა სინამდვილეზე და კანონიერის ქორწინებიდამ შობაზე;

დ.) შესახებ შეცდომათა და დანაშაულებათა, რომელნიც დამნაშავეს ხდიან საეკლესიო ეპიტიმიის ღირსად.

149. სასულიერო წოდების კაცები ექვემდებარებიან საერო მსჯავრს დაწესებულს სასამართლოებში:

ა.) ურთიერთ შორის და ერის კაცებთან სადაო და საჩივარს საქმეებში შესახებ აღუსრულებულ პირობაებთა და ვალდებულებათა და შესახებ გარდახდევინებისა უფლებათა დარღვევისათვის ზიანით, ზარალით და თავის მნებელობითი დაპატრონებით.

ბ.) სახელმწიფო განჩინებათა დარღვევის შემთხვევებში, რომელთა შესახებ არიან განსაკუთრებითი წესდებანი სამართლის წარმოებაზედ და დასჯაზედ მაგალითებრ: გაქცეულთა ბინის მიცემაში და დაფარვაში, სასმელების წესდებულების დარღვევაში, ტყეების მოჭრაში, საკარანტინო და საბაჟო დადგენილებათა აღუსრულებლობაში და ბ.) მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულობებში.

იქვე მუხ. 159 ტ. XV ნაწ. 2 კან. სისხ. სამ. გამოც. 1876 მუხ. 10.

150. თუ სასულიერო პირს ბრალდება კანონის წინააღმდეგი მოქმედებაები, რომელნიც აძლევენ მას სისხლის სამართალში, მაშინ პირველ დაწყებითი გამოძიება სწარმოებს სასულიერო უწყებაში ქალაქის ანუ სასოფლო პოლიციის მოხელის დასწრებით, და თუ ბრალდებული, გამოძიების დროს, არ გასწმენდს თავის თავს ბრალდებულებისაგან, მაშინ იგი მიეცემის სისხლის სამართალში კონსისტორის განჩინებით, მაგრამ როდესაც საქმის გადადება შეუძლებელია და საჭიროა გამოძიება მოხდეს ცხელს კვალზედ და სხვ... მაშინ სამოქალაქო მთავრობა მიჰყოფს ხელს ამას დაუყონებლივ, მოიპატიჟებს რა დეპუტატს სასულიეროს მხრით, უკიდურეს შემთხვევაში კი უდეპუტატოთაც.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 160.

151. საქმეებს მღვდლებზედ და მეთავითნებზედ,

რომელთაც ასამართლებენ სისხლის სამართლის დანაშაულობათათვის ესწრება საქვემდებარო სასამართლოებში დეპუტატი სასულიერის მხრით, რომლის ხმაც საქმეზედ მსჯელობაში მიიღება თანასწორად სხვა წევრებთან. გარდა ამისა სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამსჯავროის პალატა, თუ ვინიცობაა განჩინება შესდგა წოდების ყველა უფლებათა ახდაზედ, ანუ ყველა ან ზოგიერთ განსაკუთრებულთ, როგორც პირად, აგრეთვე შესაფერ დასჯილის წოდებისა დამნაშავისადმი მინიჭებულთ უფლებათა და უპირატესობათა ახდაზედ უწინარეს ამა განჩინების აღსრულებისა უნდა შეატყობინოს კონსისტორიას ყველა გარემოებანი საქმისა და მოამხდარი გარდაწყვეტილება, თუ პალატის ცნობა არ აღმოჩნდა სრული ანუ ცხადი, მაშინ ეპარქიის მთავრობას შეუძლია მოითხოვოს მისგან, რასიც ჯერ-არს ვრცელი შევსება, მაგრამ თუ თვით პალატის გარდაწყვეტილებაში შემჩნეულ იქმნება რამე ეჭვი, და კონსისტორიასთან მიწერ-მოწერით ის არ აღიხსნება, ამ გვარს შემთხვევაში ეპარქიის მთავრობას ესრეთ მოთხოვნილებათა ძალით საქმე არ მოჰყავს სისრულეში და მოახსენებს მაზედ უწმიდესს სინოდს თან მიწერით ყველა საქმის შესახებ აღმოჩენილთ გარემოებათა და ეჭვთა.

იქვე. მუხ. 161. 1846 წ. იანვ. 21 (19640) ტ. XV ნაწ. 2 კან. სასამ. სისხ. გამოც. 1876 მუხ. 412.

152. დეპუტატებს, რომლებიც იგზავნებიან სასულიერო მთავრობის მხრით, ნება ეძლევათ გადმოიწეროონ მოხდენილის გამოძიებისგან ანუ ზოგიერთი საჭირო ქაღალდებიდგან პირები მათ წარსადგენად ეპარქიის მთავრობასთან. ამ პირთა სინამდვილე შემოწმდების გამოძიების მიმხდენთაგან, ანუ ადგილისგან, სადაც სწარმოებს საქმე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იმ ადგილებში, სადაც მოქმედებენ უმაღლესად დამტკიცებულნი 20 ნოემბერს 1864 წ. სასამართლო წესდებულებანი, ამ წესდებულების 249, 150 და 151 მუხლებში განმარტებულთ საგანთა შესახებ, ლაიცვებიან წესდებანი, განმარტებულნი მე XV ტ. ნაწ. 2 წესდებ. სისხლის სამართლის წარმ. გამოც. 1876 წ., 1017—1029 მუხლებში.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 162. 1864 ნოემბ. 20 (41476); 1865 ოქტომბ. 19 (42587).

თ ა ვ ი II.

შეცთომილებებზედ და დანაშაულებაებზედ სასულიერო წოდების პირთა თანამდებობისა, კეთილ წესიერებისა და კარგის ყოფაქცევისა წინააღმდეგ.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა 1.

სამართლის წარმოების რიგზედ.

153. საქმეები შეცდომილებაებზედ და დანაშაულობაებზედ მღვდელთა და მედავითნეთა თანამდებობისა კეთილ წესიერებისა და კარგის ყოფაქცევისა წინააღმდეგ შეიძლება დაწყებულ იქმნენ: სასამართლოების ანუ თანამდებობის პირთა მოწერილობათა გამო, ბლაღოჩინთა ანუ კრებულის წევრთა მოხსენებათა გამო; მრევლთა თხოვნებისა გამო; საერო ანუ სასულიერო პირთა საჩივრების გამო; შენიშვნათა გამო კლიროვის უწყებებში; ცნობათა გამო, რომელთაც შეუძლიათ მივიდნენ ეპარხიის არქიერამდის; და ბოლოს საკუთრის გამოტუდომისაგამო დამნაშავეთა.

154. ეპარქიის სამართლის წარმოება სასულიერო წოდების პირებზე, საქმეთა აზრისა გამო, შეიძლება ორგვარი იყოს: ანუ პირ-და-პირ საარქიერო, ანუ კონსისტორიის საშვალებით.

იქვე მუხ. 164.

155. პირ-და-პირს საარქიერო სამართლის წარმოებას ექვემდებარებიან: ა.) შეცდომილებანი უმეცრებისა და უეცარობისა, რომელნიც ითხოვენ გასწორებასა და განწმენდასა მღვდელთა სინიდისისა არქიერის მოქმედებითა რომელნიც მოუხერხებელნია გამოსააშკარებლად და განსახილველად ჩვეულებრივის სამსჯავროის ფორმათა მებრ. ბ.) საზოგადოდ შეცდომილებანი წინააღმდეგ თანამდებობისა და კეთილ-ყოფაქცევისა, რომელთაც არ აქვსთ ცხადი მავნებლობა და საცთური შენიშნელნი მღვდელში, რომლის წინანდელი ყოფაქცევა მოსაწონი იყო; გ,) საჩივრები შემოტანილნი სახელდობ იმ მიზნით, რომ მღვდელ-მთავრის მსჯავრითა და დარიგებით, გარეშე ფორმალურად საქმის წარმოებისა, გასწორებულ იქმნეს უწესოდ მოქმეცევი. ამ გვარს შემთხვევებში ეპარქიის მღვდელ-მთავარს შეეძლია თვითონ მიანდოს პირ და პირ ბლაღოჩინს ანუ სხვა რწმენებულს სასულიერო პირს მოახდინოს საიდუმლო გამოძიება, და თუ ბრალდებულების ანუ შენიშვნის სიმართლე მტკიცდება,—მაშინ დაიბარონს ბრალდებული თავისთან, გამოცადოს მისი სინიდისი, და, შეცდომილებისა და მონანების ნიშნებისა მებრ, გაუშვას პირ და პირ ადგილზე მოძღვრულის შთაგონებით, ანუ ამასთანავე დაადოს მას შესაფერი ეპიტიმია, რომელიც უნდა აღასრულოს მან ადგილზედ ანუ არქიერის სახლში ორ კვირამდის. იმ ეპარქიებში რომელნიც ძლიერ ვრცელი არიან, ანუ სადაც დაბარება ამ გვარი კაცებისა მოუხერხებელია სიშორისა გამო, არქიერი მიანდობს ბრალდებულის შთაგონებას ვინმეს რწმენებულ

სასულიერო პირთაგანს, ანუ სჯის მას ეპიტიმიით და ითხოვს რა მდვდელ-მოქმედებიდგან დანიშნულის დროის განმავალობაში (ორ კვირამდის). არქიერის ამ გვარს განკარგულებებზედ საჩივრები არ შეიძლება, და ესე შუმთხვევანი არ შეიტანებიან ნამსახურებითი სიებში.

იქვე მუხ. 165.

156. ყველა სხვა შემთხვევებში ქალალდებისა შებრ, რომელთაც შეუძლიათ შემოვიდნენ არქიერთან ანუ კონსისტორიაში ინიშნება გამოძიება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გზის ქირა სასულიერო პირთა, რომელთაც ჰგზავნიან ეპარქიის მთავრობანი საწარმოებლად გამოძიებათა სასულიერო უწყების საქმეების შესახებ ეძლევათ იმ პირობით, რომ ის უკანვე დაბრუნებული იქმნეს დამნაშავეთა ანუ იმ პირთაგან, რომელთა თხოვნებისა გამო სწარმოებდა გამოძიება, იმავე საფუძვლით, გზის ქირა სასულიერო პირთ, რომელნიც იგზავნებიან დეპუტატებათ სახორციელო სასამართლოებში წარმოებულის საქმეების შესახებ.

იქვე მუხ. 166; 1866 ივნ. 27 (43439).

157. რამდენათაც მძიმეა დანაშაულობა, იმდენად ჩქარა უნდა მიყონ ხელი გამოძიებას და მსჯავრსა.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 167.

158. დაუყონებლივის გამოძიებისათვის ყოვლად სამღვდელოს ადგილობრივი სიახლოვისა გამო შეუძლია ამაზედ მისწეროს პირ-და-პირ სასულიერო სამმართველოს, რათა მან მოხდენილი გამოძიება, თავისი აზრით, წარადგინოს კონსისტორიაში, ანუ შეუძლია მიანდოს გამოძიება პირ-და-პირ რწმენებულ სასულიერო პირებს და მათგან მიღებულს საქმეს ჰგზავნის კონსისტორიაში განსახილველად და განჩინების დასადგენად.

იქვე მუხ. 168.

159. სასულიერო პირს, რომელსაც ბრალდება დანაშაულობა, აღეკრძალების მღვდელ-მოქმედება, იმ გარემოებათა მებრ, რომელნიც მოხსენებულია თვითონ ბრალდებაში და რომელნიც ჩნდებიან გამოძიების დროს, და ბრალდებულის წინანდელი ყოფაქცევისა მებრ განკარგულება ამაზედ მიენდობის საკუთარს შეხედულობას ადგილობრივის არქიერისა, რომელიც ვალდებულია იზრუნოს, რათა ბრალდებულნი მძიმე დანაშაულობებში წინააღმდეგ კეთილი ყოფაქცევისა საღმრთო მცნებათა მებრ არ მიჭყონ ხელი უფლის ტაძრისადმი სამსახურს, თუ რომ საკმაო მიზეზებია იფიქროს კაცმა, რომ ისინი სამართლიანად ბრალდებულნი არიან.

იქვე მუხ. 169.

160. ეპარქიის მთავრობა თვალ-ყურს ადევნებს გამოძიებათა დაუყონებლივსა და კანონიერს წარმოებას.

იქვე მუხ. 170.

161. სამართალს ქვეშე მყოფთა საქმეში გარეულთა ნება ეძლევათ წაიკითხონ მოსმენილი ადგილზედ გამოძიება, ხელი მოაწერონ ფურცლებზედ და ხელის მოწერილობაში გამოსთქვან, კმაყოფილნი არიან ისინი გამოძიებით თუ არა, და თუ არ არიან კმაყოფილნი, რით სახელდობ.

იქვე მუხ. 171.

162. კონსისტორია მიიღებს რა გამოძიებას, განიხილავს დადგენილთ ფორმათა და წესდებათა თანახმად არის ის მოხდენილი თუ არა, მრთლად შეიცავს და ხსნის საქმეს თუ არა, და თუ სამართალს ქვეშე მყოფისგან და საქმეში გარეულთაგან ხელის მოწერილობაში გამოთქმულია უკმაყოფილება გამოძიების ნაკლულებაზედ, მოხდე-

ნილია თუ არა ამის შესახებ დამატებითი გამოძიებანი და თუ არ არიან მოხდენილნი, საფუძვლიანი მიზეზებისა გამო თუ არა. თუ აღმოჩნდებიან რაიმე ნაკლულევანებანი, მაშინ კონსისტორია უბრძანებს წინანდელ გამომძიებელთა ანუ სხვათა შეავსონ გამოძიება.

იქვე მუხ. 172.

163. თუ სამართალს ქვეშე მყოფისგან კითხვის დროს მოცემულნი ჩვენებანი რაიმე მიზეზისა გამო სრული და კმასაყოფელნი არ არიან, მაშინ კონსისტორია ვალდებულია დაიბაროს ის პირად და უფრო ვრცლად გამოკითხოს ანუ, ადგილის სიშორისა მებრ, სადაც სამართალს ქვეშე მყოფნი სცხოვრობენ, მიანდობს წინანდელთ გამომძიებელთა, ანუ სხვა პირთა, ჩამოართვან მას დამატებითი ჩვენება.

იქვე მუხ. 173.

164. იმ სამართლის ქვეშე მყოფთა და საქმეში გარეულთა, რომელნიც პირად იმყოფებიან და გამოძიებაზედ ხელი არ მოუწერიათ, ნება მიცესთ, თუ თვითონ ითხოვონ, კონსისტორიაში გამოძიებისა ანუ იმისაგან შედგენილის ქაღალდის წაკითხვისა და მაზედ ხელის მოწერ ისა.

იქვე მუხ. 174.

165. მოკლე გამოძიებისა ანუ მოკლე საქმის წაკითხვისათვის და ხელის მოწერისათვის ინიშნება ექვსი დღე, ხოლო საქმის წასაკითხავად, რომელიც შეიცავს ორმოცდა-ათ ფურცლამდე და ხელის მოსაწერად ინიშნება ორი კვირა, შესაფერ იმისა, იდება ვადა აგრეთვე საქმის წასაკითხავადაც, რომლებშიაც ორმოცდა-ათ ფურცელზედ მეტია, იმ პირობით, რომ თუ სამართლის ქვეშე მყოფ-

თაგან და საქმეში გარეულთაგან ხსენებული ვადების განმავალობაში ხელი არ იქმნება მოწერილი, მაშინ უიმისოთაც უნდა წარმოდგენილი იქმნეს საქმისგან ამოწერილი ანუ მთელი ნამდვილი საქმე მოსასმენად. ვადა გამოძიებისა ანუ ამოწერილის წასაკითხავად და ხელის მოსაწერად ერთი ორად მატულობს, თუ ვინიცობაა ხელის მომწერი ავად იქნება, რომელიც ვალდებულია წარმოადგინოს ამაზედ სამკურნალო მოწმობა. თუ ამ უკანასკნელის ვადის გასვლის შემდეგ ხელის მომწერი არ მორჩა და არ მიანდო ვისმეს თავის მაგიერად გამოძიების ანუ ამოწერილის წაკითხვა და ხელის მოწერა, მაშინ საქმე უნდა მოხსენებული იქმნეს ხელ მოუწერლად.

იქვე მუხ. 175.

166. სანამ საქმე არ გადასწყდება კონსისტორიაში, სამართლის ქვეშე მყოფთ ნება არა აქვსთ ითხოვონ იმის გადატანა უწმიდესს სინოდში. ყოველი თავის გამართლება იმათ უნდა წარმოადგინონ გამოძიების დროს და განმარტონ ხელის მოწერილობაში გამოძიებაზედ და საქმეზედ.

იქვე მუხ. 176.

167. გამომძიებელთა ანუ კონსისტორიის სიგვიანეზე ანუ უკანონო მოქმედებებზედ შეიძლება კერძო საჩივრები ეპარქიის არქიერთან, და თუ ვინიცობაა იმისგან არ იქმნა მიღებული დაკმაყოფილება,—უწმიდესს სინოდთანაც.

იქვე მუხ. 177.

168. სამართლის ქვეშე მყოფთ ამეკრძალების ერთ საქმესთან შერთვა გარეშე საგანთა, რომელთაც კავშირი არა აქვსთ საქმესთან.

იქვე მუხ. 178.

169. კონსისტორია საქმის წარმოების დროს ვალდებულია თვალყური ადევნოს, რათა ის არ გაივსოს გარეშე საგნებით, მხოლოდ თავის საკუთარის მოსაზრებისათვის სამართლის ქვეშე მყოფზედ კონსისტორია ვრცლად ტყობილობს ცნობებს ყველა საქმეებზედ, რომელნიც კი ეხებიან და ეხებოდენ მას.

იქვე მუხ. 179.

170. ყოველმა საქმემ უნდა მიიღოს განსაკუთრებითი გარდაწყვეტილება და ფიცხლად აღეკრძალების განჩინების გარდადება რომელიმე დანაშაულობაზე სხვებზე გამოძიების გათავებამდის,

იქვე მუხ. 180.

171. მღვდელნი, რომელთაც ეპარქიის მთავრობის გარდაწყვეტილებით ეხდებათ ხარისხი და მედავითნენი, რომელნიც ირიცხებიან სასულიერო უწყებიდგან, მიიშვებიან განსაცხადებლად თანხმობისა ანუ უთანხმოებისა ამ გვარს გარდაწყვეტილებაებზე, თუ სამართლის ქვეშე მყოფი განაცხადებს უთანხმოებას, ანუ შვიდის დღის ვადის განმავალობაში არ განაცხადებს უკმაყოფილებას ანუ განაცხადებს რა უთანხმოებას ამ ვადაში, ერთის თვის განმავლობაში არ გადიტანს აპელაციურს პასუხის გებას, მაშინ განჩინება მოდის სისრულეში და იმაზედ, შესახებ მღვდელთა მოხსენდების უწმიდესს სინოდს. მაგრამ თუ სამართლის ქვეშე მყოფი განაცხადებს ვადაზედ უთანხმოებას და შემდეგ თვის განმავალობაში (უთანხმოების ხელის მოწერის დღიდგან) გარდაიტანს აპელაციურს პასუხის გებას, მაშინ აღსრულება ჩერდება და ეპარქიის მთავრობის გარდაწყვეტილობა წარედგინების უწმიდესს სინოდს თვით

საქმის წარმოებით, იმისგან ამოწერილობით, ვრცელი ცნობებითურთ სამართლის ქვეშე მყოფებზედ და აპელაციის პასუხის გებითურთ.

იქვე მუხ. 181.

172. პასუხის გებაში სამართლის ქვეშე მყოფთ უნდა განმარტონ, რაშიდ სთვლიან ისინი განჩინებას უკანონოდ და სახელდობ რომელ კანონთა ეწინააღმდეგება იგი.

იქვე მუხ. 183.

173. მდვდელს რომელსაც ახდილი აქვს ხარისხი და რომელმაც გამოაცხადა უთანხმოება, არ შეუძლია მდვდელმოქმედება საქმის გარდაწყვეტილებამდის უწმიდესს სინოდში. თუ ამა მდგომარეობაში იმას აღმოაჩნდება დასაძრახი საქციელი, მაშინ ამაზედ მოხსენდების დაუყონებლივ უწმიდესს სინოდს.

იქვე მუხ. 184.

174. ეპარქიის მთავრობის განჩინებანი, რომლებითაც სამართლის ქვეშე მყოფნი ისჯებიან სხვა ზომებითა გადახდევინებისა, ანუ გასწორებისა,—მოდიან სისრულეში ნებას გარეშე თანხმობისა ანუ უთანხმოების გამოცხადებისა. ამ გვარს განჩინებებზედ ბრალდებულთ შეუძლიათ შეიტანონ უწმიდესს სინოდში კერძო საჩივრები.

იქვე მუხ. 185.

175. თუ მდვდელთა გარდაუწყდებათ ხარისხის ახდა სისხლის სასამართლოების განჩინებით რაიმე სისხლის სამართლის დანაშაულობისათვის, და თუ ეპარქიის მთავრობას მათ გასამართლებლად არაფერი არა აქვს, მაშინ შემდეგ ამ განჩინების თავის მხრით სისრულეში მოყვანი-

სა, იგი მოახსენებს ამაზედ უწმიდესს სინოდს შესატყობ-ლად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ადგილებში, სადაც სწარმოებენ სასამართლოის წესდებულებანი 20 ნოემბ. 1864 წ. შესახებ სისრულეში მოყვანისა ეპარქიის მთავ-რობის მხრით სისხლის სასამართლოის განჩინებათა, რომელთაც მოჰყვებათ დასჯილთა სასულიერო ხარისხის ახდა,—დაცულ-არს სისხ. სამარ. წარ-მოების, გამოც. 1876 წ. 1028 მუხ. ტ. XV ნაწ. II.

იქვე მუხ. 186; 1864 ნოებ. 20 (41476).

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა 2.

გარდახდევინებისა და გასწორების ზომებზე.

176. გარდახდევინებისა და გასწორების ზომანი, რომ-ლებითაც შეიძლება დაისაჯონ ეპარქიის მსჯავრისა მებრ სასულიერო წოდების პირნი, არიან შემდეგნი:

1) ახდა მღვდელთა ხარისხისა და მღვდელმ-ონა-ზონთა ხარისხისა და მონაზონებისა და გამორიცხვა სა-სულიერო წოდებიდგან.

2) ახდა მღვდელთა ხარისხისა დატოვებითურთ სასუ-ლიერო წოდებაში დაბალს თანამდებობაებზედ, და ახდა მღვდელ-მონაზონთა ხარისხისა დატოვებითურთ მხო-ლოდ მონაზონებაში მოსანანებლად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1.) თუ ხარისხ ახდილთა და განწესებითურთ დაბალ თანამდებობაზედ აღმოუჩნდებათ შემდეგ ამისა უწესო მოქმედებანი, მაშინ უნდა გამორიცხულ იქმნენ ისინი სასულიერო წოდებიდგან და უნდა გაიგზავნონ ადგილობრივს გუბერნიის სამმართველოში. (შედარ. მხ. 213 ტ. XIV; წესდებულ. წინეთ გაფრთხ. 1876 წ.

2) ხარისხ ახდილს მღვდელს, თუ ქვრივია ის, არ აღეგრძალების, მისი თხოვნისა მებრ, მიღება მონასტრებში, იმ იმედით, რომ როცა ღირსეულად მოინანებს შეცოდებას, იგი აღიკვეცება ბერ-მონაზონად, მხოლოდ დაუბრუნებლად მისდამი მღვდლის წოდებისა. 3.) თუ ვინიცობაა მღვდელს, რომელსაც აქვს ორდენი ანუ სხვა ნიშანი წარჩინებულე-

ბისა, დადგენილი სამღვდელოებისათვის და ბოძებული უმაღლესის ნებართვით,—აჭხადეს ხარისხი და სამუდამოდ ჩამოიყვანეს ის მედავითნის თანამდებობაზედ, ამ შემთხვევაში იმისგან ნიშნის ახდაზედ საქმე წარედგინება უწმიდესს სინოდს გამოსათხოვად უმაღლესის ნებართვისა.

3.) დროებითი აღკრძალვა მღვდელ - მოქმედებისა თანამდებობის ჩამორთმევით და მედავითნეთ განმწესებითურთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1.) მედავითნის თანამდებობაზედ ჩამოყვანის დრო ისაზღვრება თვით სინანულისა და გასწორების ზომით. ამ გვარს სასჯელს მიცემული მღვდელი, თუ დანახულ იქმნა იმაში სინანული და გასწორება, დაინიშნოს უწინ ისეთ სამღვდელო ადგილზედ სადაც შეიძლება იმყოფებოდეს ის ბლალოჩინის ანუ სხვა მღვდლის მხედველობას ქვეშე ანუ განწესდეს ის ცარიელს ადგილზედ მღვდელ-მოქმედების თანამდებობის აღსასრულებლად რამდენიმე თვით, იმ პირობით, რომ იმან ამ დროის განმავლობაში თვით საქმით აღმოაჩინოს თვისი გასწორება და მიიღოს მრევლთაგან თანხმობა ამ ადგილზედ იმისი მთლად დამტკიცებაზედ.

2.) მედავითნის თანამდებობაზე ჩამოყვანილმა მღვდელმა არ უნდა ჩაიცვას ამ მდგომარეობაში ანათვორა, არც აჭარიოს სხვა რამე მღვდლის გამასხვავებელი ნიშნები.

4.) დროებითი აღკრძალვა მღვდელ მოქმედებისა, დაუთხოვნელად ადგილიდამ, მაგრამ ეპიტიმიის დადებით მონასტერში ანუ ადგილზედ,

5.) დროებითი გამოცდა მღვდელ მთავრის სახლებში ანუ მონასტრებში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. როდესაც მღვდელს დროებით აღეკრძალება მღვდელ მოქმედება ანუ გადაუწყდება ეპიტიმია მონასტერში ანუ მღვდელ მთავრის სახლში, დაუთხოვნელად ადგილიდამ, მაშინ ეკლესიის შემოსავლიდგან, რომელიც ხვდებოდა მას წილად, ნახევარი ეძლევა მას, ანუ მის სახლობას, და მეორე ნახევარი მისი თანამდებობის აღმასრულებელს მღვღელს ეკლესიაში.

6.) ადგილიდგან გარდაყენება.

7.) შტატიდამ გამორიცხვა.

8.) გაორკეცება ზედამხედველობისა.

9) საერაკი და ფულის გარდასახადი.
10) მეტანიები.
11) ფიცხელი ანუ უბრალო საუვედური
12) შენიშვნა.

წესდებულ. სას. კონს. №№. 187, 1871 წ. მაისს 13 (49595)

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა 3.

გარდახდევინებისა და გასწორების ზომების ხმარებაზედ სხვა-და-სხვა ხარისხის დანაშაულობათა და შეცდომილებათათვის.

1. მღვდლებზედ და მედავითნეებზედ.

177. ხარისხი აეხდებათ და იმავე დროს სასულიერო უწყებიდგან ირიცხებიან მღვდელნი, რომელნიც მხილებულ არიან სისხლის სამართლის დანაშაულობაში და გარდაწყვეტილი აქვსთ ესრეთი დასჯა სისხლის სასამართლოთაგან. შემდეგ ამისა ისინი მიიქცევიან სამოქალაქო მთავრობასთან, მოსაშურობელად მათთან გარდაწყვეტილებათა მებრ სისხლის სამართალთა. ამ გვარსვე დასჯას უნდა მიეცნენ ისინიც, რომელნიც გარდავლენ წმიდა კათოლიკე ეკკლესიიდგან მწვალებლობაში ანუ რასკოლში. ამ უკანასკნელთა ბედის გარდაწყვეტა, თუ ვინიცობაა გულწრფელად მოინანებენ წარედგინების განსახილველად უმაღლესს მთავრობას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სასულიერო პირნი, რომელნიც მიესაჯებიან ხარისხის ახდას და გამორიცხვას სასულიერო წოდებიდამ, გარდა სისხლის სამართალს იცემულთა, ანუ გარდა იმათსა, რომელთაც, თვით მათი დანაშაულობის თვისებისა გამო, არ შეუძლიათ დარჩენ სასულიერო წოდებაში,—შეიძლება დაუნებულ იქმნენ მონასტრებში სასულიერო შთაგობებათა საშვალებაებით დანაშაულის შეგნებისათვის, და შემდეგ ამისა ისინი, რომელნიც აღმოიჩე-

ნენ გულწრფელ სინანულს, შეიძლება დანიშნულ იქმნენ მედავითნეთა თანამდებობაებზე მონასტრებში და ეკკლესიებზედ, ანუ განწესებულ იქმნენ მორჩილთა წოდებით. ამასთან შესახებ თვით წესისა ამ გვარ პირთა მონასტრებში დაყენებისა და შენახვისა შემდეგ როდესაც ისინი განვლენ მონასტრის განცდას, შესახებ მათის მდგომარეობის შედეგის განსაზღვრისა,—იხელმძღვანელებიან წესდებანი, რომელნიც განმარტებულნი არიან უწმიდესის სინოდის უქაზებში 1849 წ. 31 დეკ. და 1867 წ. 6 ივლისს.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 188.

178. ეკკლესიის მედავითნეები, დასჯილნი სისხლის სასამართლოებისაგან ანუ ეპარქიის მთავრობისაგან საქმეებისათვის, რომელნიც განმარტებულნი არიან წინამავალ მუხლში, გამოირიცხებიან სასულიერო უწყებისაგან და გარდაიცემიან გუბერნიის სამმართველოის განკარგულებაში.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 189; ტ. XIV წესდ. წინგაფ. დანაშ. გამოცემ. 1876 წ. მუხ. 212

179. მღვდელს ეკკლესიაში მღვდელ-მოქმედების დროს, ვისიმე გამლახველს ხელით, ანუ იარაღით, ამ დანაშაულობაში მხილების შემდეგ, აეხდება თავისი ხარისხი და ჩამოიყვანება მედავითნის თანამდებობაზედ. ამის ჩამდენი მედავითნე გამოირიცხება სასულიერო წოდებიდგან და გადაიცემა გუბერნიის სამმართველოის განკარგულებაში.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 190. ტომი XIV უკუქ. დანაშ. გამოც. 1876 სტ. 212.

180. წინამავალ მუხლში განსაზღვრულს გარდასახადს მიეცემიან სასჯელს მღვდელნი და მედავითნენი, თუ უწესო სიტყვებით ანუ მოქმედებებით მოახდენენ ეკკლესიაში საცდურსა ანუ არეულობას, რომელსაც მოჰყვება შეჩერება მღვდელ-მოქმედებისა.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 191.

181. მღვდელი, რომელმაც ეკკლესიაში, ანუ გარეთ სამღვდელო სამოსელით გაბედა მღვდელ-მოქმედების შესრულება სიმთვრალეში, პირველად მხილებული ამა დანაშაულობაში, გადაყენდება ადგილიდამ და განწესდება მღვდელ მოქმედების აღკრძალვით მედავითნის თანამდებობაზე, სანამ გულწრფელად არ მოინანებს, არ გასწორდება და სულიერ მამასთან სვინიდისს არ გაიწმენდს. მაგრამ ესე წესდება არ ეკუთვნის საღმრთო ლიტურგიის აღსრულებას, და თუ რომელიმე მღვდელმა გაბედა მისი შედგომა სიმთვრალეში, მაშინ იმას უნდა მოექცენ 179 მუხლშუ განმარტებულ წესდებისა მებრ.

იქვე მუხ. 192.

182. მღვდელი, რომელმაც უმართებულო სიტყვებით ანუ მოქმედებით გააუპატიერა სახლი ღვთისა და მისი საღმრთო ნივთები, პირველად ისჯება ფიცხელი წყრომით, რომელიც მოაგონებს მას შიშს ღვთისას, ადგილის სიწმიდეს და წოდებისა სიმძიმეს; ანუ მეტანიებით ერთის ანუ რამოდენიმე დღის განმავალობაში, დანაშაულობის თვისებისა მებრ. მხილებული მეორე ჯერ იმავე დანაშაულობაში, იბარება მღვდელ მთავრის სახლში, ანუ იგზავნება მონასტერში ერთისა ორის ანუ სამის თვით, შეხედულობისა მებრ, შთასაგონებელად და გასასწორებლად, ხოლო შემდეგ ამ გვარის მესამე დანაშაულობისა დაითხოვება ადგილიდამ და, მღვდელ-მოქმედების აღკრძალვით, განწესდება მედავითნედ მონანებამდის, გასწორებამდის და სულიერი მამის წინაშე სვინიდისის განწმედამდის. მედავითნე ამ გვარის დანაშაულობისათვის პირველად და მეორე ჯერ ისჯება იმ გვარადვე, როგორც მღვდელი; ხოლო მესამე გზობის შემდეგ გამოირიცხება სასულიე-

რო უწყებიდამ და იგზავნება ადგილობრივს გუბერნიის სამმართველოში.

იქვე მუხ. 193 ტ. XIV წესდ. დანაშ. წინეთ გაფრ. გამოც. 1876 სტ. 212.

183. მღვდელი, რომელის დაუდევნელობისა გამო თავის მოვალეობის აღუსრულებლობით მოუნათლავი ბოვში ანუ უზიარებელი ავადმყოფი მოკვდა, რომელიც ზიარებას ითხოვდა გადაუენდების ადგილიდამ და განწესდების მედავითნედ მონანებამდის და გასწორებამდის,

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 194.

184. მღვდელნი, მხილებულნი მღვდელ-მოქმედების აღსრულებისათვის საფასის ძალით მოთხოვნაში, დაგაუენდებიან ადგილებიდამ და ჩამოიყვანებიან მედავითნის თანამდებობაზედ მონანებამდის და გასწორებამდის; ხოლო მედავითნენი პირველ ჯერ იგზავნებიან მონასტრებში ორის ანუ სამის თვით, მეორე ჯერ კი გამოირიცხებიან სასულიერო წოდებიდგან.

იქვე მუხ. 195.

185. არავის, მხილებულს ებიწოების ანუ ქორწინების სიწმიდის დარღვევაში, არ შეუძლია დარჩეს სასულიერო წოდებაში, არამედ ირიცხება იქიდამ.

იქვე მუხ. 196.

186. მღვდელი, მხილებული უმართებელო სიტყვებით ეკლესიის გარედ ვინმესთვის შეურაცხების მიყენებაში, ისჯება ფულის გარდასახადით სასულიერო უწყების ობოლთა სასარგებლოდ და განსაკუთრებითი ზედამხედველობითა ბლაღოჩინისა, ხოლო რომელიც მოახდენს მძიმე შეურაცხებას გადაუენდება თანამდებობისაგან, მედა-

ვითნის ადგილზედ განმწესებითურთ მონანებამდის და გასწორებამდის. ეკლესიის მედავითნენი სიტყვებით შეურაცხების მიყენებისათვის ისჯებიან ფულის გარდასახადით, ანუ ეპიტიმიით მონასტერში, გარემოებათა მიხედვით, ხოლო მძიმე შეურაცხების მიყენებისათვის ეპიტიმიის დადებით მონასტერში, ანუ გამოირიცხებიან სასულიერო წოდებისაგან, თუ ისინი კიდევაც დასჯილან დანაშაულობათათვის გასასწორებელი ზომებითა.

იქვე მუხ. 197.

187. მღვდელი, რომელსაც შეემჩნევა სიმთვრალე პირველად ისჯება ეპიტიმიით მონასტერში ორიდგან სამ თვემდის აღუკრძალავად ანუ აღკრძალვით მღვდელმსახურებისა, საქმის გარემოებათა მიხედვით, და მეორე ჯერ ადგილიდამ გარდაყენებით და მედავითნის თანამდებობაზედ განმწესებით გასწორებამდის და მონანებამდის. მედავითნენი, რომელთაც გამოძიებით დაუმტკიცდებათ სიმთვრალე, პირველად იგზავნებიან მონასტერში სასამსახეროდ და სამუშაოდ, და მეორე ინუ მესამე ჯერ გამოირიცხებიან სასულიერო წოდებიდგან და გარდაიცემიან გუბერნიის სამმართველოის განკარგულებამი.

იქვე მუხ. 198 ტ. XIV წესდ. დანაშ. წინ. გაფრთ. მოსპ. 1876 წ. სტ. 212.

188. მღვდელი, დიაკონი და მედავითნე ჯვარის დაწერისათვის ისეთ პირთა, რომელთაც არ შესრულებიათ ჯერ წლოვანება, დაწესებული ჯვარის დაწერისათვის თუ აღმოჩნდა. რომ იმათ არ უხმარიათ ჯეროვანი ზომები ამის გამოსაძიებლად, — ისჯებიან მათ ადგილებიდამ გარდაუყენებლად მონასტერში გაგზავნით: მღვდელი იმდროის ნახევრის განმავალობაში, რამედენიც აკლდათ ჯვარ დაწერილთა სამოქალაქო სრულ წლოვანებამდი, დიაკონი და მედავითნენი — იმ დროის ნახევრის ვადით, რამდენი ხნითაც გაგზავნილია მღვდელი. მაგრამ თუ

სრულწლოვანებამდი აკლდა წელიწადზედ მეტი, მდვ-
დელი გადაუენდება ადგილიდამ და განწესდება მედავით-
ნის თანამედებობაზე, ზემო აღნიშნული დროის გამოან-
გარიშებით: მხილებულნი შეცდომილებაში მდვდელნი,
ადგილებიდამ გადაუენების შემდეგ, განწესდებიან მედა-
ვითნებად ნახევარის წლით ანუ მეტის ხნით, საქმის გარე-
მოებათა მიხედვით; მედავითმნეები იგზავნებიან მონას-
ტრებში იმ ვადის ნახევრის განმავალობაში, რომელიც
აკლია სრულწლოვანებამდი, ანუ სრულიადაც გამოი-
რიცხებიან სასულიერო წოდებიდგან და გარდაიცემიან
გუბერნიის სამმართველოის განკარგულებაში, თუ სამარ-
თალში ყოფილან უწესო ყოფა ქცევისათვის და მიუღიათ
სასჯელნი. იმავე სამრევლოის მდვდელი, — თუნდაც რომ
არ ქონოდეს მას მონაწილეობა ამ გვარს ჯვარის წერაში
მაგრამ სცოდნოდეს ჯვარის წერის უკანონობა, არ ცდი-
ლიყოს მისს დაბრკოლებას და არ განეცხადებიათ დაუ-
ყონებლივ ისჯება შეხედულებისა მებრ ეპარხიის მთავ-
რობისა.

წესდებ. სას. კონ. მუხ. 199. ტ. XIV წესდ. დანა. წინეთ. გაფერთ. სტ. 212

189. მდვდელნი, რომელთაც დასწერეს ჯვარი ქო-
რწინებით ვალდებულს პირს, თუ შეასრულეს ის დაუცვ-
ელად სიფრთხილეთა, რომელთაც შეეძლოთ აღმოე-
ჩინათ უკანონობა ჯვარის წერისა, — ისჯებიან მონასტერ-
ში დაკავებით სამიდამ ექვს თვემდის. და თუ დამტკიცდე-
ბა, რომ აღასრულეს ეს არა უცოდნელად დაბრკოლებისა:
მაშინ მდვდელთ ჩამოეხდებათ ხარისხი დატოვითურთ
სასულიერო უწყებაში დაბალს დანამდებობებზე, ხოლო
მედავითნენი ისჯებიან მონასტერში გაგზავნით სასამსახუ-
როდ ექვს თვემდის, ანუ გამოირიცხებიან სასულიერო
წოდებიდგან მათის ყოფაქცევისა მებრ სხვა მხრით.

იქვე მუხ. 200.

190. წინამავალ მუხლში დანიშნულს სასჯელს მიეცემიან მღვდელნი ჯვარის დაწერისათვის პირთა, რომელთ შორისაც არის ნათესაობა პირველს ოთხს ხარისხში და რომელთაც აქვსთ სელიერი ნათესაობა,

იქვე მუხ. 201.

191. მღვდელნი და მედავითნენი, რომელნიც, საჩივართა მებრ მრევლთა, აღმოჩნდებიან დანაშაულნი ღვთის მსახურებისა და მღვდელ-მოქმედებათა აღსრულების დაუდევნელობაში და შეოთის მოუვარებაში, გასწორდებიან მონასტრის მორჩილებით და სხვა ზომებითა, შესაფერ დანაშაულობისა, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც ამ გვარი საჩივრები კანონიერი სიცხადით არ არიან დამტკიცებულნი, მაგრამ უმეტესი ნაწილი მრევლთა მაინც ითხოვენ დაითხოვონ მათის ეკლესიიდამ ვისაც ამ გვარი საჩივრები შეუვიდათ, ისინი გადიყვანებიან სხვა ადგილებზე განსაკუთრებულის მხედველობისა ქვეშე —

იქვე მუხ. 202.

192. უწესოდ წაყვანა შემოსავალ-გასავალ წიგნთა მღვდელთა და მედავითნეთაგან ისჯება წყრომით და ანუ ფულის ჯარიმით, შეცდომილებისა და-გვარ.

იქვე მუხ. 203.

193. იმავე სასჯელს მიეცემიან მღვდელნი და მედავითნენი უწესოდ წაყვანისათვის მეტრიკის წიგნთა, აღსარების სიათა და ობისკის წიგნთა. გარნა არა ერთხელ შენიშნული ამაშიდ უწესოება შეერთებული ცხადს დაუდევნელობასთან ანუ ბოროტ-განზრახულებასთან სჯის დამნაშავე მღვდელთა ადგილიდამ გარდაყენებით და მედავითნეთა ადგილებზე განწესებით.

იქვე მუხ. 204.

194. თუ ზემო მოყვანილთ წესდებათა ძალით მღვდლები რაიმე შეცდომებისათვის დასჯილ იქმნებიან მხოლოდ ადგილიდამ გარდაყენებით, და დაბადებიდამ 60 წელზე მეტის არიან, ესრეთნი, გარემოებათა მიხედვით, უნდა გამოირიცხონ შტატიდამ და ჩაბარებულ იქმნენ ნათესავებს და ბლაგოჩინის მხედველობას.

იქვე მუხ. 205.

195. შემთხვევებში, რომელნიც არ არიან აღნიშნულნი ამა წესდებულებაში, უნდა იხელმძღვანელონ აქ ნაჩვენები მეტ-ნაკლებობით სასჯელთა, ხოლო იმ შემთხვევებში, რომელნიც მოხსენებულნი არიან საეკლესიო წესდებებში ანუ რუსეთის იმპერიის კანონთ შეკრებილებაში, უნდა იხელმძღვანელონ საეკლესიო წესდებებით და კანონთ კრებით; განსაკუთრებითს შემთხვევებში კი უნდა გამოითხოვონ ნებარვთა უწმიდესის სინოდისა.

იქვე მუხ. 206.

II ბერმონაზონებზედ.

196. ბერმონაზონნი შეცდომებისათვის, რომელნიც შედიან ზემოგანმარტებელს მეხლებში, ისჯებიან იმავე წესდებებისა მებრ, მღვდელ მონაზონი და მთავარ-დიაკონი როგორც მღვდელი და მედავითნე, ხოლო ბერი და მორჩილი, როგორც მედავითნე; ისინი მიეცემიან სხვა გვარს სასჯელთაც რომელნიც განმარტებულნი არიან ბასილი დიდის ანდერძებში ბერისთვის კორმჩის წიგნის მეორე ნაწილ ნომოკანონში და სასულიერო რეგლამენტში.

იქვე მუხ. 207,

თ ა ვ ი III.

სასულიერო წოდების პირთა სადავო საქმეებზე, რომელთაც შეუძლიათ წარმოსდგენ უძრავისა და მოძრავის საეკლესიო საკუთრების სარგებლობისა გამო.

197. ეპარქიის მთავრობა, მიიღებს რა საჩივარს მღვდლისაგან ანუ მედავითნისაგან შესახებ დაკავებისა კრებულის სხვა მწევრთაგან საეკლესიო შემოსავალთა, რომელნიც მას წილად ერგება, შესახებ მიწის დაჭერისა რომლისაგანმე მათგან, ანუ საეკლესიო სახლისა, რომლებზედაც მომჩივანს აქვს უფლება ანუ საზოგადოდ შესახებ განკარგულებისა საეკლესიო მოძრავის და უძრავის კრებულის შესანახავად დანიშნულის საკუთრებით, გარეშე საზოგადო თანხმობისა, ანუ ზარალის მოტანით,— მიანდობს ბლაღოჩინს ანუ სხვა სასულიერო პირთა შეკრიბონ ცნობები ნამდვილად დარღვეულია მთხოვნელის უფლება თუ არა, ვისგან და რაში სახელდობ.—

იქვე მუხ. 208.

198. ეპარქიის მთავრობა, განიხილავს რა გამოძიებისგან აღმოჩენილთ გარემოებათა და მიიღებს რა მხედველობაში წესდებათა უფლებაზე, საშვალებებზე და სამზღვრებზე კრებულის წევრთა სარგებლობისა ეკლესიის მოძრავის და უძრავის საკუთრებათა, დაადგენს გარდაწყვეტილებას მომჩივანის დაკმაყოფილებაზე ანუ მისდამი უარის ყოფაზე და ესრეთი გარდაწყვეტილება მოჰყავს სისრულეში.

იქვე მუხ. 209.

თ ა ვ ი IV.

საჩივრებზე სასულიერო პირთა შეურაცხებათათვის, ვალდებულებათა დარღვევისათვის და თხოვნებზედ შესახებ გარდასდევინებისა უდავო ვალთა.

199. სასულიერო და საერო პირთა საჩივრებისა გამო შესახებ სასულიერო პირთაგან მიყენებულთ შეურაცხებათა,—გამოძიება სწარმოებს იმ წესით, როგორც სწერია პირველს განყოფილებაში ამა ნაწილის მეორე თავისა.

იქვე მუხ. 210.

200. თუ მომჩივანი არის სამოქალაქო პირი, მაშინ გამოძიებაზედ მოიწვევის პოლიციის მოხელე.

იქვე მუხ. 211.

201. საქმეები სასულიერო პირთაგან მიყენებულს შეურაცხებაებზე არ შეიძლება გარდაიქცნენ სამოქალაქო საჩივრად, ისინი ექვემდებარებიან სასულიერო მთავრობის უწყებას, თუ შეურაცხებას არ ერთვის სისხლის სამართლის დანაშაულობა; წინააღმდეგს შემთხვევაში საქმე გარდაიცემის სისხლის სამსჯავროში.

იქვე მუხ. 212 და 213; ტ. X. ნაწ. 2. კან. სამოქ. წესდებულ. გამოც. 1876 მუხ. 6 შენიშნ. 1.

202. საქმეები სასულიერო პირთაგან მოყენებულს შეურაცხებაზე, თუ ამას დაერთო სასულიერო ხარისხის ღირსების წინააღმდეგი საქციელი, არ ისპობიან შეურაცხების მიმყენებლის და შეურაცხება მიყენებულის შერიგებით; ეპარქიის მთავრობა არ სპობს ამა საქ-

მეთა და სჯის დამნაშავეთა ღანაშაულობის შესაფერის სასჯელით.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 212; 1846 იანვ. 21 (19640).

203. საჩივრები სასულიერო პირთაგან მოვალეობათა დარღვევაზე დ აგრეთვე თხოვნები ამა პირთა უდავო ვალების გარდახდევინებაზე, ადგილებში, სადაც არ არიან შუმოღებულნი მომრიგებლის სასამართლოის დადგენილებანი, უნდა მიერთვას ეპარქიის მთავრობას.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 214. ტ. X. ნაწ. 2 კან. სამოქ. წესდება გამაც. 1876 მუხ. 16 შენიშნ.

204. მაგრამ თუ საჩივრისა გამო ვალდებულებათა დარღვევისათვის ანუ თხოვნების ვალების გარდახდევინებაზე ასტუდა დავა საბუთთა მებრ, მაშინ მომჩივანს უნდა მიეცეს ნება დაიწყოს საჩივარი სამოქალაქო წესით სამოქალაქო სასამართლოებში.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 215.

თ ა ვ ი V.

უკანონო და არა ნამდვილს ქორწინებაზედ.

205. კანონიერად და ნამდვილად არ ითვლებიან: 1) ქორწინებითი შეუღლებანი, რომელნიც მომხდარან ძალ დატანებით ანუ ერთის ან ორივე ჯვარდაწერილთა ჭკუა შეშლილობაში; 2) ქორწინებითი შეუღლებანი პირთა, რომელთა შორის არის ახლობელი, ე. ი. აკრძალული საეკკლესიო წესდებათაგან ნათესაობა, ხორციელი ანუ სულიერი ნათესაობა ანუ თვისება; 3) ქორწინებითი შეუღლებანი პირთა, რომელნიც სხვაზედ არიან კანონიე-

რად ჯვარდაწერილნი და არ არიან მათი სარწმუნოების სასულიერო მთავრობისაგან კანონიერად გაყრილნი; 4) ქორწინებითი შეუღლებანი პირთა, რომელთაც, შემდეგ ცოლქმრობის გაყრისა, არა აქვსთ ხელახლა ჯვარის დაწერის ნება; 5.) ქორწინებითი შეუღლებანი პირთა, რომელთაც არ შესრულებიათ ეკლესიისგან დანიშნული წლოვანება ჯვარის დაწერისათვის, — ანუ რომელნიც შობიდგან ოთხმოც წელზე მეტის არიან, ანუ რომელნიც მეოთხედ არიან ჯვარ დაწერილნი; 6) ქორწინებითი შეუღლებანი ბერმონაზონთა, და აგრეთვე ხელ დასხმულთა მღვდლად ანუ დიაკვნად, სანამ ისინი იმყოფებიან ამა ხარისხში; 7) ქორწინებითი შეუღლებანი მართლ-მადიდებელ პირთა არა ქრისტიანებთან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მაგრამ ამა მუხლის მეშვიდე შენიშვნაში მოყვანილი წესდება არ შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც მეუღლეთა, ერთმა ანუ ორთავემ მიიღეს წმიდა ნათლის-ღება შემდეგ დაქორწინებისა; ესე შემთხვევანი განიხილებიან ცალკე და გარდაწყდებიან სასულიერო მთავრობისაგან, საფუძველსა ზედა ეკლესიის დადგენილებათა.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 217. ტ. X ნაწ. 1. კან. სამოქ. სამართ. გამოც. 1857 წ. მუხ. 37.

206. საქმენი ქორწინების კანონიერად ანუ უკანონოდ ცნობაზედ ექვემდებარებიან ეპარქიის მთავრობის განხილვას: 1) ქვემდებარე ადგილთა და თანამდებობის პირთა მოხსენებისა გამო; 2) სისხლის სამსჯავროების მოწერილობათა გამო, თუ მათში წარმოებულის საქმეების შესახებ დაიბადება ეჭვი ქორწინების კანონიერებაზე; 3) საჩივართა და მოხსენებათა გამო კერძო პირთა, თუ მათი უფლებანი ირღვევიან იმ უკანონო ქორწინებით, ანუ იმ შემთხვევებში, როდესაც ამ გვარი ქორწინება ეკუთვნის იმ გვარ დანაშაულობათა, რომელთაც მოჰყვება სისხლის სამართლის სასჯელი.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 216 ტ. X. ნაწ. 2. კან. სამართ. სამოქ. გამოც. 1876 მუხ. 622.

207. ეს საქმეები სწარმოებენ იმ ეპარქიებში, სადაც შესრულებულ. იყვნენ ქორწინებანი.

ტ. X. ნაწ. 2 კან. სამოქ. სამარ. წ. წეს. 2 მუხ. 620.

208. საქმეები ქორწინებებზე, რომელნიც შესრულებულან ძალ დატანებით, მოტყუებით ანუ ჭკუიდამ შეშლილობაში ერთის ანუ ორივე მექორწინეთა, ეკუთვნიან საერო სისხლის სამსჯავროს ყველაფერში, რაც შეეხება ძალადობასა და მოტყუებას, მაგრამ განჩინება სინამდვილეზე ანუ არა სინამდვილეზე ქორწინებისა და მასში სასულიერო პირთა მონაწილეობის განსაზღვრაზე სასულიერო სამსჯავროს მიენდობის.

წესდებულ. სას. კონს მუხ. 218. ტ. XV ნაწ. 2 კან. სისხ. სამარ. სწ. გამოც. 1876 მუხ. 724.

209. საქმე არა ნამდვილად ცნობაზე ქორწინებისა, რომელიც მომხდარა მეუღლეთა ერთის და ერთის საქორწინე სრულ კანონების შესრულებამდის, მეუღლეთაგან მხოლოდ მას შეუძლია დაიწყოს, რომელიც დაქორწინდა ამა მცირე წლოვნობაში. ეს შეიძლება მხოლოდ სანამ ამ პირს შეესრულდება განსაზღვრული სამოქალაქო კანონით მესამე მეხლში წლოვანება ჯვარის დაწერისათვის და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათს ქორწინებას არ მოჰყოლია ცოლის ორსულობა.

ტ. X. ნაწ. 2. კან. სამოქ. სამარ. წ. გამოც. 1876 მუხ. 623.

210. ქორწინებითი შეუღლებანი პირთა, რომელთა შორის არის უმახლობელესი სულიერი ნათესაობა წმიდა ემბაზისაგან მოქმედობის გამო, ანუ უმახლობელესი ხორციული ნათესაობა, შემდეგ კანონიერად ამის შეტყობისა განიყრებიან—და დაქორწინებულები მიეცემიან სინანულსა. ხოლო მსჯელობა მათს შვილებზე გარდაეცემა სამოქალაქო მთავრობას. ამ გვარად დაქორწინებულთ პირთ

არ აღეკრძალებათ ახალი ჯვარის წერანი, თუ ამას არ უხვდებიან სხვა დაბრკოლებანი.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 219.

211. თავიანთ დასკვნებს ქორწინებათა უკანონობაზე ნათესაობისა და ემბაზისაგან მიმოქმელობისა გამო ეპარქიის მთავრობა უნდა აფუძნებდეს ფიცხელ განხილვაზედ ნათესაობის დამტკიცებათა და მისი ხარისხების შეთანხმებაზედ წესდებებთან, რომელნიც განმარტებულნი არიან წმიდა ეკკლესიათა სიის წესდებათა ნამდვილს აზრზედ დამყარებულთ უწმიდესის სინოდის განჩინებებში.

1810 იანვ. 19 (უმალ. უქ. 1837 დეკემბ. 31 (უმალ. უქ.;) წესდებულ. სას. კონს. მუხ. 220.

212. პირნი, რომელთა ქორწინება ჯეროვანი სასულიერო სამსჯავროისაგან ცნობილ იქმნება უკანონოდ და არა ნამდვილად ეპარქიის მთავრობის მიწერ-მოწერით ადგილობრივს სამოქალაქო მთავრობასთან დაუყონებლივ განიურებიან. გარდა ამისა სამსჯავროისაგან ცნობილნი დამნაშავედ უკანონოდ დაქორწინებაში საიდუმლოდ, მიეცემიან საეკკლესიო სინანულსა, ხოლო ზოგიერთს კანონით აღნიშნულს შემთხვევებში განსაზღვრულთ სასჯელთაცა.

წესდებულ. სას. კონს მუხ. 221 ტ. 4. ნაწ. 1 კან. სამოქ. გამ. 1857 მუხ. 38.

213. გაურილთ ცნობისა გამო მათის ქორწინებისა უკანონოდ და არა ნამდვილად მხოლოდ გარდა დასჯილთა სამარადისო უქორწინობით, აქვსთ უფლება დაქორწინდენ ხელახლა სხვა პირებზედ, თუ ეს ქორწინება კანონით არ არის აღკრძალული.

ტ. X, ნაწ. 1. სამოქ. კან. სომოქ. კან. გამოც. 1857. მუხ. 39.

214. თუ ქმარი ანუ ცოლი,—როდესაც ჯერ კანონიერად არ არიან გაყრილნი და მათი ქორწინება არ მოსპობილა,—გაბედვენ მეორედ ჯვარის დაწერას,—მაშინ ეს ქორწინება, როგორც უკანონო, ითვლება არა ნამდვილად, და ახლდება პირველი კანონიერი ქორწინება. მაგრამ თუ ვინიცობაა დატევებული პირი ისურვებს განაგრძოს მეუღლეობა მის დამტოვს და სხვაზედ დაქორწინებულს პირთან, ეს მათი ქორწინებაც ირღვევა და ნება ეძლევის მართალს მხარეს მეუღლის შერთვისა, ხოლო დანაშაული ისჯება სამარადისო უქორწინეობით.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 222 ტ. X. ნაწ. 1 გამოც. 1857. სტ. 37.

215. დამნაშავე მეორე ქორწინებაში, როდესაც პირველი არ მოსპობილა, ისჯება საეკლესიო ეპიტიმიით იმ ადგილს, სადაც ის მივა სიცილის სამსჯავროის განჩინებისა მებრ. პირი, რომელსაც უკანონოდ ჯვარი დაუწერია ამ გვარს პირზედ, შემდეგ სვინიდისის გაწმენდისა ეპიტიმიით, იღებს კანონიერად ჯვარის დაწერის ნებას იმ პირზედ, რომელსაც არა აქვს დაბრკოლება. დაბოლოებითი დადგინებანი ამ საქმეებზე წარედგინებიან განსახილველად უწმიდესს სინოდს.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 223.

216. როდესაც ორივე მხარე მუოფნი კანონიერ ქორწინებაში, შეიქმნებიან დამნაშავე, მეორედ ჯვარის დაწერაში, მაშინ, უკანასკნელ ქორწინების მოსპობისა შემდეგ, ისინი დატოვებულ იქმნებიან პირველს მეუღლეობაში, ხოლო თუ ვინიცობაა მოისპო იგი, ადრინდელი ქორწინება ერთი მეუღლეთაგანის სიკვდილით, ცოცხალს პირს არა აქვს უფლება ითხოვოს არც ადგინებაზე მი-

სი უკანონო ქორწინებისა, არც ნების დართვაზე მისდამი ხელახლად ჯვარის დაწერისა.

ტ. X. ნაწ. 1. კან. სამოქ. გამოც. 1857 მუხ. 42.

217. შემდეგ მოხსენებისა ანუ ცნობის მიღებისა ჯვარის დაწერაზე დაწესებულის წლოვანების შესრულებამდის, კონსისტორია მიიქცევის შესამოწმებლად სამეტრიკო წიგნებთან დაქორწინებულთა წლოვანებაზედ, ანუ გამოძიებასთან ამაზედ, თუ მათის შობის დრო სამეტრიკო წიგნში არ არის ჩაწერილი.

წესდებულ. სას. კონსისტ. მუხ. 224.

218. თუ აღმოჩნდება, რომ ჯვარის წერა შესრულებულია სასიძოს ანუ სასძლოის ეკლესიურს სრულ წლოვანებამდის, მაშინ ჯვარდაწერილები დაუყონებლივ განშორებულ იქმნებიან ურთიერთ შორის მეუღლეობისაგან.

იქვე მუხ. 225.

219. თუ ჯვარდაწერილნი მცირე წლოვანობაში, შემდეგ შესრულებისა სრულის და სამოქალაქო სრულწლოვანებისა ისურვებენ განაგრძონ ცოლქმრობა, მათი კავშირი მტკიცდება ეკლესიაში წესდებულებისა მებრ.

იქვე მუხ. 226.

220. მღვდელნი და მედავითნენი, რომელნიც აღმოჩნდნენ დამნაშავედ ქორწინებათა შესრულებისათვის დადგენილ წესდებათა გამოტოვებაში, განისჯებიან და ისჯებიან სასულიერო მთავრობის მიერ, მხოლოდ იმ შემთხვევათა გარდა, როცა ისინი ექვემდებარებიან სისხლის სამსჯავროის მოქმედებას.

იქვე მუხ. 227 ტ. X. ნაწ. 2 კან. წესდ. სამოქ. გამოც. 1876 მუხ. 618.

221- სამოქალაქო უწყების კაცებზედ, რომელნიც მოწმობდნენ იმ პირთა ჯვარის დაწერის დაებრკოლებლობას, რომლებიც წინამავალ მუხლებში არიან მოხსენებულნი, აცნობებენ სამოქალაქო მთავრობას.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 228.

თ ა ვ ი VI.

ცოლქმრობათა მოსპობაზე და დარღვევაზე.

222. ქორწინება ისპობა ცოლქმრის ერთი და ერთის სიკვდილით. შემდეგ ამისა ცოცხალს შეუძლია ხელახლად ჯვარი დაიწეროს, თუ ამას არ ერთვიან კანონიერნი დაბრკოლებანი.

იქვე მუხ. 229.

223. ქორწინება შეიძლება გაყრილ იქმნეს:

1) ცოლქმრის ერთისა და ერთის თხოვნისა გამო, იმ შემთხვევაში როდესაც მეორე მეუღლეს მისაჯებული აქვს დასჯა, რომელსაც ერთვის ყოველი მისი წოდების უფლებათა ახდა;

2) ცოლქმრისაგან ერთისა და ერთის თხოვნისა გამო, როდესაც მეორე მეუღლე სხვაგან იმყოფება უამბოდ.

და 3) ცოლქმართაგან ერთისა და ერთის საჩივრისა გამო მეუღლეობისაგან გაყრაზე.

იქვე მუხ. 230; ტ. X. ნაწ. 1 სამოქ. კან. გამოც. 1857 მუხ. 45.

224. საქმეები ქორწინებათა დარღვევაზედ იმ ეპარქიებში იწყებიან, რომლებშიაც იმ ქორწინებათა ქვეშე მყოფთ მეუღლეთა აქვსთ მუდამი ბინა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. რომელიმე პირის მუდამი საცხოვრებლის ბინის განსაზღვრისათვის მიიღებიან პატივდებაში: 1) მისი სამსახურის ადგილი ან 2) ადგილი, სადაც ის მიწერილია რომელიმე წოდებაზე, ან 3.) ნიადაგული სადგომი ბინა გარდა სამსახურისა გამოცვლათა, ერთი გუბერნიიდგან მეორეში გადასვლა, მამულთა მდებარეობისა, ანუ სხვათა ამ გვართა მიზეზთა გამო, არ იძლევიან საქმის გადატანის ნებას იმ კონსისტორიიდგან, სადაც ის დაწყებულია, მეორე ეპარქიის კონსისტორიაში.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 240. ტ. X. ნ. 2. კ. სამოქ. წესდ. გამოც. 1876 Თ. 3 მუხ. 620 და შენიშ.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ებ ა 1.

ქორწინებათა გაურაზედ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთს მეუღლეს მისაჯული აქვს სასჯელი რომელსაც ერთვის ახდა მდგომარეობის ყოველთა უფლებათა.

225. როდესაც ერთს ცოლქმართაგანს გარდაწყვეტილი აქვს სასჯელი, რომელსაც ერთვის ახდა მდგომარეობის ყოველთა უფლებათა, მაშინ მეორეს, თუ იგი ნება ყოფლობით არ გაუვება მას მასთან მეუღლეობის განსაგრძობლად, შეუძლია სთხოვოს სასულიერო მთავრობას ქორწინების დარღვევა და ხელახლა ჯვარის დაწერის ნებართვა.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 231 ტ. X. ნ. 1. კ. სამოქ. გამოც. 1857 მუხ. 50. სამართლ. წიგ. და სჯათა ზედა გამოც. 1866 მუხ. 27.

226. დაშორებილი თავის ძალაში დასჯილთან გაყოლის გამო დანიშნულს ადგილზედ, ქორწინება უდანაშაულო მეუღლის თხოვნისა გამო შეიძლება დარღვეული იქნეს, თუ დასჯილი მეუღლე ყოველთა წოდების უფლებათა ახდით მიცემულ იქმნება ახალი დანაშაულობისა გამო

ხელახლად სასჯელს, რომელსაც ხელახლა მოუვება თან დარღვევა საოჯახო უფლებათა.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 232. ტ. X. ნ. 1. სამოქ. კან. გამოც. 1857 მუხ. 52 ნაწ. 1.

227. ამავე საფუძლვით შეეძლიათ ითხოვონ ქორწინების დარღვევა იმ უდანაშაულო ცოლქმართანც, რომელთაც ჯვარი დაუწერიათ წოდების უფლებათა ახდილ პირებთან, თუ ეს უკანასკნელნი ხელახლა ჩაიდენენ დანაშაულობას, რომელსაც თან ერთვის მდგომარეობის ყოველ უფლებათა ახდა.

ტ. X. ნაწ. 1. სამოქ. კან. გამოც. 1857 მუხ. 52 ნაწ. 2.

228. უმაღლესის კეთილ მოწყალებით ანუ სამსჯავროის გარდაწყვეტილებით ექსორიიდგან დაბრუნებულების ცოლებს, თუ ექსორიის ვადის განმავალობაში ჯეროვანის მთავრობის ნებართვით არ გამოსულან მათი ქორწინების მსპობელნი განკარგულებანი, და იმათ არ უთხოვიათ მისი დარღვევა,—ნება აქვსთ განუშორებლად დარჩნენ მათთან ადრინდელს მეუღლეობაში, ესვე იგულისხმების ქრმებზედაც, რომელთა ცოლები სასამართლოის გარდაწყვეტილებით გადასახლებულ არიან წოდების ყოველ უფლებათა ახდითურთ.

ტ. X. ნაწ. 1. სამოქ. კან. გამოც. 1857 მუხ. 53.

229. საქმეები ქორწინებათა გაურაზედ ცოლ-ქმრისაგან ერთის დასჯისა გამო სასჯელით, რომელსაც ერთმევის წოდების ყოველ უფლებათა ახდა, გარდაწყდებიან დაბოლოებით ეპარქიის მთავრობის მიერ; მაგრამ ეპარქიის მთავრობა ყოველ მისგან მიცემულს ამა მიზე-

ზისა გამო ჯვარის დაწერის ნებართვაზე, მოახსენებს უწმიდესს სინოდს.

ტ. X. ნაწ. 2 კან. სამოქ. სამართ. წ. გამოც. 1876 წ. მუხ. 626.

განაოფილება 2.

ქორწინებათა გაერთაზე ერთი მეუღლეთაგანის უამბოთ სხვაგან ყოფნისა გამო.

230. როდესაც ერთი მეუღლეთაგანი თავისი საცხოვრებელი ბინიდამ წასვლის შემდეგ რაიმე შემთხვევისა გამო,—ხუთის წლის ანუ მეტის ხნის განმავალობაში დარჩება სხვაგან სრულიად უამბოდ, მაშინ დარჩენილს მეუღლეს ნება ეძლევის სთხოვოს თავის ეპარქიის მთავრობას ქორწინების დარღვევა და ხელ-ახლად ჯვარის დაწერის ნებართვა.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 233 ტ. X. ნაწ. 1. სამოქ. კან. გამოც. 1857 მუხ. 54.

231. სალდათის ცოლებს ნება ეძლევის ითხოვონ ქორწინების დარღვევა. თუ მათს ქრმებს სამსახურის ადგილიდამ გაქცევის შემდეგ, ხუთი წლის ვადის განმავალობაში ვერ მონახვენ და ადრინდელად არ ჩარიცხვენ სამსახურში. მაგრამ იმათ, რომელთა ქმრები უამბოთ დაიკარგნენ ომში, ანუ ტყვენილ იქმნენ მტრისგან, ნება ეძლევისთ ახლად ჯვარის დაწერის მხოლოდ ათის წლის გასვლის შემდეგ იმ დროიდამ, როდესაც მათი ქმრები ტყვედ წაიყვანეს ანუ უამბოდ დაიკარგნენ ომში. სასულიერო მთავრობაში მათგან შემოტანილს თხოვნებთან ხელ-ახლა ჯვარის დაწერისა ნება დართვაზე ისინი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ მთავრობებისგან ადგილო-

ბრივ მხედრობათა ანუ გუბერნიის სამხედრო უფროსთა-
გან მოწმობები მათის ქმრების გაქცევის დროზე ანუ იმა-
ზე, რომ ისინი ტუვედ წაუვანილნი არიან, ანუ უამბოდ
დაიკარგენ ომში, დარწმუნებითურთ, რომ გაქცეულები
ხუთი წლის გასვლის შემდეგ და ტუვედ წაუვანილები ანუ
დაკარგულები უამბოდ ომში ათი წლის გასვლის შემდეგ
სამსახურში არ იმყოფებიან.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 236 ტ. X. ნ. 1 კ. სამოქ. გამოც. 1857 მუხ. 56.

232. თხოვნაში ქორწინების დარღვევაზე ერთი მეუ-
ღლეთაგანის უამბოდ სხვაგან მყოფობისა გამო, უნდა იყოს
ნაჩვენები: სხვაგან მყოფნი ქმარი ანუ ცოლი, სახელდობ
რიდის წავიდნენ თავის საცხოვრებელი ბინიდგან და
იყო თუ არა ამაზე შეტანილი გამოცხადებული თხოვნა.
ამ უკანასკნელს შემთხვევაში დაერთვის თხოვნის დამოწმე-
ბული კოპია.

იქვე მუხ. 57.

233. როდესაც ეპარქიის მთავრობას ეჭვი არ ექნება
მთხოვნელის მეუღლეობის სინამდვილეზე სხვაგან მყოფ
პირთან,—მაშინ იგი მისწერს ადგილობრივს სამოქალა-
ქო მთავრობას ჭკითხოს, დეპუტატის დასწრებით სასუ-
ლიერო მხრით,— სხვაგან მყოფის ნათესავებს და, რო-
გორც ადგილობრივს აგრეთვე მახლობელთ მცხოვრე-
ბელთა: ხომ არ იცის ვინმემ მათგანმა, თუ სად იმყოფე-
ბა იგი, რაიმე ხმებს ხომ არ ჩამოუარია მაზედ, როდის
წავიდა ის, როგორ იქცეოდა და თვითონ მთხოვნელს
ხომ არ მიუცია მისთვის მიზეზი მისი დატევებისა.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 234. ტ. X. ნაწ. 1. სამოქ. კან. გამოც. 1857

მუხ. 58.

234. თუ უამბოდ სხვაგან მყოფად ნაჩვენებს პირს შეუძლია თავის წოდებისა მებრ იცხოვროს რუსეთში, სადაც ისერვებს, მაშინ გამოძიება მის უამბოდ დაკარგვაზე მხოლოდ მაშინ ჩაითვლება საკმაოდ, როდესაც მისი მყოფობა არ აღმოჩნდება ყველა გუბერნიის სასამართლოებთაგან მოთხოვნილთ ცნობათაგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ ცნობათა მოთხოვნის წესი განსაზღვრულია უწმიდესი სინოდის უქაზით 1846 წ.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 235.

235. ნამდვილის ამბის აღმოჩენისათანავე სხვაგან, უამბოდ წასულის ადგილზე საქმე ისპობა; წინააღმდეგ შემთხვევაში ეპარქიის მთავრობა დაადგენს გარდაწყვეტილებას მთხოვნელის ქორწინების დარღვევაზე და მისდამი ნებართვაზე ხელ-ახლად ჯვარის დაწერისა. თუ საქმე იყო ისეთს პირზე, რომელსაც ნება აქვს იცხოვროს რუსეთში, სადაც ინებებს, მაშინ ეპარქიის მთავრობის გარდაწყვეტილება, უწინარეს აღსრულებისა, წარედგინება განსახილველად უწმიდესს სინოდს. ხოლო საქმეები ქორწინებათა დარღვევაზე შესახებ უამბოდ სხვაგან მყოფობისა პირთა, რომელნიც ეკუთვნიან საგლეხო ანუ დაბალ სამოქალაქო წოდებათა და აგრეთვე საღდათის ცოლების ქორწინებათა დარღვევაზე ხუთის და ათის წლის გასვლის შემდეგ მათი ქმრების წასვლიდამ, ამა წესდებულების 231 მუხლისა ძალით, სწყდებიან დაბოლოვებით ეპარქიის მთავრობისაგან. არა კმაყოფილთა ეპარქიის მთავრობის გარდაწყვეტილებათა ნება ეძლევის ამაზედ აპელაციის გარდატანისა უწმიდესს სინოდში.

იქვე მუხ. 237; ტ. X. ნაწ. 1. სამოქ. კან. 1857 მუხ. 60 ტ. X. ნაწ. 2. კან. სამოქ. სასამართ. წ. გამოც. 1876 წ. მუხ. 626.

236. პირი, რომელმაც დასტოვა ქმარი ანუ ცოლი და ხუთს წელიწადზე მეტს ხანს უამბოდ იმალებოდა,

თუ ვინიცობაა ამ მიზეზისა გამო ქორწინება დარღვეულ იქმნა,—ისჯება სამარადისო უქორწინეობით. მაგრამ ეს არ ეხების სამხედრო წოდების დაბალ ჩინთა, რომელნიც ხუთს წელზედ მეტს ხანს ყოფილან ტყვედ ანუ უამბოდ დაკარგული ომში. იმათ ნება აქვსთ დაბრუნების შემდეგ, ხელ-ახლა ცოლი შეირთონ, თუ წინანდელი მათი ქორწინება დარღვეულია.

1850 წ. თებერვალს 6 (23906) წიგ. I. ნაწ. 1. განყ. IV, მუხ. 5.

განყოფილება 3.

ქორწინებათა დარღვევაზედ მეუღლეთა საჩივრისა გამო.

237. ქორწინება მეუღლეთა საჩივრისა გამო ირღვევა მხოლოდ ეპარქიის სამსჯავროის განჩინებით და უწმიდესის სინოდის ღამტკიცებით.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 238.

238. საჩივარი მეუღლის გაშვებინებაზედ შეიძლება წარმოებულ იქმნეს ერთის მეუღლეთაგანის უნიჭოებისა გამო მეუღლეობითის ცხოვრებისა ანუ მრუშებით შეერაცხებისა გამო ქორწინების სიწმიდისა.

იქვე მუხ. 241.

239. საჩივარი მეუღლის გაშვებინებაზე იწყება მეუღლის გაშვებინების მთხოვნელის შეტანილი ქაღალდით ეპარქიის მთავროობისადმი ღერბის ფულის გარდახდით და ბაჟის წარდგენით.

იქვე მუხ. 242; წესდებულ. ღერბის. ფულ კრემაზედ 17 აპრილს 1874. წ.

240 ეპარქიის მთავრობა თხოვნის მიღების შემდეგ მეუღლის გაშვებინებაზე მიანდობს რწმუნებულთ სასულიერო პირთა შთააგონონ მეუღლეთ რათა მათ მოსპონ უთანხმოება ქრისტიანულის შერიგებით და დარჩნენ მეუღლეობაში, როდესაც შთაგონებანი არ მიაღწევენ თვის მიზანს, მაშინ ეპარქიის მთავრობა ხელს მიჰყოფს საქმის ფორმალურს წარმოებას.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 243.

241. მეუღლის გაშვების საქმეების თაობაზედ მომჩივანნი და მოპასუხენი თვითან უნდა ცხადდებოდნენ სამსჯავროში, ხოლო ვექილნი დაიშვებიან მხოლოდ მომჩივნის ან მოპასუხის ავად მყოფობისა გამო, დამოწმებულის გუბერნიის სამმართველოის სამკურნალო განყოფილებისგან, სამსახურის გამო სხვაგან ყოფნის მიზეზით, ანუ სხვა საპატიო გარემოებებში და ისიც მხოლოდ ეპარქიის მთავრობის განჩინებით.

იქვე მუხ. 244.

242. საჩივარი მეუღლეთა გაყრაზე ერთის მათგანის მეუღლეობის უნიჭობისა გამო შეიძლება დაწყებულ იქმნეს მხოლოდ სამის წლის შემდეგ ჯვარის დაწერიდამ.

იქვე მუხ. 245.

243. ამ მიზეზზე არ შეიძლება დამყარებულ იქმნეს ძიება, თუ ერთი მეუღლეთაგანის უნიჭოება მეუღლეობისა არ არის ბუნებითი, ანე დაიწყო შემდეგ ჯვარის დაწერისა.

იქვე მუხ. 246.

244. პირი, რომელსაც ბრალდება უნიჭოება მეუღლეობისა. შემოწმდება გუბერნიის სამმართველოის სამ-

კურნალო განყოფილებაში, რომელიც აღტყობინებს კონსისტორიას, რაც აღმოჩნდება შემოწმების შემდეგ.

იქვე მუხ. 248.

245. ფორმალური საქმის წარმოების დაწყებისათანავე თხოვნის შემოტანისა მებრ ერთ და ერთ მეუღლისაგან ცოლ-ქრმობის გაურაზე ცოლ-ქრმობის კავშირის სიწმიდის დარღვევისათვის მრუშებით, მოპასუხე პირს ეძლევა შემოტანილი თხოვნის დამოწმებული პირი, და ინიშნება დღე, როდესაც მომჩივანი და მოპასუხე უნდა გამოცხადდენ კონსისტორიაში განსამართლებლად.

იქვე მუხ. 248.

246. განსამართლება სწარმოებს კონსისტორიის სამსჯავროში; მომჩივნის და მოპასუხის ჩვენებები იწერებიან სამწერლო სტოლის უფროსისა ანუ განცელარიის მოსამსახურისაგან კონსისტორიის ბეჭედ დასმულ და ზონარგაურილს რვეულში, ხელმოიწერებიან მომჩივნისა და მოპასუხისაგან, და თუ მათ წერა არ იციან, გარეშე პირთაგან, მათის თხოვნით, და მოწმდებიან ხელის მოწერით კონსისტორიის წევრთა, რომელნიც იყვნენ სამსჯავროში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სასულიერო სამმართველოს ქ. ჩიტაში, ზაბაიკალის სამთავროში, მიცემული აქვს უფლება აწარმოოს განსამართლება შესახებ საქმეთა მეუღლის გაურაზე.

იქვე მუხ. 249; 1880 ნოემბ. 5 უმაღ. ბრძან. კრებ. სჯულდ. და განკარგა მმართ. 1881 № 139.

247. განსამართლების დროს მოპასუხეს ჰკითხვენ წინაადმდეგ საჩივარში დაწერილ ბრალდებათა; შემდეგ მომჩივანი განმარტებს მხილებათა და დამტკიცებათა, წარმოადგენს საბუთებს, თუ აქვს, და უჩვენებს დანაშაულობის მოწმეებს, თუ იყვნენ ისინი, ხოლო მოპასუხე განმარტებს თავის გამართლებათა.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 250.

248. თუ განსამართლება მოხდენილია ვექილობისაგან, მაშინ მარწმუნებელთა უნდა წაიკითხონ იგი და დაამტკიცონ თავისი ხელის მოწერით, ანუ უფლება მისცენ ვინმეს ამისა და ამაზედ უნდა შეიტანონ თხოვნა კონსისტორიაში.

იქვე მუხ. 251.

249. განსამართლების დროს იკვლევენ წარმოდგენილთ ბრალდებათა, საბუთთა და გამართლებათა. დანაშაულობის უმთავრეს საბუთებად უნდა ჩაითვალონ: ა) ჩვენებანი ორისა ანუ სამის თვალით მხილველი მოწმეებისა და ბ) შვილთა ყოლა, გარეშე კანონიერის მეუღლეობისა, დამტკიცებულისა მეტრიკის საბუთებით და დამტკიცებებით გარეშე პირთან უკანონო კავშირზედ. გარდა ამისა დამტკიცებათა, — მაგალითებ: წერილებს, რომელნიც ცხად ჰყოფენ მოპასუხის მეძავს კავშირს; მოწმეების ჩვენებათა, რომელთაც თვალით არ უნახავთ დანაშაულობა, მაგრამ იციან იგი სარწმუნო ცნობებიდამ; ანუ ხმებიდამ; ჩვენებებს კითხულ პირთა მოპასუხის გარეგნილს ცხოვრებაზედ და სხ., მხოლოდ მაშინ შეეძლიათ იქონიონ თავისი ძალა, როდესაც შეერთდებიან ერთად უმთავრესს დამტკიცებებთან, ანუ ყველა ერთად გამოააშკარვებენ დანაშაულობას.

იქვე მუხ. 252.

250. საკუთარი გამოტყდომა მოპასუხისა ქორწინების სიწმიდის დარღვევაში მრუშებით არ მიიღების პატივდებაში თუ ის არ ეთანხმება საქმის გარემობეებს და თან არ ახლავს დამტკიცებები.

იქვე მუხ. 253.

251. მოწმებს, რომელნიც იმყოფებიან იმ ადგილზე, სადაც სწარმოებს საქმე, ჰკითხავენ კონსისტორიაში შემდეგ მათი დაფიცებისა მომჩივნის და მოპასუხის დასწრებით. სამოქალაქო უწყების მოწმებად დასახელებულ კა-

ცებს აფიცებენ და ჰკითხვენ სამოქალაქო დეპუტატის დასწრებით. სხვა ადგილებზე მცხოვრები მოწმეებისგან, სასულიერო წოდების პირთა ჰკითხვენ ადგილობრივს კონსისტორიაში ანუ სასულიერო სამმართველოებში, რომელთაც ამისათვის ეძლევათ საკითხავი მუხლები, ხოლო სამოქალაქო უწყების კაცებს — ადგილობრივი პოლიცია სასულიერო მხრისგან დეპუტატის დასწრებით, აგრეთვე საკითხავ მუხლებით. ასე უნდა მოექცნენ სამოქალო წოდების პირთაც, რომელნიც იმყოფებიან, სადაც საქმე სწარმოებს, თუ რამე მიზეზისა გამო საძნელოდ აღმოჩნდება მათი დაბარება კონსისტორიაში. თუ ვინიცობაა ვინმე გარდაყენებულ იქმნა მოწმობისაგან, კონსისტორია წინ-და-წინ განიხილავს გარდაყენების მიზეზებს, და კანონებთან შეთანხმების შემდეგ, დაადგენს თავის დასკვნას იმ მოწმის კითხვაზედ, ანუ უკითხავად მის დატოვებაზედ.

იქვე მუხ. 254.

252. საქმის ყველა გარემოებათა ცხადად შეტყობის შემდეგ იწერება ამაზედ ქაღალდი და ეძლევა ხელის მოსაწერად მომჩივანს და მოპასუხეს ანუ მათს ვექილებს. შემდეგ ამისა კონსისტორია იწყებს საქმის განხილვას და გარდაწყვეტილების დადგინებას.

იქვე მუხ. 255.

253. თუ დამტკიცდება მოპასუხე პირის უნიჭოება მეუღლობისა, ანუ დარღვევა მისგან ქორწინების სიწმიდისა მრუშებით, მაშინ ქორწინება ირღვევა და მომჩივანს, ერთხელ ანე ორჯერ ნაგვირგვინებს, ნება ეძლევა ხელახლა ჯვარის დაწერისა, ხოლო მოპასუხე პირი ისჯება სამარადისო უქორწინოობით, და თუ ისჯება ამით ქორწინების სიწმიდის დარღვევისათვის, მაშინ საეკლესიო წესდებათა მებრ მიეცემის ეპიტიმიას.

იქვე მუხ. 256.

254. გარდაწყვეტილებანი ეპარქიის მთავრობისა მეუღლის გაურის საქმეების შესახებ გამოეცხადებათ ორთავე მხარეთა.

იქვე მუხ. 257.

255. თუ ეპარქიის მთავრობის გარდაწყვეტილებით მომჩივანს უარი გამოდის და ქორწინება ძალაში რჩება, მაშინ უკმაყოფილოს ამ გვარის გარდაწყვეტილებით შეუძლია მიართვას საჩივარი უწმიდესს სინოდს.

იქვე მუხ. 258.

256. თუ ეპარქიის მთავრობის გარდაწყვეტილებით უნდა გაურილ იქმნეს ქორწინება, მაშინ უკმაყოფილომ ამა გარდაწყვეტილებით უნდა განაცხადოს თავისი უკმაყოფილება ხელის მოწერით კონსისტორიაში შვიდის დღის განმავალობაში შემდეგ მისდამი გარდაწყვეტილების გამოცხადებისა და მერმე ორის თვის განმავალობაში, უნდა წარადგინოს კონსისტორიაში პასუხის-გება, განმარტებით საფუძველთა, რომელთა ძალით უკანონოდ სთვლის ეპარქიის მთავრობის გარდაწყვეტილებას. ესე პასუხის გება ეპარქიის მთავრობამ უნდა წარუდგინოს უწმიდესს სინოდს, თავის გარდაწყვეტილებითურთ, ნამდვილი საქმით და მისგან გამოწერილობით. მაგრამ გარდაწყვეტილება, რომლითაც უნდა დარღვეულ იქმნეს ქორწინება, უნდა წარდგენილ იქმნეს უწმიდესი სინოდისადმი დასამტკიცებლად, თუნდაც რომ არავის არ განემცხადებიოს მაზედ უკმაყოფილება და არ შეეტანოს პასუხი.

იქვე მუხ. 259.

257. ამა განყოფილებაში განმარტებულთ წესდებათ ექვემდებარებიან აგრეთვე საქმეებიც, მეუღლეთა საჩივრებისა გამო, მართლ-მადიდებელთა სხვა რჯულის პირებთან ქორწინების დარღვევაზედ.

იქვე მუხ. 239 ტ. X. ნაწ. 1 სამოქ. კან. მუხ. 73.

თ ა ვ ი VII.

ქორწინებათა სინამდვილის დარწმუნებაზედ და დაბადებაზე კანონიერი ქორწინებისაგან.

258. საქმეები ქორწინებათა სინამდვილისა დარწმუნებაზედ და დაბადებაზე კანონიერი ქორწინებისაგან უნდა წარმოებულ იყვნენ იმავე ეპარქიებში, სადაც წარდგენილ საბუთთა ანუ მიცემულთ ჩვენებათა მებრ შესრულებულნი არიან ქორწინებანი, ანუ დაიბადნენ კაცები, რომლებზედაც ეს საქმეები სწარმოებენ.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 261. 1850 თებერ. 6 (23906) წიგნი VI განყ. V თავი II მუხ. 4. 1.

259. ეპარქიის მთავრობა შედის ქორწინებათა სინამდვილის განხილვაში: ა) სასამართლოების მოთხოვნილებათა გამო შესახებ მათში წარმოებულის საქმეებისა, საჭიროების ანუ ეჭვის დროს; ბ) კერძო თხოვნებისა გამო, როდესაც დასამოწმებლად კანონიერის ქორწინებიდგან შობისა, რომელიც არ არის შეტანილი მეტრიკის წიგნებში, საჭიროა მოწმობა მშობლებთა ქორწინებაზედ; და გ) კერძო პირთა თხოვნებისა გამო მიცემაზედ მოწმობათა მათს ქორწინებაზე.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 262.

260. უმთავრესი დამტკიცება ქორწინების მოხდენისა არის ჩვენება მაზედ მეტრიკის წიგნებში. თუ ქორწინება არ არის ჩაწერილი მეტრიკის სიგელებში, მაშინ მისი სინამდვილე შეიძლება დამტკიცდეს: ა) ობისკის წიგნით; ბ) აღსარებითი სიებით; გ) სამოქალაქო საბუთებით, თუ იმათგან სჩანს, რომ თავისთვის დამსახელებელნი ანუ წოდებულნი მეუღლეებად ცნობილი ყოფილან ესრეთ პი-

რებათ სასამართლოებში და უეჭველად სარგებლობდენ დამოკიდებულის კანონიერ მეუღლეობაზედ სამოქალაქო უფლებეებითა და უპირატესობებით და გ) გამოძიებით.

იქვე მუხ. 263.

261. გამოძიება უნდა შეიცავდეს კრებულის ჩვენებათა, რომელმაც შეასრულა ჯვარის წერა, ჯვარის დაწერაზე დამსწრე მოწმეთა და საზოგადოდ ჯვარის დაწერის სინამდვილის მცოდნეთა. გარდა სამღვდელო მოსამსახურეთა, მეუღლეთა, რომელთაც საქმე შეეხება, და მათ მშობელთა ყველა დანაშთენი პირნი აძლევენ ჩვენებებს ფიცს ქვეშ.

იქვე მუხ. 264.

262. საბუთების შევსების ან გამოძიების მოხდენის შემდეგ, როგორც ნათქვამია წინამავალ მუხლებში, ეპარქიის მთავრობა განიხილავს მათ, და, დაადგენს რა დასკვნათა, აუწყებინებს სასამართლოებს, რომელთა მიწერილობათა მებრ სწარმოებდენ საქმეები. თუ საქმეები სწარმოებდენ კერძო პირთა თხოვნებისა გამო მოწმობების მიცემაზე, მაშინ ეპარქიის მთავრობა მთხოვნელებს აძლევს მოწმობაებს იმ ქორწინებებზედ, რომელთაც იგი სთვლის უეჭველად; ხოლო წინააღმდეგს შემთხვევაში უარს უყოფს მთხოვნელთა.

იქვე მუხ. 265.

263. კანონიერი ქორწინებისგან დაბადების განხილვას ეპარქიის მთავრობა იწყებს სასამართლოების და მთავრობათა მოწერილობათა, მათს ხელში წარმოებულთ საქმეთა ანუ აღმოჩენილ საჭიროებათა გამო; და კერძო პირთა თხოვნებისა გამო მეტრიკის მოწმობების მიცემაზედ.

იქვე მუხ. 266.

264. ეპარქიის მთავრობა, ამ გვარი საქმეების გარდასაწყვეტად, მიიქცევა პირველად ყოვლისა მეტრიკის წიგნებთან და თუ ნახავს, რომ დაბადება და მონათვლა პირისა, რომელსაც საქმე შეეხება, ჩაწერილი არის მათში და შთაწერილობა ესე საეჭვო არ არის, მაშინ წარუდგენს მოთხოვნილს ამაზედ ცნობას სასამართლოს ანუ მთავრობას, ან და აძლევს მოწმობას მთხოვნელს.

იქვე მუხ. 267.

265. თუ დაბადება პირისა, რომელსაც საქმე შეეხება ნაჩვენებს სამრევლოში აღნიშნულს დროს არ არის ჩაწერილი ან თუ მეტრიკის შთაწერილობა სხვა რიცხვისა გამო, ანუ წარმოადგენს უთანხმობას შობილისა ანუ მშობელთა სახელებში, ანუ შეიცავს ამოფხეკილს ადგილებს, ანუ სხვა მიზეზებისა გამო, მაშინ გასინჯვენ ალსარებით სიებს, ნაჩვენები წლიდამ დაწყებული წლამდის საქმის წარმოებისა, აგრეთვე მეტრიკის და საძიებელ (ობისკის) წიგნსაცა მშობლების ქორწინებაზე, და ხდება გამოძიება, რომელშიაც ჰკითხვენ მიმრქმელთა და ნათვლაზედ დამსწრე პირთა.

იქვე მუხ. 268.

266: თუ მეტრიკის ჩაწერილობა მშობლების ქორწინებაზედ არ აღმოჩნდა, ან თუ იგი საეჭვოა, ამ შემთხვევაში ხდება გამოძიება ქორწინების სინამდვილეზე ზემო განმარტებულის წესით.

იქვე მუხ. 269.

267. თუ მშობლები არ არიან ცოცხალნი: მაშინ, გარდა ჩვენებათა მომნათველელის მღვდლისაგან და ნათვლაზე დამსწრე პირთაგან უმეტესად ექცევა ყურადღება იმ პირის, რომელზედაც სწარმოებს საქმე ყველა შესახე-

ბელ საბუთებს, რომელთაგანაც შეიძლებოდეს დანახვა: როგორა სთვლიდნენ მას მშობლები, როგორ ითვლებოდა იგი საზოგადოდ მშობლები სიცოცხლეში. და დავა ხომ არ ყოფილა მშობლების სიცოცხლეში მის შთამოების კანონიერებაზედ.

იქვე მუხ. 270.

268. საჭიროებისა მიხედულობით, კონსისტორია ჰკრებს ცნობებს სხვა წყაროებიდამაც, რომლებსაც შეადგენენ. ნამსახურებითი სიები მშობლებისა: გვარი შთამომავლობის, საქალაქო, სამოსახლო წიგნები, სარევიზიო გლეხთა მოთხრობანი და სხ.

იქვე მუხ. 271.

269. ყველა ამ გვარ ცნობათა შეკრებისა და მათის განხილვის შემდეგ ეპარქიის მთავრობა შეაყენებს თავიანთს დადგენილებას და აცნობებს მას იმ ადგილს ანუ პირსა, რომლისაგანაც შემოტანილი იყო საქმე, ან და აძლევს მეტრიკის მოწმობას მთხოვნელს, როდესაც კანონიერი ქორწინებისგან დაბადება დამტკიცებულია; ხოლო წინააღმდეგს შემთხვევაში უარს უყოფს თხოვნაზედ.

იქვე მუხ. 272.

270. მეტრიკის მოწმობები იძლევიან მხოლოდ კონსისტორიიდგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ჩიტელ სასულიერო სამმართველოს ადგილობრივ გარემოებათა პატივის დებით, ნება აქვს მისცეს მეტრიკის მოწმობები. ამა მოწმობებს აქვს თანასწორი ძალა კონსისტორიიდამ მიცემულს ამ გვარს საბუთებთან.

იქვე მუხ. 273; 1881 მარტს 28 უმაღ. ბრძ. (კრებ. სჯულდ. და განკარგ. მმართებ. 1881 № 320)

271. მეტრიკისგან ამოწერილი მოწმობები მიეცემიან კონსისტორიიდგან დაუბრკოლებლივ ყველა პირთა,

და სახელდობ: ა) ყველა მათის დაბადებისა და მონათვლის დროზედ; ბ) მშობლებს დაბადებაზე, მონათვლაზე და გარდაცვალებაზედ შვილთა; გ) მზრუნველებს დაბადებაზედ. და მონათვლაზედ უმაწვილთა, რომელთაც არა ჰყავთ მშობლები და იმყოფებიან მათს მზრუნველობას ქვეშ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ეპარქიის მთავრობას ნება დართული აქვს მისცეს მეტრიკის მოწმობები ყოველს შემთხვევაში, როდესაც შეიძლება ისინი გამოთხოვნილ იქმნენ.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 274. ტ. IX. გამოც. 1876 მუნ. 1048.

272. მთხოვნელი მეტრიკის მოწმობისა სხვაზედ, გარეშე პირი ვალდებულია წარმოადგინოს მისგან კანონიერი რწმენების წერილი.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 275.

273. ახალი მეტრიკის მოწმობა პირზედ, რომელზედაც იგი გატანილია იძლევის მხოლოდ წარმოდგენის შემდეგ კანონიერ დამტკიცებათა წინანდელის დაკარგვაზედ. თე ამ გვარს პირზედ სასამართლოსგან ითხოვება ცნობა მეტრიკის წიგნებიდგან: შაშინ ამა ცნობის გაგზავნისათანავე უნდა შეატყობინოს მას, რომ მოწმობა იყო გატანილი და დროც უნდა უჩვენოს მისი გატანისა.

იქვე მუხ. 276.

274. თუ მეტრიკის მოწმობა რომელიმე პირზედ მიცემულია კონსისტორიიდგან მოთხოვნილებისა მეპრ რომელიმე სამთავრობო ადგილისა ანუ პირისა, და კონსისტორიაში შემოვიდა კერძო თხოვნა მოწმობის მიცემაზედ იმავე პირზედ, მაშინ მეორედ მოწმობა არ მიეცემის; მაგრამ მთხოვნელს ნება ეძლევის გამოითხოვოს უკანვე, საიდამაც ჯერ არს, ის მოწმობა, რომელიც მიცემულია კონსისტორიიდგან, ანუ მის პირი იმ ადგილიდამ, სადაც ის მოწმობა გაგზავნილია.

ტ. IX. გამოც. 1876 მუხ. 1049.

275. კონსისტორია არ არჩევს საქმეებს კერძო დასმენათა გამო შთამოების უკანონობაზე.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 277.

თ ა ვ ი VIII.

საეკლესიო ეპიტიმიის გადაწყვეტაზედ.

276. საეკლესიო სინანული სამოქალაქო უწყების კაცებს დაენიშნების ეპარქიის მთავრობისგან შეცდომათა და დანაშაულობათათვის, რომელნიც აღმოჩნდებიან ეპარქიის უწყებაში წარმოებულთ საქმეებისაგან, ანუ საერო სასამართლოების განჩინებათაგან.

იქვე მუხ. 278.

277. ვადა და გვარი სინანულისა განისაზღვრებიან შეცდომათა და დანაშაულობათა გვარისა მებრ საფეძველსა ზედა საეკლესიო წესდებათა.

იქვე მუხ. 279.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა IV.

დაწყებილობა კონსისტორიისა.

თ ა ვ ი I.

კონსისტორიის შედგირებულება.

278. კონსისტორიის მსაჯულთა შეკრებილება შესდგება შტატებით განსაზღვრული წევრთა რიცხვიდგან. თუ

ვინიცობაა საჭირო იქნება, ინიშნებიან მტკიცეს გარეშე წევრებიც.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 280. 1869 მარტის 25 (46899)

279. განსაკუთრებულთ გარემოებათა მოთხოვნილებისა გამო, უწმიდესი სინოდი აწესებს, გარდა მუდამისამ დროებითს კონსისტორიის მსაჯულთა შეკრებილებას. ა, შემთხვევაში მის გამოუცვლელ წევრთა მიემატებიან კიდევ სამი ან ოთხი წევრი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. კონსისტორიებს ორივე საკახეთ ქალაქებში აქვსთ ორი მუდამი მსაჯულთა შეკრებილება.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 281.

280. კონსისტორიის წევრები აღმოირჩევიან არხიმანდრიტთა, იღუმენთა, მღვდელ-მონაზონთა, დეკანოზთა და მღვდელთაგან, რომელნიც ღირსნი არიან უპირატესის ნდობისა განათლებით, გამოცდილებით, სამაგალითო ყოფაქცევით და სიმართლის მოყვარეობით, და ეპარქიის მღვდელმთავრის წარდგინებისა მებრ მტკიცდებიან ამ სამსახურში უწმიდესი სინოდისაგან. მათი დათხოვნა ხდება იმავე წესით.

იქვე მუხ. 282.

281. ეპარქიის არქიერს შეუძლია: 1) აღუკრძალოს კონსისტორიის წევრს დასწრება საქმეზედ, რომელშიაც იგი გარეულია, ანუ რომლისაგანაც კანონიერად განიუენების სამართალს ქვეშე მყოფისგან.

2) მძიმე ბრალდებულობისა გამო პასუხის გებაში მიცემული წევრი არ მიიშვება კონსისტორიის მსაჯულთშეკრებილებაში, სანამ მაზედ საქმე არ განიხილება.

3) თუ ვინიცობაა წევრთა რიცხვი მოულოდნელად შემცირდა, კონსისტორიის შეუჩერებლივ მოქმედებისთვის, დროებით უნდა დანიშნონ წევრი, მოახსენებენ რა ორივე უკანასკნელ შემთხვევაში მაშინვე უწმიდესს სინოდს.

იქვე მუხ. 264.

282, კონსისტორიის წევრნი რუსეთის შიგნით დროებით დაითხოვებიან მღვდელ-მთავრისაგან. როდესაც დათხოვნის ვადა აღემატება 28 დღეს, ყოვლად სამღვდელო მოახსენებს უწმიდესს სინოდს მიზეზების აღნიშვნითურთ რომელთა პატივის დებით მოხდა. დათხოვნა, კონსისტორიის წევრთა საზღვარ გარედ დროებით დათხოვნის ნება ერთვების უწმიდესი სინოდისაგან,

იქვე მუხ. 285, 1865 ოკტომბერი 14 (42560).

283. საქმეთა საწარმოებლად კონსისტორიას აქვს შტატით განსაზღვრული კანცელარია, სეკრეტრის უფროსობით.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 286.

284. კონსისტორიის სეკრეტარი განწესდება უწმიდესის სინოდისაგან უწმიდესის სინოდის ობერ პროკურორის აღრჩევით და წინადადებით და დაითხოვების აგრეთვე უწმიდესი სინოდისგან ობერ პროკურორის წინადადებით სხვა მოხელეები და კანცელარიის მოსამსახურეები განწესდებიან და დაითხოვებიან კონსისტორიისგან ეპარქიის არქიერის დამტკიცებით.

იქვე მუხ. 287.

285. კონსისტორიის სეკრეტარი იმყოფება რა ეპარქიის მღვდელ-მთავრის უმახლობელეს უფროსობის ქვეშ, არის ამასთანაეე პირ-და-პირს გამგეობაში უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორისა, როგორც კანონიერთ დადგინებულებათა სასულიერო უწყებაში აღსრულების დამცველი და ვალდებულია აღასრულოს ყველა მისი მოწერილობანი.

იქვე მუხ. 288.

286. კონსისტორიის სეკრეტარი ითხოვება დროებით ვადით ოცდა რვა დღემდის ეპარქიის მღვდელ-მთავრისგან და უფრო ხანგრძლივი ვადებით უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორისგან მიწერ-მოწერისა მებრ მღვდელ მთავართან; სხვა მოხელენი და კანცელარიის მოსამსახურენი კი—კონსისტორიისგან, ყოვლად სამღვდელოის ნება რთვით.

იქვე მუხ. 289; 1865 ნოუმბ. 4 (42638.)

287. მოხელეების ჩინებით დაჯილდოებაზედ (გარდა დივნებისა) და კანცელარიის მოსამსახურეებისა, რომელნიც ეპარქიის უწყებაში მსახურებენ, დაწესებულს დამსახურებისათვის, ეპარქიის მთავრობანი მიიწერებიან პირ-და-პირ დაჯილდოვებაზე ჩინებით ღერობლდიის დეპარტამენტში; ხოლო კონსისტორიების სეკრეტრების დაჯილდოებაზედ ჩინებით წელთა დამსახურებისათვის, და აგრეთვე შეამდგომლობაზედ ყველა ხსენებულთ მოხელეთა და კანცელარიის მსახურთათვის შეამავლობით გამოტანაზე ჯილდოებისა წარჩინებული სამსახურისათვის და მათთვის და მათ სახლობათათვის პენსიათა ანერთ დროებითად შემწეობათა დანიშვნაზედ ეპარქიის მთავრობანი მართვენ მიწერ-მოწერას უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორთან.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 290; ტ. III. გამოც. 1876 წესდებულ. სამს. სამ. მუხ. 295; წესდებულ. პენს. მუხ. 205.

თ ა ვ ი. II.

გარეგან დაწყობილობაზედ და მსაჯულთა შეკრებილ-ლების დროზე კონსისტორიაში.

288. გარეგანი დაწყობილობა კონსისტორიის სასამართლოისა უნდა ყველაფერში ეთანხმებოდეს რუსეთის იმპერიის კანონთა კრებაში დადგენილ წესდებათა გარეგან დაწყობილობაზე და კეთილ წესიერებაზედ გუბერნიის სასამართლოთა,

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 291.

289. კონსისტორიის მსაჯულთა შეკრებილება იწყება დღის 9 ან 10 საათზედ ადგილობრივ გარემოებათა მიხედვით და გრძელდება საქმეთა მიმდინარეობისა და გვარად.

იქვე. მუხ. 292.

290. კონსისტორიის წევრები იკრიბებიან, გარდა კვირა უქმე დღეებისა, ყოველ დღეს კვირის პირველი ხუთი დღის განმავალობაში და თუ საჭიროება მოითხოვს შაბათსაც.

იქვე მუხ. 293.

291. კონსისტორიის წევრები სამღვდელო მოვალეობათა გამო, თავისუფალნი არიან კონსისტორიაში სამსახურისაგან დიდ მარხვის პირველ და უკანასკნელს კვირებში და დიდ მარხვის ყოველს პარასკევს. დეკემბრის 24-დამ 29-მდი და იანვრის 4-დამ 9-მდის თანა ჩართვით.

იქვე მუხ. 294.

292. ოთხშაბათობით დიდ მარხვის განმავალობაში წევრები იკრიბებიან საქმეთა მსვლელობის საჭიროებათა

მიხედულობით, შემდეგ პირველ შეწირულის ლიტურ-ლიისა, და რჩებიან მსაჯულთა შესაკრებელში აგრეთვე თანახმად საქმის წარმოების საჭიროებათა.

იქვე მუხ. 295.

293, კანცელარიის მეცადინეობათა დრო ისაზღვრება საზოგადო სჯულდებებითა და თვით საქმეთა მოთხოვნილებით.

იქვე მუხ. 295.

თ ა ვ ი III.

კონსისტორიის საქმის წარმოებაზედ.

294. საქმეები კონსისტორიაში, ეპარქიის მღვდელმთავრის დამტკიცებით, დაურიგდებიან, მათის საგნებისა მებრ,—განყოფილებათა და გაიწერებიან საწარმოებლად სტოლებზედ, რამდენადაც შესაძლებელია სამუშაოთა შეთანასწორებით.

იქვე მუხ. 297.

295. თვითოეული სტოლი მიენდობის, ოვლად სამღვდელოის განკარგულებისა მებრ, ერთის მწევრთაგანის განსაკუთრებულს ზედამხედველობას.

იქვე მუხ. 298.

296. უმახლობელესი ზედამხედველობა კანცელარიაზედ ოვლის მხრით. და პასუხის გება კანონიერად საქმის წარმოებისა მიენდობის სეკრეტარს.

იქვე მუხ. 299.

განყოფილება 1.

საქმეების შემოსვლაზედ.

297. კონსისტორიაში შემავალი ქაღალდები გარდმოტცემიან მღვდელ-მთავრისგან, თუ მის სახელზედ იყვნენ მირთმეულნი, ანუ შედიან იმაში პირ-და პირ, თუ დაწერილი იყვნენ კონსისტორიის სახელზედ.

იქვე მუხ. 300.

298. ქაღალდები, რომლებიც ეპარქიის მღვდელ-მთავრის სახელზედ შემოვიდენ და კონსისტორიაში მიდიან, ყოვლად სამღვდელოის მიერ განხილვის შემდეგ მისი რეზოლუციით შთაიწერებიან სიაში მისი სეკრეტრისგან, ამა მეხლზედ თან დართულის ფორმისა მებრ და გარდაიცემიან კონსისტორიაში.

იქვე მუხ. 301; 1869 მარტ. 25 (46899).

299. კონსისტორიის სახელზედ დაწერილი თხოვნები მიიღებიან მის სამსაჯულოში ერთის მწევრთაგანისა ანუ სეკრეტრისაგან.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 302.

300. კონსისტორიის სახელზე ფოჩტიდგან გამოგზავნილი პაკეტები, ანუ შემომავალნი სხვა-და-სხვა ადგილთა და პირთაგან მიიღებიან კონსისტორიის იმ დღეს რიგში მყოფთა ჩინოვნიკთაგან, ხოლო საიდუმლო, ფულიანი და თხოვნებიანი პაკეთები მიიღებიან ფოჩტიდამ კონსისტორიის განსაკუთრებით რწმენების წერილებისა მებრ, და მოტანილები ვისგანმე პირად მიიღებიან სამსაჯულოში.

301. მორიგეობა კონსისტორიისა შესდგება მის მოხელეთაგან და კანცელარიის მოსამსახურეთაგან სეკრე-

ტრის გაწერილობისა მებრ, მორიგეობის წესზედ და მოვალეობაზედ მორიგეთა სდგება დარიგება, რომელსაც ამტკიცებს კონსისტორიის მსაჯულთა შეკრებილება.

იქვე მუხ. 304.

302. მორიგისაგან მიღებული პაკეტები შთაიწერებიან მორიგეობის წიგნში, ამ მუხლზედ თან დართულის ფორმისა მებრ, და გარდაეცემიან სეკრეტარს გასახსნელად, ხოლო საიდუმლო და ფულებიანი კონვერტები შეიტანებიან სამსაჯულოში იმ პირთაგან, რომელთაგანაც, რწმუნების წერილთა მებრ, ისინი მიღებული არიან ფოჩტიდამ,

იქვე მუხ. 305.

303. გამოცხადებული ეპარხიის მთავრობისადმი უმაღლესი ბრძანებანი და უწმიდესი სინოდის უქაზები შეიტანებიან ამასთანავე დართულის ფორმისა მებრ (ასო ა), განსაკუთრებულს სიაში, რომელიც ყოველთვის უნდა დაცულ იყოს სამსაჯულო ოთახში, ხოლო სხვა ქაღალდები გარდმოცემული ყოვლად სამღვდელოსაგან, ანუ მიღებული თვით კონსისტორიისაგან, შემდეგ აღნიშვნისა სეკრეტრისგან ამ უკანასკნელებზედ მიღებისა ანუ შემოტანის დროისა გარდაეცემიან შესატანად ფორმისა მებრ ბ) საზოგადო შემოსავალ სიაში, (ასო. ბ) რეგისტრატორს, რომელიც, შთაწერს რა მათ ჯეროვნად და თვითოეულს დააწერს რა ნომერს, რომელს ქვეშაც იგი შთაწერილია სიაში გარდასცემს იმავე დღეს სტოლებზედ, სტოლის უმფროსების ხელწერილის ჩამორთმევით. იმავე დღეს რეგისტრატორი ვალდებულია ხელი მოაწეროს სამორიგო წიგნში მასთან შემოსულ ქაღალდების მიღებაში. სეკრეტარი თვალს ადევნებს, რათა მიღება სამორიგეო წიგნით ყველა პაკეტებისა გაწმენდილი იყოს რეგისტრატორის ხელწერილით.

იქვე მუხ. 306.

304. სტოლებზედ მიღებულს ქაღალდებს სტოლის უმფროსები შთაწერენ სტოლის მოსახსენებელს სიებში ამა მუხლზედ თან დართულის ფორმისა მებრ და დაამზადებენ მსაჯულთა შეკრებილებაში მოსახსენებელად.

იქვე მუხ. 307.

305. გამოსაძიებელი საქმეების შესახებ, რომლებშიაც შეიძლება ხელის მოწერა, და საზოგადოდ შესახებ იმ გვარ საქმეთა, რომელნიც ძლიერ რთულნი არიან ან შეეხებიან წინანდელ საქმეებს, სტოლის უფროსები სეკრეტრის ხელ-მძღვანელობით, შეადგენენ მოსახსენებელად ვრცელს ნუსხებს, (записка докладная) მოჰკუავთ შესასწორებელი ცნობანი და გამოიწერენ შესაფერ კანონებს, ხოლო ისეთი საქმეების შესახებ, რომელნიც არ არიან რთულნი ანუ მხოლოდ ახლად იწყება მათი წარმოება მათის შინაარსის მიხედულობით, წარმოადგენენ ცნობებს და ამოწერილობებს კანონებისგან.

იქვე მუხ. 308.

306. შეკრებილი და შედგენილი ყოველს სტოლზე მისი საქმეების საგნების შესახებ, სხვა და სხვა დროის ცნობები შემოწმდებიან სტოლის უმფროსთაგან კონსისტორიის საქსეებთან და ნამდვილს საეკლესიო საბუთებთან, მაგალითებრ; ამსარებითი ქამნის экстракты) სასულიერო სიებთან, უწყება დაბადებულებზე, ქორწინებით შეუღლებულებზე და გარდაცვალებულებზე მეტრიკის წიგნებთან, უწყება ეკლესიების და კრებულების მდგომარეობაზედ კრილოვის უწყებებთან და სხ...; ამ გვარის შემოწმების შედეგებზედ სტოლის უმფროსები ზედ წარაწერენ. შემდეგ ამისა ამ ცნობებს განიხილავენ წევრები თვითეული თავის სტოლისას და სეკრეტრები.

იქვე მუხ. 309.

განყოფილება 2.

საქმეების მოხსენებაზედ.

307. მოსახსენებელად მომზადებული საქმეები შეიტანებიან მსაჯულთა შესაკრებელში სტოლის მოსახსენებელს სიებთან და მოხსენდებიან სეკრეტრის ან მისი ხელმძღვანელობით, სტოლის უფროსისგან.

იქვე მუხ. 310.

308. წევრს, რომლის ნაწილისამებრ ხდება მოხსენება, შეეძლია აგრეთვე ახსნას საქმე.

იქვე მუხ. 311.

309. მსაჯულთა შეკრებილებას მოხსენდების ყველა კონსისტორიაში შემომავალნი საქმეები და ქაღალდები გამოურიცხავად.

იქვე მუხ. 312.

310. ეპარხიის მთავრობისაგან მიღებული უმაღლესნი ბრძანებანი და უწმიდესი სინოდის უქაზები გამომცხადდებიან კონსისტორიაში დაუყონებლივ, არა თუ უმახლობელეს სხდომაში შემდეგ მათი მიღებისა, არამედ, გარემოებათა მიხედვით, უფრო მალე საგანგებო სხდომაში, რომელიც დაუყონებლივ ინიშნება შემდეგ მათი მიღებისა.

იქვე მუხ. 313.

311. კონსისტორიის სეკრეტარი, მიიღებს რა ობერ-პროკურორიდგან მოწერილობას, რომლის შესრულებისათვის საჭიროა მისთვის კონსისტორიის დახმარება წი-

ნათვე გამოუცხადებს მაზედ დაუყოვნებლივ მსაჯულთა შეკრებილებას.

იქვე მუხ. 314.

312. საქმეთა მოხსენებაში იცვის რიგი, გარდა ქვემო მოყვანილი საქმეებისა, რომლებიც უნდა დაუყოვნებლივ მოხსენდნენ რიგისა გარეშე: 1) საქმეები, რომელთა გამო დაკავებულ არიან ტუსაღნი; 2) რომელთა გამო სასულიერო პირთ აღკრძალული აქვს მდვდელ-მოქმედება; 3) სამღვდელო და სამედავითნო ადგილებზედ განწესების შესახებ; 4) წმიდა ოდიკოთა მიცემაზედ; 5) ტაძრების კურთხევაზედ; 6) ეკკლესიებში მომხდარს ამბავზედ და ბოლოს 7) საქმეები, რომლებზედაც ყოვლად სამღვდელო ბრძანებს, რათა ისინი მოხსენებულ იყვნენ რიგის გარეშე. ვადიანი ცნობები, შემდეგ მათის ჯეროვანის შემოწმებისა, მოხსენდებიან: უსაჭიროესნი არა უგვიანეს ერთის კვირისა დროიდამ მათის მიღებისა, ხოლო სხვანი არა უგვიანეს ერთის თვისა.

იქვე მუხ. 315.

განყოფილება 3.

საქმეების მოსმენაზედ და გარდაწყვეტილებაზედ.

313. მოსმენაში და გარდაწყვეტილებაში საქმეებისა უნდა ჰქონდეს მონაწილეობა წევრთა, მხოლოდ სხვაგან მყოფთ გარდა.

იქვე მუხ. 316.

314. ყველა წევრთ აქვსთ თანასწორი უფლება ხმისა.

იქვე მუხ. 317.

315. წევრთა უთანხმოების დროს სეკრეტარი განა-

მარტებს საქმის აზრს და მოახსენებს კანონებზედ, რომ-ლებზედაც შეიძლება დაფუძნდეს ერთხმა გარდაწყვეტილება, აგრეთვე იქცევა იგი ერთ ხმა გარდაწყვეტილების დროსაც, თუნდაც ის არ ეთანხმებოდეს საქმეთა გარე-მოებებს ანუ კანონებს.

იქვე მუხ. 118.

316. განჩინებანი იწერებიან მოკლედ სტოლზე მდე-ბარე მოსახსენებელ სიებში წევრთა მიერ. ამასთანავე აღინიშნების: მხოლოდ ერთის სტოლზე მდებარე სიით უნდა მოხდეს აღსრულება, თუ განჩინება უნდა ჩაიწეროს ჟურნალში, თუ უნდა შესდგეს იმაზედ პროტოკოლი.

იქვე მუხ. 319.

317. მოსახსენებელი სიებით შეიძლება აღსრულება შემდეგს შემთხვევებში:

ა) როდესაც ჩაწერილი მოხსენებულ სიაში და მო-სმენილი კონსისტორიისგან ქაღალდი, ცხადად სჩანს, რომ არ ითხოვს სხვა გვარს აღსრულებას გარდა ცნო-ბაში მიღებისა, საქმეზედ მიკერებისა ან გარდაცემისა შე-სანახავად.

ბ) როდესაც იგი ითხოვს აღსრულებას, კანონისა და მიღებულის წესისა მებრ, იმოდენად ცნობილისა და ჩვეულებრივისა, რომ არ წარმოადგენს არა ვითარს ეჭვს საჭიროებაზედ და საშვალებაზედ აღსრულებისა, ხოლო ითხოვს მარტო მზრუნველობას მის დაუგვიანებლობაზე. მაგალითებრ; სასამართლოის მოთხოვნილებისა მებრ უნ-და გაიგზავნოს შთამაგონებლის სამართალს ქვეშე მყოფთა-თვის, ანუ როდესაც ყოვლად სამღვდელოის რეზოლიუციისა მებრ უნდა წარიდგინოს ცნობა სამღვდლო ადგილის მთხოვ-ნელზედ.

იქვე მუხ. 320.

318. ჟურნალებში ჩაიწერებიან:

ა) ყველა ქალალდები, რომლებიც ითხოვენ განსაკუთრებითს განხილვას და განსაზღვრულს გარდაწყვეტილებას;

ბ) ქალალდები, რომელნიც თუმცა ითხოვენ მხოლოდ აღსრულებითს განკარგულებას, მაგრამ განსაკუთრებულის ყურადღებით და სიფრთხილით საგნის სიმძიმისა ან სხვა გარემოებათა გამო;

გ.) ქალალდები, რომელნიც შეეხებიან ფულუბს, გარდა შემთხვევათა, როდესაც 319 და 345 მუხლების ძალით უნდა შესდგენ ვროტოკოლები;

დ) მოქმედებანი თვით კონსისტორიისა და შემთხვევანი, რომელთა სინამდვილე უნდა დაცულ იქმნეს საბუთებში შეტანით, მაგალითებ, გამოცხადება სამართალს ქვეშე მყოფთათვის გარდაწყვეტილებისა და სხ.

იქვე მუხ. 321.

319. ვროტოკოლები, ჟურნალები უნდა შესდგენ:

ა) სამმართველო და სამეურნო საქმეებზედ, როდესაც იმათში შეიცვება დიდად მძიმე განკარგულებანი, მაგალითებრ, ახლად აშენება ეკლესიისა, შედგინება ახალის სამრევლოისა, გაცემა მოსავლელად საეკლესიო მიწისა და სხ.

ბ) გამოსაძიებელ სამართალში განსასჯელ საქმეებზე, რომელნიც დაბოლოვებით სწყდებიან;

გ) საქმეებზე, რომელნიც ითხოვენ დალაგებით და ვრცელს გარდმოცემას, მიზეზისა გამო გარემოებათა მრავალ რთულობისა, და საგნის სიმძიმისა;

და დ.) საქმეებზე ანუ ქალალდებზე, რომლებისა გამო აღიძრებიან სხვა-და-სხვა აზრები კონსისტორიის წევრთა.

იქვე მუხ. 322.

320. აღსასრულებლად გამოცხადებულ უმაღლეს ბრძანებებზედ უნდა შესდგნენ დაუყონებლივის მოქმედებისათვის განსაკუთრებული ქურნალები. თუ უმაღლეს ბრძანებითა, ანუ უწმიდესი სინოდის უქაზთა, აღსრულება უნდა მოხდეს ყველა ეკკლესიებში პარაკლისის გარდახდით განსაკუთრებულს შემთხვევებში ანუ საყოველთაო გამოცხადებათა გამო უმაღლესი მანიფესტებისა და უქაზებისა ან სხვა რომელიმე მთელს ეპარქიაში აღსრულება: მაშინ ქურნალებში ვრცლად უნდა ჩაიწეროს დარიგება ქვემდებარე ადგილთა და პირთა თუ როგორ უნდა მოიქცენ ისინი.

იქვე მუხ. 323.

421. მუხლები სტოლზუ მდებარე მოსახსენებელს სიებში, რომელნიც დანიშნულნი არიან აღსასრულებლად მარტო ამ სიებით ქურნალში ჩაუწერელად, ანუ პროტოკოლის შეუდგენლად უნდა ხულ მოწერილი იქმნენ კონსისტორიის წევრებისაგან, რომელთა რიცხვი არ უნდა იყოს სამზე ნაკლები.

იქვე მუხ. 324.

322. ქურნალი შესდგების რეგისტრატორისგან სეკრეტრის ზედამხედველობით ფორმისა მებრ ა, ხოლო პროტოკოლები სტოლის უფროსებისაგან ფორმისა მებრ ბ.

იქვე მუხ. 325.

323. თითოეული სხდომის ქურნალი წარედგინების ხელის მოსაწერად შემდეგს სხდომაში უსათუოდ და უნდა ხელმოწერილი იქმნეს იმავე დღეს ყველა მსაჯულთა

შეკრებილებაში დამსწრე წევრთაგან. განსაკუთრებული ჟურნალები, რომელნიც შესდგებიან უმაღლესთა ბრძანებათა მებრ, უნდა წარდგენილ იქმნენ ხელის მოსაწერად, და ხელ მოწერილნი უმაღლესის ბრძანების თვით გამოცხადების დროს. პროტოკოლები წარიდგინებიან ხელის მოსაწერად საქმის სივრცის მიხედულებით და ესათუოდ იმ ვადაზე, რომელიც საზოგადოდ იმაზედ დანიშნულია სასამართლოებისათვის. იმათზედ ხელს აწერენ, როგორც დამსწრე, აგრეთვე სხვაგან მყოფნი წევრნი. ხელის მოწერა უნდა გათავდეს სამი დღის განმავლობაში დროიდამ სამსაჯულოში მათის წარდგენისა ხელის მოსაწერად. ხელის მოწერის დღე აღინიშნების სეკრეტრისგან თვით პროტოკოლზე. ვინც მწევრთაგანი, სადმე გაგზავნისა, ანუ მძიმე ავადმყოფობის გამო, ვერ შეიძლებს ხელის მოწერას პროტოკოლზე, იმაზედ სეკრეტარი აგრეთვე აღნიშნავს პროტოკოლში.

იქვე მუხ. 326.

324. უთანხმო საქმის გადაწყვეტილების დროს პროტოკოლი შესდგების ხმათა უმეტესობით. წევრი, რომელიც თვის განსაკუთრებულ აზრზედ დარჩება, ვალდებულია დასწეროს იგი აღხსნითურთ მიზეზთა და საფუძველთა საქმეში და კანონში, რომელთა გამო იგი არ სთანხმდება საზოგადო გარდაწყვეტილებაზედ, და ესრეთი აზრი უნდა წარმოადგინოს სამის დღის განმავლობაში. ვინც აღნიშნულს ვადაზედ არ შემოიტანს აზრს, ვალდებულია ხელი მოაწეროს ხმის უმეტესობით შემდგარს პროტოკოლს.

იქვე მუხ. 327.

325. ხელ-მოწერილი ჟურნალები და პროტოკოლები და პროტოკოლების შესახებ განსაკუთრებითი აზ-

რები წევრთა წარედგინებიან მღვდელ მთავარს განსახილველად. პროტოკოლებთან ერთად შეიტანებიან ნამდვილი საქმეებიც, შესამოწმებლად, თუ ვინიცობაა ისინი საჭირო აღმოჩნდნენ.

იქვე მუხ. 328.

326. სეკრეტარი, თუ მისი წარდგინებები წინაალმდეგ უთანხმო ანუ ერთხმა გარდაწყვეტილებათა არ იქმნენ პატივდებაში მიღებულნი, აღნიშნავს ამას პროტოკოლებში და ჟურნალებში, და მიართმევს ყოვლადსამღვდელოს მოხსენებას, რომელშიდაც სწერს იმ განმარტებათა, რომელნიც წევრებს წარუდგინა.

იქვე მუხ. 329.

327. ეპარხიებში, სადაც არის ვიკარნი ეპისკოპოსი და სცხოვრებს ეპარხიის ქალაქში, ეპარქიის არქიერი წინდაწინ მიანდობს მას ადრითვე გადაათვალიეროს ჟურნალები და პროტოკოლები.

იქვე მუხ. 330.

328. თუ მღვდელ-მთავარი კონსისტორიის ერთხმა დასკვნათ მის ჟურნალებში და პროტოკოლებში დაინახავს კანონიერად, მაშინ ამტკიცებს მათ თავისი თანხმობით, დასწერს რა მოკლედ ჟურნალებზედ «აღსრულდეს» და პროტოკოლებზე «მტკიცდება» პროტოკოლების შესახებ, რომლებთანაც წარმოდგინდებიან განსაკუთრებითი აზრები წევრთა, ყოვლად სამღვდელო, ამტკიცებს რა უმეტესობის გარდაწყვეტილობას ანუ განსაკუთრებით აზრთა და დააბრუნებს რა ერთსაც და მეორესაც კონსისტორიაში, განმარტებს ამ შემთხვევაში გამოცემულს რეზოლიუციაში იმის საფუძველსაც.

იქვე მუხ. 331.

329. ისეთს შემთხვევაში, როდესაც ერთხმა გადაწყვეტილებაშიაც ყოვლად სამღვდელო დაინახავს, რომ საქმე არაა საკმაოდ განმარტებული, ან გამოძიების დროს გამოტოვებულია ისეთი გარემოებები, რომელთაც შეეძლოთ უფრო დაახლოვებით ახსნა განსახილველი საგნებისა, ან ბოლოს, გარდაწყვეტილება არ ეთანხმების კანონებს, იგი წინადადებას აძლევს კონსისტორიას ხელ-ახლა განიხილოს საქმე, ანუ შეავსოს ის საჭირო, მის შენიშვნათამებრ, გარემოებებით და შემდეგ ამისა დაადგინონ განჩინება.

იქვე მუხ. 332.

330. კონსისტორიის წევრები, ყოვლად სამღვდელოსგან ნაჩვენებ გარემოებათა განხილვის დროს თავისუფლად სჯიან და შეუძლიანთ დარჩნენ წინანდელ აზრზედ, თუ იმ გარემოებებმა არ უნდა შესცვალონ იგი. შემდეგ ამისა არქიერი, თუ ვინიცობაა არ დასთანხმდა კონსისტორიის აზრზე, დაადგენს თავის გარდაწყვეტილებას, რომელიც მოდის სისრულეში:

იქვე მუხ. 333.

331. ეპარხიებში, სადაც ქორ-ეპისკოპოზი (ვიკარნი) არის და სცხოვრებს ეპარქიის ქალაქში, ეპარქიის არქიერს შეუძლია მიანდოს მას განხილვა და დამტკიცება ჟურნალთა. განსაკუთრებით ასე უნდა მოიქცენ ეპარქიის არქიერის სხვაგან მყოფობის დროს ეპარქიის ქალაქიდგან.

იქვე მუხ. 334.

332. სადაც არ არის ვიკარნი ეპისკოპოსი, კონსისტორიის ჟურნალები, ეპარქის არქიელის სხვაგან მყოფობის დროს, მოდიან სისრულეში შემდეგ ხელის მო-

წერისა ყველა დამსწრე წევრთაგან. ყოვლად სამღვდელოს შეუძლია მისცეს ამის ნება სხვა შემთხვევებშიაც უმეტესი სიჩქარისათვის მით რომელ ქურნალები, რომლებიც არ არიან მისგან გახილულნი უწინარეს აღსრულებისა, წარდგენილ იქმნენ მისდამი ერთის თვის შემდეგ, დასამოწმებლად მათის წესიერებისა.

იქვე მუხ. 335.

განოფილება 4.

საქმეების აღსრულებაზედ.

333. შემდეგ არქიერის მიერ ქურნალების და პროტოკოლების დაბრუნებისა, ანუ 332 მუხლში აღნიშნულს შემთხვევაში შემდეგ ყოველ წევრებისგან ხელის მოწერისა მწერალი ჩასწერს მათ სიებში ამ მუხლზედ თან დართულის ფორმისამებრ და გარდასცემს ხელწერილები თერთ სტოლის უფროსებს.

იქვე მუხ. 336.

334. დაბოლოებითი გარდაწყვეტილება კონსისტორიისა, დამტკიცებული ეპარქიის მღვდელთ მთავრისგან ანუ, სხვა რომელსაც თვითან მღვდელთ მთავარი დაადგენს გამოცხადების პირველ შეკრებილებაზე წევრთა, თუ საქმე იმგვართაგანია, რომელზედაც შეიძლება პასუხი აგონ სამართალს ქვეშე მყოფთა, გარდაწყვეტილება გამოეცხადების ვისაც ჯერ არს და მას მოჰყვება ყოველი შედეგები უკმაყოფილო პასუხის გებისა, თუ იგი გამოცხადებულ იქმნება.

იქვე მუხ. 337.

335. აღსრულება ჟურნალებისა და პროტოკოლებისამებრ მზადდება სტოლის უფროსებისაგან. აღსასრულებელი ქაღალდები უნდა დაფუძნებულ იქმნენ კონსისტორიის დადგინების და არქიერის ნამდვილს სიტყვებზე. იმ შემთხვევაში, როდესაც არქიერის გარდაწყვეტილება არ ეთანხმება კონსისტორიის აზრს, უკანასკნელი იწერება მხოლოდ გასაგზავნ ქაღალდებში უწმინდეს სინოდში და უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორთან, ხოლო სხვა გასავალ ქაღალდებში არ მოიხსენება. აღსასრულებელი ქაღალდები, მიწერ-მოწერის დადგენილი წესისა მიხედულობით, მზადდებიან ან არქიერის, ან კონსისტორიის სახელზე. პირველნი ხელმოიწერებიან მარტო უთვლად სამღვდელოს მიერ, ხოლო უკანასკნელი წევრის მიერ რომლის გამგეობასაც ეკუთვნის საქმე, და მოწმდებიან სეკრეტრის და სტოლის უფროსის ხელის მოწერით; ხოლო პირველი გვარის ქაღალდების დამტკიცებანი ხელმოიწერებიან წევრთაგან და მტკიცდებიან სეკრეტრისა და სტოლის უფროსის ხელის მოწერით. ს.-პეტერბურგის და მოსკოვის კონსისტორიებში უწყებანი, ცნობანი ანუ შემოწმებანი ხელმოიწერებიან მსაჯულთა შეკრებილების წევრთაგან, რომლის საქმეებსაც ისინი ეკუთვნიან. საიდუმლო საქმეები, უმახლობელესი შეხედულობისამებრ კონსისტორიისა, შეიძლება დარჩნენ სტოლის უფროსის ხელმოუწერლადაც. სიგელები, რომლებიც უნდა გაიგზავნონ ეკლესიებში წასაკითხავად და საყოველთავო გამოსაცხადებლად უნდა გაიგზავნონ უმთავრესად დაბეჭდილები. იმდენი, რამდენიც ეკლესიებია.

იქვე მუხ. 338.

336. მომზადებული ქაღალდები განიხილებიან სეკრეტრისგან და წარედგინებიან ხელის მოსაწერად ვისაც ჯერ არს, რის შემდეგ გარდმოიცემიან სტოლის უფროსებისაგან რეგისტრატორისადმი ხელწერილის ჩამორთ-

მევით საზოგადო გასავალ სიაში ჩასაწერად, ამა მუხლებზედ თან დართულის ფორმისამებრ, და გასაგზავნად. შემდეგ ამისა სტოლის უფროსები მოსახსენებელ სიაში აღშვნენ, როდის არიან გასავალნი ქალალდები გაგზავნილნი, ზედ წარაწერენ რა ჟურნალებზე და პროტოკოლებზე, და გადასცემენ ერთსაც და მეორესაც რეგისტრატორს ხელწერილ ქვეშე.

იქვე მუხ. 339.

337. საქმეთა მსვლელობა შემოწმდების სტოლის უფროსისაგან, და თუ რომელიმე საქმე გაჩერდება მიუღებლობისაგამო საზოგადო სახელმწიფო დადგინებულებათა მიერ განსაზღვრულ ვადაზე საიდგანმე მოთხოვნილთ ცნობათა, უწყებათა ანუ მოახსენებათა, იგი მოახსენებს იმაზედ სეკრეტარს და ეს წევრთა შეკრებულებას ჯეროვანი დადგინებისათვის საიძულებლად ვისიც ჯერ არს. ყოველი თვის გასვლის შემდეგ სტოლის უფროსი წარუდგენს სეკრეტარს მოკლე უწყებას საქმეების მოძრაობაზე ახსნითურთ თუ რაოდენია მოუხსენებელი, ეპარქიის მთავრობის-მიერ გარდაუწყვეტელი, და კანცელარიაში აღუსრულებელი ქალალდების რავოდენობისა; ხოლო წლის გასვლის შემდეგ სახელოობითს უწყებას გაუთავებელ საქმეებზედ ამა მუხლზედ თანდართული ფორმისამებრ.

შენიშვნა. უწმიდესი სინოდის უქაზით 1852 წ. 31 დეკემბერს შესახებ იძულებისა კონსისტორიის ხელქვეშე მყოფ ადგილთა და პირთა და აგრეთვე გარეშეთა წარმოსადგენად გამოწერილობანი და ცნობანი დადგენილია შემდეგი წესი.

სასულიერო სამმართველოთა, ბლაგოჩინთა, მონასტრების წინამძღვართა, რათა აღასრულონ მათ მისი უქაზები, კონსისტორია, შემდეგ უქაზისა პირველ გაგზავნისა, ერთის თვის შემდეგ გზავნის იძულებითს უქაზს. თუ არ მიიღებს აღსრულებითს ქალალდს ერთი თვის შემდეგ კიდევ ითხოვს პირველს უქაზის აღსრულებას; თუ მეორე

და მესამე იძულების შემდეგ არ მიიღებს მოთხოვნილ აღსრულებას, ან მისი დაგვიანების მიზეზების ახსნას, იმ შემთხვევაში შეიტანს ჟურნალის მეჯლს ეპარქიის არქიერთან თხოვნითურთ მიიღოს მან მწყემს-მთავრული ზომები საქმის ასაჩქარებლად, შესახებ საქმეების წარმოებისა. თუ კონსისტორიაში შენიშნულ იქნება საერო სასამართლოების მხრით დაგვიანება მისის მოთხოვნილებეების აღსრულებაშიდ, მაშინ კონსისტორია ატყობინებს ამაზედ გუბერნიის სამმართველოს ჯეროვნის განკარგულებისათვის საიძულებლად ვისიც ჯერ არს. დაუყოვნებლივ აღასრულოს ესრეთი მოთხოვნილება და თუ ამის შემდეგაც არ იქმნება მიღებული დასაკმაყოფილებელი პასუხი, მაშინ ეპარქიის მთავრობა წარუდგენს სინოდს.

იქვე მუხ. 340. 1852 31 დეკემბერს (უქ. უწმ. სინ.) მუხლი III 3.5,6.

338. თვალის დევნებისათვის, რათა წარდგენილ იქმნენ თავ-თავის დროზედ, სავადო ცნობები კონსისტორიას უნდა ჰქონდეს თავის მსაჯულთა შესაკრებელში, ვრცელი ამასთანავე თან დართულის ფორმისამებრ ტაბელი იმაზედ თუ არსებულს წესისამებრ რა და რა ვადებზედ, რაზედ და სად უნდა იქმნენ წარდგენილნი ეს უწყებანი: მწერალი, რეგისტრატორი აყენებს წლიურს ნუსხას ვადებზედ, რომლებზედაც ამ გვარი ცნობები უნდა გაიგზავნოს კონსისტორიიდგან და თუ ვინიცობაა არ იქმნებიან ისინი მიღებულნი გასაგზავნად მოახსენებს ამაზედ სეკრეტარს.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 341.

339. თუ ქვემდებარე ადგილები, ან პირები არ წარმოადგენენ სავადო უწყებებს ვადაზედ, რომელიცა კონსისტორიიდგან დანიშნული იქმნება, მაშინ იგი გზავნის იძულებას მალე წარმოადგინონ. და ესწორო ცნო-

ბებს აბრუნებს გასასწორებლად; და თუ არც იმ იძულებათა შემდეგ არ იქმნებიან ისინი გამოგზავნილი, უფლება აქვს მოითხოვოს ისინი სგანგებო პირთა საშუალებით, მათ ხარჯზედ ვინც არ გამოგზავნის, გამოითხოვს რა არქიერისგან ამაზედ წინათვე თანხმობას.

იქვე მუხ. 342.

340. საქმის წარმოების მსვლელობაზე ყოველად სამდვდელონი წარუდგენენ უწმინდეს სინოდს შემდეგ უწყებებს: 1) ოთხ-ოთხი თვის შემდეგ აღსრულებელს უმაღლეს ბრძანებებზედ, ფორმისა მებრ ა, 2) ყოველ წლობით: ა) უწმინდესის სინოდის უქაზებზედ, რომელნიც სრულიად არ არიან აღსრულებულნი, ფორმისა მებრ, ბ), და ბ.) განსაკუთრებული აღრიცხვითი უწყებებით, მსაჯულთა შეკრებილებისგან გარდაუწყვეტელს და კანცელარიისგან აღსრულებულს საქმეებზე, ფორმისა მებრ გ.) განსაკუთრებითი მოხსენებანი უწმიდეს სინოდის უქაზების აღსრულებაზე წარიდგინებიან მხოლოდ იმ უქაზების შესახებ, რომლებითაც ეს ითხოვებოდა, ან სადაც საქმის არსებობისა მებრ საჭირო იქმნება.

იქვე მუხ. 343; 1865 ნოემბრის 23 (42701.)

341. ამაზედ დამოუკიდებლად კონსისტორიის სეკრეტარი წარუდგენს უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორს საკადო ცნობებს ნაბრძანების ფორმებისა მებრ.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 344.

342. საქმის წარმოების შესახებ საზოგადოდ სეკრეტარი და სტოლის მმართველი წევრი თითო კვირაობით სტოლზე მდებარე მოსახსენებელ სიას შეამოწმებენ რა თუ სტოლის უფროსების მოქმედებაში დაინახვენ რაიმეს

წესის წინააღმდეგ, აიძულებენ მას გასწორებას, ხოლო მძიმე საქმეების აღუსრულებლობას, ანუ ბოროტმოქმედებას მოახსენებენ მსაჯულთ შეკრებილებას დამნაშავის მოსაპყრობლათ კანონისა მებრ.

იქვე მუხ. 345. 1869 25 მარტს (46899.)

გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა 5.

ფულების შემოსვლაზედ, დაცვაზედ და მოძრაობაზედ.

343. ფულებს, როგორც კონსისტორიის სახელზე ფოჩტით გამოგზავნილს, აგრეთვე გადმოცემულთ იმ ქალაქიდგან და მაზრიდგან სადაც იგი (კონსის.) იმყოფება, მიიღებს ხაზინადარი, რომელიც ირჩევის ამ თანამდებობაზედ მრთელის კონსისტორიის წევრთა შეკრებილებით დამტკიცდება არქიერისაგან; ამიტომ ყოველს კონსისტორიაში შემოსულს ქაღალდზედ, რომელთანაც ერთად მოტანილია ფულები ხაზინადარი ხელს აწერს მათს მიღებაში თავად შესანახავად, ხოლო თვით ქაღალდს გარდასცემს კუთვნილებისა მებრ მსაჯულთა შეკრებულებას მოსახსენებლად, რომელიც ფულების შესახებ სწერს სტოლზე მდებარე ფულის სიას დართულის ამაზედ ფორმისა მებრ.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 347. 1869 მარტის 25 (46899.)

344. მიღებული ფულები თუ ბევრი არაა დაცულ არიან ხაზინადრის მიერ, სანამ არ მოგროვდება 150 მანეთამდის მის ზანდუკში, რომელიც ამისათვის უნდა იყოს გაკეთებული ჯეროვნის სიმაგრითა და იდგეს სასამართლო ოთახში: სეკრეტარი ყოველ დღე შეამოწმებს ხაზინადრისადმი მიცემულს რწმუნების წერილებს ფოჩტიდამ, ფულების მისაღებად, ნამდვილს ქაღალდებთან, რომლებთანაც ერთად გამოგზავნილი არის ფულები და სტოლ-

ზე მდებარე სიასთან რაკი შეგროვდება ზემო ხსენებული 150 მანეთი ვალდებულია მოახსენოს მსაჯულთ შეკრებილებას და წევრების და თვით ხაზინადრის თანდასწრებით უნდა გამოიტანოს განსაკუთრებითს სალაროში სადაც ისინი დაცულია ზანდუკში და უნდა ჩასწეროს მათი რიცხვი სალაროს სიაში, ამა მუხლზედ თან დართულის ფორმისა მებრ. ზანდუკი იკეტება და იბეჭდება ერთი წევრთაგანის ბეჭდით, გასაღები ეძლევის სეკრეტარს და შენახულია იმასთან (ა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. კონსისტორიებს შეუძლიათ გარდასცენ ფულები დროებით შესანახავად ხაზინის სალაროებში, ამისათვის გამოცემულთ წესდებათა და დარიგებათა მებრ. (ბ.)

ა.) წესდებულ. სას. კონს. მუხ. 348. 1879 მარტის 25 (46899.)— ბ.) 1837 დეკემბრის 10. (10792.) § 26; 1847 დეკემბრის 2. (21754) მუხ. 1576 და 1595 (და დამატ. II ნაწ.) სასაზ. გუბერნ. დაწესებ. გამოც. 1876 წ.

345. გარდა გაგზავნისა გარდამავალ ფულთა დანიშნულებისა მებრ ყოველი სახარჯოდ ფულის ხმარება, რომელიც დამოკიდებულია ეპარხიის მთავრობის განკარგულებაზე, აგრეთვე გაცემა და გაგზავნა მათი კუთვნილებისა მებრ, დაინიშნებიან მხოლოდ პროტოკოლებით; ხოლო დანიშნული დასახარჯავად, გასაცემად და გასაგზავნად ფულები ამოიღება სალაროდგან აღნიშვნით სალარო წერილში დროისა და ამოღებულის ფულის სრიცხვისა, განმარტებულს 344 მუხლში საფუძველთა ზედა, და მიეცემიან ხაზინადარს სახარჯოდ, მისაცემად ვისდამი ჯერ არს ანუ გასაგზავნად დანიშნულებისა მებრ. სეკრეტარი თვალს ადევნებს და შეამოწმებს, რათა აღნიშნული კონსისტორიისაგან ხარჯი, გაცემა და გაგზავნა ფულებისა მოხდენილ იყვნენ ხაზინადრის მიერ სისწორით და თავის დროზედ და რათა ყველა ამ

გვარ დანიშნულებათა აღსრულებაზედ ჰქონდეს მას შესავალ-გასავალ წიგნებში ჯეროვანნი ხელწერილნი.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 349; 1869 მარტს 25 (46899.)

346. ერთის თვის გასვლის შემდეგ ყველა მის განმავალობაში შემოსული ფულები და თვით მათი მოძრაობა დამოწმდებიან და შემოწმდებიან საზოგადო საფუძველსა ზედა სახაზინო ფულებზე და ამ გვარი შემოწმება და მოწმობა; და აგრეთვე თვით ფულების ხმარების, გაცემის და გაგზავნის სისწორე მტკიცდება შრთელის მსაჯულთა შეკრებილების ხელის მოწერით, როგორც სტოლზე მდებარე ფულის სიაში, აგრეთვე თვით შესავალ წიგნებში, ხოლო ერთი წლის შემდეგ ხდება ამავე საფუძვლით საზოგადო წლიური მოწმობა და შედგენილნი შემდეგ ამისა ანგარიშები იგზავნებიან განსაზღვრულს ვადაზედ, სადაც ანგარიშის წესდებათა და უწმიდესის სინოდის განსაკუთრებითს მოწერილობათა მებრ დანიშნული. ფულების სინამდვილეში და მოწმობის და დანიშნულების, გაცემის და გაგზავნის სისწორეში პასუხს უგებენ პირნი, რომელთაც მოახდინეს მოწმობა და ხელი მოაწერეს პროტოკოლებს, რომლებითაც ამ ფულების ხარჯი იყო განსაზღვრული. თავის დროზე ანგარიშების გაუგზავნელობაში პასუხს აგებს კონსისტორია, თუ არ აღმოჩნდება დამნაშავე ანუ არ წარმოდგება დაგვიანების საპატიო მიზეზები.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 350.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა 6.

საქმეების შენახვაზედ და დაცვაზედ და არხივზედ.

347. პირნი ქადალდებისა, რომლებითაც გამოცხადდებიან უმაღლესი ბრძანებანი, და უწმინდესი სინოდის

უქაზები, — მიეგერებიან საქმეებს, ნამდვილნი კი აიკინძებიან თითო წლის ცალ-ცალკე წიგნებათ და დაცულ არიან სასამართლო ოთახში, ესევე იცვის კონსისტორიის პროტოკოლებისა და ჟურნალების შესახებაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ესენი შენახულ არიან რეგისტრატორის საქმეებთან და არა სასამართლო ოთახში.

იქვე მუხ. 351.

348. საქმე უნდა შეგერილი იყოს, ჰქონდეს სათაური ფურცელი ფორმისა მებრ ა) დანომრვილი და დამტკიცებული ხელის მოწერით, დაწერილ ფურცლებზე სტოლის უფროსისაგან. საქმის გათავების შემდეგ უკანასკნელ ხელ მოწერილს ანუ შემდეგს ფურცელზედ წარიწერება: «ამ საქმეში დანომვრილი, დაწერილი ფურცლები ამდენი და ამდენია,» რომელზედაც ხელს აწერს სტოლის უფროსი. გარდა ამისა უფრო მძიმე საქმეებს, სადაც საბუთებია, მაგალითა: ქორწინების დარღვევაზედ, გამოძიებაზე, სამონასტრო და საეკლესიო მამულებზედ, კერძო საჩივრებზე შესახებ ქონებათა, მეტრიკის მოწმობებზე, რომელნიც დაფუძნებულნი არიან გამოძიებაზე, თან დაერთვის ვრცელი აღწერილობა ყველა ქალალდებისა, რომლებიც საქმეში იმყოფებიან, ფორმისა მებრ ბ. სტოლის საქმეების აღწერილობა ხდება ფორმისა მებრ გ.

იქვე მუხ. 352.

349. საქმეები ჩაითვლებიან გათავებულად დადგინებათა მებრ ამაზედ კონსისტორიისა, რომელიც, ადგენს რა დაბოლოვებითს გარდაწყვეტილებას საქმის შესახებ, შემდეგ სხვა იმის გამო დანიშნულის აღსრულებისა ვალდებულია განმარტოს ყოველთვის ასრე: «შემდეგ ამისა საქმე ესე ვითარცა დაბოლოვებითი გარდაწყვეტილი, თავის დროზე გარდაიცეს არხივაში.»

იქვე მუხ. 353.

350. თუ ვინიცობაა დათხოვნილ იქმნა სტოლის უმფროსი კონსისტორიაში სამსახურიდგან, იგი აბარებს თავის მოადგილეს სიისა მებრ, რაც კი რამ საქმეები აქვს ხელში (ფორმა გ, დამატ. 3 მუხ. 348.) გადაწყვეტილი საქმეების ფურცლობით ხელის მოწერით დამტკიცებით და ფურცლების რიცხვის ზედ წარწერით და მიაკერებს მათ მათგანს, რომლებიც უფრო სამძიმონი არიან, ვრცელ აღწერათა, ხოლო გარდაუწყვეტლებს აგრეთვე ფურცლა-ფურცლობით ხელ მოწერით დამტკიცებითა და უკანასკნელ ფურცელზედ ჩაბარების დღეს ფურცლების რაოდენობის აღ-ნიშვნით, და დათხოვნილ იქმნება მხოლოდ შემდეგ წარდგე-ნისა სეკრეტრისადმი და მის მიერ მსაჯულთა შეკრებილები-სადმი მისაღები ხელ წერილებით გაწმენდილის ჩასაბა-რებელ აღნუსხვათა.

იქვე მუხ. 354.

351. გარდაწყვეტილი საქმეები შეიძლება დარჩენ სტოლის უფროსის ხელში არა უგვიანეს სამის წლისა; რის შემდეგ ისინი გარდაიცემიან არხივაში, ხელ წერი-ლით, რომელიც ხელ მოწერილია სტოლის მმართვე-ლის წევრისაგან და სტოლის უფროსისაგან და აღნუს-სვათა ამა მუხლზედ თან დართულის ფორმისა მებრ. ამ საქმეების მიღებაში არხივის ზედამხედველი ხელს აწერს სტოლის უფროსის აღწერაზედ რომელთანაც შენახუ-ლია იგი, და ამ საქმის გადაცემაზედ არხივში ხელს აწერს ჩაბარებითს აღწერაზე. ჴროტოკოლები და ჟურნალები კონსისტორიისა გარდაიცემიან არხივში აგრეთვე სამის წლის შემდეგ.

იქვე მუხ. 355.

352. კონსისტორიის არხივი იმყოფება შენობაში, რომელიც მოთავსებულია შინაგანის მოწყობილობით და გარედგან უსაშიშროა ცეცხლისა და სინოტივისაგან.

იქვე მუხ. 356.

353. არხივის უფროსი ადირჩევის ყველაზედ კეთილ საიმედო მოხელეებიდგან კანცელარიისა. იგი პირობას სდებს შეინახოს სწორედ, დაწყობილად, მრთელად, წმინდად და სუფთად არხივში შემოსული საქმეები და საბუთები. არხივის უფროსს დამხმარედ უმწესდება ერთი ანუ ორი კანცელარიის მოსამსახურე. სეკრეტარი ბეჭითად უყურებს, რათა არხივის უფროსი ასრულებდეს თავის მოვალეობას სისწორით და რათა არხივი დაცულ იყოს ყოველის მხრით კანონიერს წესიერებაში.

იქვე მუხ. 357.

354. არხივში მიღებულს საქმეებს და საბუთებს არხივის უმფროსი შეძლებისა და მოხერხებისა და გვარ აწყობს შემდეგ რიგზედ: შკაფებში პირველს ადგილზედ უნდა დაცულ იყვნენ პროტოკოლები, მეორეზედ ჟურნალები, მესამეზედ მოსახსენებელი სიები, მეოთხეზედ საქმეები გვარ-გვარად, მეხუთეზე მეტრიკის წიგნები, მეექვსეზე აღსარებითი სიები, მეშვიდეზე სავადო ცნობები და სხვ. საბუთები და წიგნები, რომელნიც არ ეკუთვნიან საქმეებს და საიდუმლო საქმეები უნდა დაცულ იყვნენ განსაკუთრებულს შკაფებში, და იმათგან უკანასკნელთა უნდა ედვას კლიტე და ესვას ბეჭედი კონსისტორიისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თუ სადმე საქმეებისა და ცნობების რიცხვისა გამო, განსაკუთრებით ძველს ეპარხიებში, ანუ შენობის გაწყობილობისა გამო წარმოსდგება უფრო მოხერხებული სხვა გვარი წესი არხივში საქმეების დაწყობისა; მაშინ იგი შეიძლება დაშვებული იქმნეს, ყოვლად სამღვდელოის დამტკიცებითა და მოხსენებითურთ ამაზედ უწმიდესი სინოდისადმი შესატყობინებლად.

იქვე მუხ. 358.

355. ნამდვილი ცნობებისთვის არხივის მდგომარეობაზე და უფრო ადვილად მონახვისათვის საქმეთა და საბუთთა არხივში იწერების ხრონოლოგიური სია საქმეთა და საბუთთა, ფორმისა მებრ ა, და ანბანური (ალფავი-

ტური) მაჩვენებელი, ფორმისა მებრ ბ.; აგრეთვე იწერების ზონარ გაურილი წიგნი კონსისტორიის ბეჭედ დასმული და ხელ მოწერილი წევრებთაგან ჩასაწერად, როგორც არხივიდამ საქმეების გაცემისა სტოლის უფროსებისადმი საჭირო ცნობებისთვის, აგრეთვე საქმეების დაბრუნებისა ჯეროვანის ხელწერილებით.

იქვე მუხ. 359.

356. არხივის მდგომარეობა, შესახებ წესისა, მართლიანობისა მაში შენახულთ საქმეთა, მათი სიების შედგენისა, აგრეთვე შინაგანის და გარეგანის სისუფთავისა მოწმდება წლის გასვლის შემდეგ მთელის მსაჯულთა შეკრებილებისაგან. ამ მოწმობის შედეგზე სდგების ქურნალი. არხივის მდგომარეობაზე ყოველად სამღვდელო ყოველ წლობით მოახსენებს უწმიდესს სინოდს, ამა მეხლზედ დართულის ფორმისა მებრ.

იქვე მუხ. 360.

თ ა ვ ი IV.

მიწერ-მოწერათა წესზე.

357. უქაზები უწმიდესი სინოდიდგან გამოდიან ეპარქიის არქიერის სახელზედ და მისგან შედიან კონსისტორიაში.

იქვე მუხ. 361.

358. როდესაც ეპარქიის არქიერის კათედრა არ არის დაჭერილი, მაშინ უწმიდესი სინოდიდგან უქაზები გამოდიან ვიკარი ეპისკოპოსის სახელზედ, და თუ ეპარქიაში არ არის ვიკარი, თვითონ კონსისტორიის სახელზედ.

იქვე მუხ. 362.

359 უწმიდესი სინოდი პირ-და-პირაც სწერს ბრძანებას კონსისტორიას უქაზებით, როდესაც განსაკუთრებულთ გარემოებათა გამო საჭიროდ ჰპოებს პირდა-პირ მას მისცეს მინდობილება ანუ ჰქონდეს მისგან განმარტება.

იქვე მუხ. 363.

360. უწმიდესი სინოდის უქაზებისა მებრ ეპარქიის არქიერის სახელზედ უწმიდესს სინოდში შედიან მოხსენებანი არქიერის ხელის მოწერით, ხოლო უქაზთა მებრ რომელნიც მიცემულნი არიან პირდა პირ კონსისტორიისადმი, მოხსენებანი თვით კონსისტორიისა ყველა წევრთა ხელის მოწერით.

იქვე მუხ. 364.

361. თუ ვინიცობაა საჭირო იქმნა მიწერ-მოწერა მაღალ სასამართლოებთან, აგრეთვე მინისტრებთან და მთავარ მართებლებთან ცალკე ნაწილებით, კონსისტორია ეპარქიის არქიერის განჩინებისა მებრ ამზადებს მის ხელის მოსაწერად წარდგინებას უწმიდესი სინოდისადმი, ან მიწერილებას უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორისადმი. ამ გვარადვე საზოგადოდ ყველა ქალალდები პირდაპირი მიწერ-მოწერილობათა მებრ ეპარქიის არქიერის გუბერნატორებთან და სხვა უფროს პირებთან გუბერნიაში მზადდებიან კონსისტორიისაგან ამ გვარივე წესით ყოვლად სამღვდელოისგან ხელ მოსაწერად.

იქვე მუხ. 365.

362. სასულიერო სამმართველოებს და ყველა ეპარქიის უწყების თანამდებობის პირთა კონსისტორია ბრძანებას სწერს უქაზებით.

იქვე. მუხ. 366.

363. სასულიერო აკადემიებისა, სემინარიებისა და სასწავლებლების სამმართველოებთან და სასულიერო წოდების ლარიბების სამზრუნველოებთან კონსისტორია იწერების უწყებების საშვალებით, აგრეთვე როგორც სხვა კონსისტორიებთან, ლავრების სობოროებთან და სამმართველოებთან სამხედრო სამღვდელოებისა.

იქვე მუხ. 367; 1867 მაისის 14 (44572)

364. გუბერნიის სასამართლოებთან კონსისტორია აგრეთვე იწერების უწყებების საშეალებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მდივნები სასულიერო კონსისტორიისა ითხოვენ სასულიერო უწყებებისთვის უსაფიროესს ცნობებს მოწერილობათა საშვალებით ამაზედ, კუთვნილებისა მებრ, გუბერნიის სასამართლოების ანუ დაწესებულებეების სეკრეტრებისადმი, ანუ მდივნების თანასწორ სხვა სახელ წოდებაების მმართველებისადმი კანცელარიებისა, საქმის მწარმოებლებისადმი, ანუ მიწერ-მოწერის გამგეთადმი.

წესდებულ. სას. კონს. მუხ. 368; 1866 1 ნოემბერს (43806).

№ 11.

136 მუხლის დამატება

კანონები უმჯობესი დაცვისათვის მონასტრებში, სობოროებში და ძველ შესანიშნავ ეკლესიებში საეკლესიო და სალარო ნივთთა, ძველ ნაშთთა და წიგნთ-საცავთა (библіотекъ.)

1) მონასტრებში, სობოროებში, აგრეთვე ძველ შესანიშნავ ეკლესიებში, რომელთა შინა საეკლესიო მორთულობას, შესამოსელთ და წიგნთ-საცავთ აქვსთ განსაკუთრებითი ბატივი, ეპარქიის მართებლობის განკარგულებით, შესდგება აღწერილობა საეკლესიო ნივთთა საფუძველსა ზედა შემდეგ კანონთა.

2) აღწერილობისათვის მიეცემათ ზონარ გაურილი წიგნები, ყველა ფურცლების კონსისტორიის სეკრეტრისაგან დამოწმებით.

3) აღწერილობა თვითეული ადგილისა, რომ უფრო არ იქმნენ გამოცვლილნი, შემთხვევისა გამო სიძველისა და ნივთთა გამოცვლისა, განიყოფებიან ორ რიგად.

I) თავი აღწერილობა.

II) დამატებითი აღწერილობა.

პირველ აღწერილობაში უნდა დაინიშნოს ყველა შესანიშნავი და მტკიცე კარგი; მეორეში ყველა მცირე შესანიშნავი და ქვემდებარე გამოცვლისა, როგორიც არიან მაგალითებრ, ყოველ დღე სახმარებელი შესამოსელნი.

4) აღწერილობათა ბლანები უნდა იყოს რიგიანი და ერთნაირი. ამაზე დართულია ფორმა.

5) აღწერილობანი ისე დაწვლილებით შედგენილნი უნდა იყვნენ, რომ არ უნდა მოხდეს დაკარგვა ანუ გამოცვლა ნივთების მცირე ნაწილშიცა ისე, რომ აღწერილობამ არ გამოაშკარავოს ეს.

6) ახლად შედგენილი აღწერილობა უნდა ხელმო-

წერილი იყოს ფურცლებზე იმ ეკლესიის ან მონასტრის წინამძღვართაგან, რომელნიც ეკუთვნიან, და შემდეგ დამოწმდებიან კონსისტორიაში რიგიანად შედგენილობის მხრით, ამასთანავე უნდა იყოს კანონიერი გაფრთხილება მიღებული სახეში გაფხეკის და გადასწორების შესახებ.

ამაზე მოხდება წარწერა აღწერილობაზედვე.

7) შემდეგ ახალი აღწერილობა სანდო პირების საშუალებით შემოწმდების ადგილობრივ წინანდელ აღწერილობასთან და ნივთებთან და ამაზედაც ეგრეთვე მოხდება ზედ წარწერა აღწერილობის ბოლოს.

8) რაიმე ეჭვის შემთხვევის დროს, საქმე გამოიძიება და განიხილება კონსისტორიაში, ეჭვის მოსპობამდის.

9) როდესაც უმთავრესი აღწერილობა აღმოჩნდება რიგიანად შედგენილი, მაშინ ის, დამტკიცდება კათედრის დიდის ბეჭდითა და შეიქმნება ნამდვილ საბუთად მისაღებად და სარევიზიოდ ეკლესიის და მონასტრის სალაროთა და წიგნთ საცავთა.

10) აღწერილობის ბოლოს უნდა იყოს დატოვებული მომეტებული ცარიელი ფურცლები. ამაზედ ყოველ რევიზიის და მიღების დროს რიგისამებრ უნდა მოაწეროს: ამა და ამა წელსა, თვესა და დღესა ამა აღწერილობისა მებრ შთავაბარე ამა და ამან, მივიღე ამ და ამან, ამასთან შეამავალ ვიყავი ესე და ეს. ეგრეთვე ამა აღწერილობისა მებრ შევამოწმე, რევიზია უყავი ამა და ამან. თუ ამ დროს შეინიშნულ იქმნა რაიმე ნაკლი, დაკარგულობა ან გაფუჭება ნივთთა, მაშინ ხელ მოწერილობაში უნდა იყოს აღნიშნული, რომ ამაზედ მოხსენდა მთავრობას.

11) არა ვითარი ნივთი ან წიგნი, კანონიერის მიზეზითაც, არ უნდა იქმნეს გარიცხული ეკლესიის სალაროდამ და წიგნთ საცავიდამ, დაუმტკიცებლად უწმიდესი სინოდისა ან ეპარქიის მღვდელ-მთავრისაგან. ამისათვის, თუმცა სიის დამტკიცების შემდეგ მოხდა ნივთებში რაიმე

ცვლილება, ანუ მთავრობის განკარგულებით როგორიც არის, მაგალითებრ, გარდატანა ზოგიერთ ძველ საეკლესიო ნივთთა ახლად დაწესებულ ერთ მორწმუნეთა (Единовѣрческія) ეკკლესიაში, ანუ სხვა მიუცილებელ და დადამოუკიდებელ მიზეზთა გამო დამცველთა: მაშინ ამაზე აღწერილობაში იმ ნივთის პირდა-პირ გვერდზე მოხდება შენიშვნა, რომლის არა თუ შინაარსი, არამედ ფორმაც უნდა დამტკიცებული იყოს ეპარქიის მთავრობისაგან; ეს შენიშვნა დამოწმდების ბლაღოჩინისაგან.

12) დაცვისათვის ხელნაწერთა, აღწერილობაში დაინიშნება დრო მათი დაწერისა (შეძლებისა-და-გვარად ნამდვილი ანუ მიახლოებითი), რიცხვი ფულთა, (რაისათვის ყველა ფულები ხელნაწერებისა უნდა დანომრილი იყვნენ და თუ ხელ-ნაწერში არის რამდენიმე სხვა-და-სხვა თხზულებანი მაშინ ისინი მოხსენებულნი უნდა იყვნენ აღწერილობაში.

13) თვითეულ ხელ-ნაწერზე და თვითეულ ძველ, ან იშვიათ დაბეჭდილ წიგნზე, პირველი ფურცლის უკანასკნელ სტრიქონის ქვემოდამ უნდა იყოს დაწერილი კარგი მელნით, მაგალითებრ: ეკუთვნის №№ სობოროს, 1852. ესევე მოწერა უნდა იყოს გამეორებული მეათე და მეოცე ფურცლებზე. ეს მოწერილობანი უნდა იყვნენ დამცველნი ეკკლესიის საკუთრებათა, ასე, რომ სადაც უნდა აღმოჩნდეს წიგნი ამ დაწერილობით, იგი უნდა დაუბრუნდეს ეკკლესიას ულაპარაკოდ დრო გასულობის ან სხვა რაიმე მიზეზების შესახებ.

14) მონასტრების და ეკკლესიების ბლაღოჩინთა ნახევარ წლობით ეკკლესიების და მონასტრების დახედვის დროს, უნდა მიაქციონ მკაცრი ყურადღება ნივთების და წიგნების თვალად ყოფნაზე, და ნაწილი მაინც მათგანი, განსაკუთრებით შესანიშნავნი, შეამოწმოს აღწერილობასთან და შემდეგზე მოახსენოს მთავრობას.

15) პირი თვითეული თავი აღწერილობისა დაცული უნდა იქნეს კონსისტორიაში.

16) დამატებითი აღწერილობანი იწერებიან ეკკლესიის ან მონასტრის წინამძღვართაგან წიგნებში, რომელნიც მიცემულ იქნებიან კონსისტორიის ბეჭდით და ხელის მოწერით დამოწმებულნი, და ექვემდებარებიან ბლაღოჩინთა ზედამხედველობას. ახლად შემოსულთა ნივთთა წინამძღვრები მთასწერენ დაუყონებლივ შემოსვლისა თანავე, ხოლო გამორიცხვა აღწერილობისაგან დაძველებულთა არ შეუძლიათ განუხილველად და ნება დაურთველად მთავრობისა, ბლაღოჩინის დამოწმებით.

მეოთხე მუხლის დამატებისა № 11.

წესი

ეკკლესიის და სალაროს თავი აღწერილობისა ამა-დამ მონასტრისა.

ნაწილი პირველი.

აღწერილობა ეკკლესიისა ანუ ეკკლესიათა.

1. საკურთხეველი.
2. იკონოსტასი, კანკელი.
3. კანკელი და ხატები სხვა ადგილს ეკკლესიაში.
4. კუბო წმიდა ნაწილთა (სადაც არის).
5. კანკელი და ხატები ტრაპეზში და შესავლებში.
6. ლამპადები, სასანთლეები, ანალოგიები.

ნაწილი მეორე.

აღწერილობა სალაროისა.

1. სახარება.
2. ტრაპეზის ჯვრები.
3. საკმრთო მსახურების ჭურჭელნი.
4. სანაწილენი.
5. სასაკმევლენი.
6) რიპიდები.
7. დიკირი და ტრიკირი (ორ და სამ სანთლიანი შანდლები.)
8. პანაგია.
9. მკერდის ჯვრები.
10. შესამოსელნი ტრაპეზთა და სამსხვერპლოთ.
11. არქიერის შესამოსელნი.
12. სამღვდელო შესამოსელნი.

13. დიაკვნის შესამოსელნი და ვრიჩეტნიკთა სტიხრები.

14. ლანგრები.

15. ხელ-საბანნი.

16. კვერთხები.

17. ეურის საკურთხეველი ჯურჭლები.

18. საიაზმე.

19 ხატები.

20. ძველი ნივთები, რომელიც არ ეკვთვნიან დვთის მსახურების ნივთთა, როგორც მაგალითებრ: სხვა-და-სხვა გვარი იარაღები, სამხედრო ნიშნები გამარჯვებისა, ძველი მანათები, ჯურჭლები და ამკაულება ცხოვრებაში ნახმარნი და შეწირულნი მონასტრისათვის, აგრეთვე სურათები, ნახატები, ძველი სახლის მოწყობილება და სხვ.

21. მასალები.

ნაწილი მესამე.

აღწერილობა წიგნთ საცავთა და ხელ-ნაწერთა.

1. ხელ-ნაწერნი პერგამენტზე (ტყავზე).
2. ხელ-ნაწერნი ქაღალდზე.
3. ნაბეჭდი საღმრთო წერილის წიგნები.
4. საღმრთო მსახურების წიგნები.
5. წმიდა მამათა ნაწერები.
6. სხვა წიგნები სასულიერო შინაარსისა.
7. საისტორიო წიგნები.
8. გრამოტები და ძველი სიგელები.
9. სამეურნეო საბუთები, როგორც მაგალითებ: ვლანები და ამის მსგავსები.
10. ბილეთები შესანახავ ხაზინათა (სადაც არის.)

შენიშვნა 1. ამ საზოგადო ვლანმა შეუცვლელად თავი წესიისა, შეიძლება მიიღოს განსაკუთრებითი ხმარება, ადგილის გარემოებათა მებრ. 2.

წიგნები რომელნიც ყოველ წლობით იხმარებიან ღვთის მსახურებაზე და ამით რასაკვირველია, შეიძლება გაფუჭდნენ და გამოიცვალონ, უნდა აღიწერონ არა თავ აღწერილობაში, არამედ დამატებითი აღწერილობაში. 3. თითეული თავის გათავებისა უნდა იყოს დატოვებული ცარიელი ადგილები ფურცლებზე, რომ შეიტანონ მომატებული ნივთები. 4. აღწერილობას უნდა ჰქონდეს ორი ნომერი: ერთი რომელიც ეკუთვნება თვითეულ თავს და მეორე თვითეული ნაწილის თავიდამ ბოლოომდის მიმყოლი, შეერთებისათვის ერთად მთელთა. 5. ნივთების აღწერილობის ქვემოთ, რომელნიც არიან იმპერატორის ან მეფისა შემოტანილნი განძნი, უნდა დაიწეროს ვისი განძნი არაან იგინი. 6. უნდა მოიხსენონ აგრეთვე სახელები სხვა შემომტანთაცა თუ იციან მათი სახელები.